№1. 2020 წ.

იალქანი

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

სსიპ „კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“

იალქანი - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმანვილთათვის
დაარსებულია 1996 წელს

აფქიო - ბონა-ჯიებული ყველაზე პატარებისთვის
დაარსებულია 2010 წელს

„სააგენტოს“ დირექტორი **ლიკა კვარაცხელია**

რედაქტორი **ნანა ჟანტურია**
მხატვრული რედაქტორი **ნუნუ ჯანელიძე**
მხატვარი, პასუხისმგებელი მდივანი **დალი მუხაძე**
დიზაინი, დაკაბადონება **ვახტანგ ზაქარაია**

რას წაიკითხავთ „იალქანში“?!

ბუკლეტში „მეფე ერეკლე II-ის დაბადების 300 წლისთავი“ საუბარია ნამარტო დიდ ხელმწიფეზე, მეფის ოჯახთან დაახლოებულ, თავად შინ გადეკანიშვილზე; მისმა შთამომავლებმა, გვარით გადეკანიშვილებმა მოგვანოდეს ფონები ისტორიოგრაფიაში უსამართლოდ მივიწყებულ ნინაპარზე, ვინც გაბედა და გააპროტესტა „გეორგიევსკის ტრაქტატით“ უგულებელყოფილი ნაციონალური ხელშეუხებლობა.

გვ. 12

ახალი რუბრიკა „ნაშლილი საზღვრებით“ წარმოგიდგენთ ბუკლეტიკურას, რომლის ავტორია იაპონელი პროფესორი რიო კოჯიმა. მან, უფონალ „არენას“ რედაქტორმა, თავის გვერდებზე დაბეჭდა წერილი ახალგაზრდა სოხუმელ მხატვარზე ირმა გელანტიაზე. ერთი ექსკლუზივია: იაპონური ბუკლეტიკურა „იალქნისთვის“ საგანგებოდ თარგმნა ახალგაზრდა იაპონელმა ქართველოლოგმა ჰაიატე სოტომემ.

გვ. 20

ბუკლეტიკურაში „ბალიანიდან“ აგორებული ბურთით“ „ფეხბურთის ჯენტლმენს“, სოხუმელ ბასა ლოლობერიძეს, ბავშვობისა და ერთად გატარებულ ნლებს ივონებს მისი სიყრმის მეგობარი – პეტრე ჯანტურია. ლეგენდარული სპორტსმენის გარდაცვალებიდან 40 ნელია გასული.

გვ. 48

საგამომცემლო ჯგუფი:

გიგლა გოგეჩია, ნინო ვახანია, ზაურ კალანდია, სალომე კაპანაძე, დავით კოგახიძე, ნატო კორსანტია, ნუგზარ მგალობლიშვილი, როლანდ ნიჟარაძე, გურამ პეტრიაშვილი, ოთარ ჟორდანია, ვენერა რურუა, პაატა ქურდოვანიძე, გელა ჩქვანავა, სოსო ჭუმგურიძე.

ჟურნალი გამოდის აფხაზეთის ა. რ. მთავრობისა და
უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერით

შავი ზღვის რივიერა*

1846 წელს სოხუმი გამოცხადდა სავაჭრო პუნქტად, 1847 წლიდან კი - ქალაქად.

«სოხუმი ზღვისპირეთის უღამაზესი კუროორტია. აქ შეიძლება, მთელი წლის განმავლობაში მიიღოთ მზის აბაზანები. მზის სხივებით სოხუმი ჭარბობს შავი ზღვის რივიერას ყველა კუროორტს», - წერს აკადემიკოსი ვალერიან ზუბბაია.

XIX ს.-ის 30-იან წლებში აფხაზეთში იმოგზაურა ფრანგმა გეოგრაფმა - ედუარ ფრანსუა გამბამ და მერე ასე გამოხატა თავისი შთაბეჭდილებები:

«აქ ერთმანეთს ენაცვლება წყალგამყოფი მთები და გორაკები, საუცხოო ჯიშის მცენარეები, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ წყალუხვ მდინარეებს, გამჭვირვალე ნაკადულებსა და ბორცვებს, რაც უმშვენიერეს პეიზაჟს ქმნის».

თუმცა სოხუმის ზღვის სანაპირო ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო კეთილმოწყობილი. 1867 წელს სოხუმის განყოფილების უფროსად დაინიშნა გენერალი გეიმანი. სწორედ მისი მმართველობის დროს დაიყო ქალაქი ფართო-კვადრატული ქუჩებით (სოხუმის ცენტრალური ნაწილი დღემდე ასეთია).

„სოხუმ-კალე“. ლევ ლაგორიო. 1872 წ.

1869 წელს სოხუმში ჩამოვიდა ტელეგრაფის აპარატის გამომგონებელი - გერმანელი ვერნერ სიმენსი. 1870 წლის 1 მაისს პეტერბურგმა მიიღო სოხუმიდან გაგზავნილი პირველი დეპეშა.

ერთი საინტერესო ფაქტიც: 1898 წელს მოსკოვში ჩატარებულმა ექიმთა მსოფლიო XII კონგრესმა სოხუმი აღიარა საუკეთესო კლიმატურ ზონად.

აი, რას ვკითხულობთ ჩუსი მოგზაურის - ნიკოლოზ ანდრიევსკის** ჩანაწერში:

«სოხუმი აქ კი არა, სადმე დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში რომ ყოფილიყო, იგი უფრო ადრეც მოინათლებოდა მსოფლიოს ცნობილ კურორტად, მეოთხე ნიცად».

და მართლაც: აფხაზეთის საუცხოო კლიმატს, მის განუმეორებელ ландშაფტს, უღამაზესი ხედებით, აღტაცებაში მოჰყავდა იქ ჩასული მოგზაურები, მხატვრები, მწერლები.

პირველი მხატვარი, რომელმაც XIX ს.-ის 40-იან წლებში «აფხაზეთის თემაზე» შექმნა საუცხოო ტილოები, იყო ნიკონორ ჩერნეცოვი (მისი სურათები დაცულია პეტერბურგის ჩუსულ მუზეუმში).

აფხაზეთის სანაპიროს პეიზაჟებს არაერთი შთამბეჭდავი ტილო მიუძღვნეს მომავალში ცნობილმა იმ ეპოქის მხატვრებმა: ივანე აივაზოვსკიმ, ივანე რეპინმა, ვასილი ვერეშჩაგინმა, ვიქტორ ვასნეცოვმა, ლევ ლაგორიომ...

აღსანიშნავია, რომ ლევ ლაგორიო იყო დიდი ივანე აივაზოვსკის პირველი მოსწავლე და პედაგოგივით ერთ-ერთი ცნობილი ჩუსი მარინისტი. მხატვრის 1872 წელს შექმნილი ტილო, სახელწოდებით «სოხუმ-კალე», რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ «იალქნის» პირველივე გვერდზე, დაცულია სოხუმში, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

თემის გაგრძელება:
იხილეთ ნომრის ჩანართი - «იალქანი» №45

* – დასავლეთ ევროპის უდიდესი საკურორტო რაიონი (ნიცა, კანი, სან-რემო).
** – ნიკოლოზ ანდრეევსკიმ XIX ს.-ის ბოლოს რამდენიმე თვე დაჰყო სოხუმში.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება იმიტომაცაა ჯლასიჯა, რომ მწერლის ჯადოსნურად მარტივი ენა, განუმეორებელი იუმორი და ყველასათვის „მისიანი" ჯეთილი პერსონაჟები ხიბლავს სამყაროს, მის ნებისმიერ ჯუთხეში მცხოვრებს.

„ნოდარ დუმბაძის გარეშე ჩვენი ლიტერატურული ყოფა საგრძნობლად დაჯარგავდა სითბოსა და ეშხს. არავის, არც ერთ ჩვენგანს არ ხელეწიფება მჯითხველთან, ქართველი ადამიანის გულთან ასეთი მიმნდობი, ასეთი გულითადი საუბარი; ასე ოსტატურად არავის უპყრია ხელთ მისი გულის გასალები", - წერს ჯრიტიჯოსი გურამ ასათიანი.

გადავწყვიტეთ, მჯითხველთან „გულითადი საუბრის", „მისი გულის გასალების" ოსტატურად ფლობის იშვიათი უნარი წარმოგვეჩინა მწერლის სტრიქონებს შორის მოძიებული მარადიული ამონარიდებით. ესაა უკვე ათასგზის ნაცნობი და ყოველ ჯერზე მაინც თავიდან დაბადებული ემოცია.

ასე გაჩნდა „იალქნის" ახალი რუბრიჯაც „სტრიქონებს შორის".

„მაინც რა არის სამშობლო?"

ნოდარ დუმბაძე

სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია. სამშობლო ისეთი უსაშველო ფენომენია, რომელსაც ასაკი არ გააჩნია, ისევე, როგორც დედას და დედასავით მარადიულია. გამოდის, რომ სამშობლო ყოველდღე გვბადებს, ყოველდღე იბადება ჩვენთვის, თავად კი არასოდეს არ კვდება, უკვდავია.

• • • • • • •

ყველაზე მეტი ენა მსოფლიოში ღმერთმა იცის. ყველას თავის ენაზე ელაპარაკება.

• • • • • • •

ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული; იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე.

• • • • • • •

არაფერი არასდროს ისე სამარცხვინოდ და თავისმომჭრელად არ ითვლებოდა საქართველოში, როგორც უპატიოსნება და ქურდობა. მარტო ის რად ღირს, რომ ქურდს მეგრულად „მახინჯი" ჰქვია.

• • • • • • •

„არსენალის მთა ღამით". ფიროსმანი

რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს. ვნახავდი ქვეყნებს, ამოვირჩევდი ყველაზე კარგ ქვეყანას, ყველაზე კარგ ხალხს და ნავიდოდი, ვიმოგზაურებდი, ვნახავდი, სად არის ომი, სად სიმშვიდე; სადაც სიმშვიდეა, ალბათ, ყველას იქ მოუნდებოდა ნასვლა, ცა რომ სარკე იყოს... თუმცა, ცა რომ სარკე იყოს, ჩვენ ყველანი დავინახავდით ერთმანეთს, ვნახავდით, რომ არა ვართ ისე ცუდები, ჩვენ რომ გვგონია, არაფერი არ გვაქვს საჩხუბარი და ომები აღარ იქნებოდა... ცა რომ სარკე იყოს, დავინახავდით, ვის უჭირს ამ ქვეყანაზე, ვის ულხინს; მერე დალხინებულები ნავიდოდნენ გაჭირვებულებთან და მიეხმარებოდნენ... რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს...

• • • • • • •

ადამიანი ტაძრის კედელზე მოხატული ფრესკა არ არის, რომ ერთ განზომილებაში უმზირო, ან მოშალო... მას ირგვლივ უნდა შემოუარო და იმ მხრიდან უმზირო, საიდანაც ლამაზია.

• • • • • • •

ჩემი სიყრუხლე სიყვარულით გარდაყვლილ ადამიანთა სულით საზრდოობს... უკვე რამდენი ხანია, დედამინაზე სიძულვილით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით. დედამინაზე დაიშრიტა წყარო ჩემი მაყრუხლებელი სიყვარულისა, დადგა ჟამი ჩემი გარდაყვალებისა. გააყრუხლეთ სიყვარული დედამინაზე როგორმე, თუ შეგიძლიათ და მე აღვსდგები კვლავ მკვდრეთით...

• • • • • • •

ქართველები რბილი ხალხია, ჯკვიანი, ალერსიანი, სიმღერა უყვართ. დედის გინებისათვის, შეიძლება, კაკი მოკლან. ამხანაგი უყვართ. ამხანაგის გულისათვის სახლს გაყიდიან, ოღონდ შენკ სამაგიერო სიყვარულს გთხოვენ... ქართველები თუ დედას იფიცებენ, ხატზე დაფიცებას უდრის. კიდევ მეტს. თავისი ქვეყანა სიგიჟემდე უყვართ; საქართველოს საფლეგრძელოს რომ ამბობენ, ხანდახან ტირიან კიდევაკ. სამოთხესავით ქვეყანაა საქართველო, სამოთხესავით...

„იმერეთი“. დავით კაკაბაძე

• • • • • • •

ზღვას საოკრად რბილი სხეული აქვს და ზღვა საოკრად თბილია. თუ შეგიშვა ზღვამ, იგი არასოდეს დაგახრჩობს. ზღვამ არ იცის ღალატი. მაგრამ ზღვას არ უყვარს, როდესაკ მისი არ ეშინიათ. იგი თვითონ გაფრთხილებს, გეუბნება, გთხოვს, ღრიალებს, ქვეყანას ანგრევს, სახლისოდენა ტალღებით განვება ხმელეთისაკენ, ხელს გკრავს, არ მოხვიდეო და თუ შებედე, ზღვას არ უყვარს, როდესაკ მისი არ ეშინიათ. ზღვას ზღვასავით დიდი გული და თავმოყვარეობა აქვს, ზღვა ყრუხალია და, როდესაკ ზღვა ლაპარაკობს, ზღვას უნდა უსმინო.

• • • • • • •

არ უნდა წახდე, რაკ არ უნდა შეგემთხვეს, კაკრობა არ უნდა დაკარგო; იმიტომ, რომ ბოლო ერთია. კაკრ საფლავზე დადებული ქვით კი არ ფასობს, აქ დატოვებული სახელითა და სულით.

• • • • • • •

ადამიანი ყველაფერს შეიძლება, შეეგუოს – უხარისხო ფეხსაკმელს, ტანსაკმელს, პურს, უფრო მეტიკ, ადამიანმა შეიძლება, გაუძლოს შიმშილს, სიშიშვლეს, სიკრვეს, სიღატაკეს, მაგრამ სულიერ სიღატაკეს ვერასდროს შეეგუება.

„საპეპუცოები“. ლევან ხარანაული

„ომის კვალი“.
რუსუდან ჯავრიშვილი

• • • • • • •

ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ყხადი და ისე უბრალო, რომ, როდესაც ხედავ, არ იცი, რომ ღმერთია; ამიტომ არ სნამთ ღმერთი. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ყალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა ინამებდა.

• • • • • • •

ქვეყნის სიყვარულს საყველპურად და საარშიყოდ ნუ გაიხდით; საშშობლო როსკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ; საშშობლო ტაძარია საღოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ყალი ხელით პირჯვარს უნდა ინერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ... და კიდევ ერთი, შესანირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მოგასხროს ამ ტაძართან.

• • • • • • •

– აუ, რამდენი დრო მაქვს გაფლანგული! ბუღალტერი რომ ვიყო და რევიზია რომ დამეყრეს, ალბათ, დახვრეტას მომისჯიდნენ – გამორთეთ სიბნელე!!!

• • • • • • •

თუ მართლა უნდა გარდავიყვალო და მეტი არაფერი, მაშინ, მით უმეტეს, არ უნდა შეგეშინდეს, ისევ ამქვეყნად დავრჩები და სხვა სახით მოვალ – ან ხედ, ან ბალახად, ან ჩიტად, ან ძაღლად... იყოდე, თუ მოვალ, ისევ შენთან მოვალ, მარტო არ დაგტოვებ. და თუ რამეში სითბო, სიხარული და სიყვარული იგრძენი, ქვაყ რომ იყოს, ის ქვა ბაბუაშენია... ამიტომ მარტოობის არ შეგეშინდეს, არ იფიქრო, მარტო ვარო.

• • • • • • •

ღმერთმა მოქანდაკეს ტალახიდან ადამიანის კეთება კი ასწავლა, მაგრამ სულის შთაბერვა არ ასწავლა. ეგეყ რომ ესწავლებინა, ადამიანი ღმერთს ალარ ინამებდა.

• • • • • • •

საქართველო ძალიან ლამაზ და ჯიშიან ბედაურსა ჰგავს, ოქროს უნაგირით შეკაზმული ბედაურს. თან ისეთ ლამაზ მდელოზე და გამოსაჩენ ადგილასაა დაბმული, ყველას უნდა, შეაჯდეს, ლაგამი ამოსდოს და სარდლის ყიყინითა და ვაშას ძახილით გააჯენ–გამოაჯენოს; მაგრამ, მადლობა ღმერთს, თვითონ არის ისეთი ფაქიზი და ფეთიანი, ყველა ნაძირალას არ იჯენს ზურგზე. მხოლოდ ლირსეულებს თუ შეისვამს ხოლმე და იმათაყ თუ დაკარგეს ზომიერების გრძნობა, იმათაყ გადმოაგდებს და ძირს დაანარყხებს. ბევრი მინახავს ასეთი.

„ატმის ხეები“. ავთო პოპიაშვილი

• • • • • • •

დიდი ხნის წინ მოვიკლავდი, ბატონო, თავს, მაგრამ არ მინდა, მკვლელი გავხდე, თანაყ, ისეთი უდანაშაულო ადამიანისა, როგორიყ მე ვარ. ძნელია, ჩემნაირი კაყის სისხლი და ყოდვა ედოს კაყს კისერზე. ხანდახან იმასაყ ვფიქრობ, ასეთ ნაძირალაზე როგორ გავისვარო ხელი–მეთქი.

• • • • • • •

პირადად მე ჩემს მასწავლებლად მიმაჩნია ის ადამიანები, რომლებმაყ საგანები კი არ შემასწავლეს, არამედ შემაყვარეს. ჩემთვის მასწავლებლობა საგნის ყოდნა კი არ არის, არამედ ღვთით მომადლებული უნარი, სხვასაყ გადასყე ყოდნა და ისე შეაყვარო საგანი, რომ განყვიფრებულმა იფიქროს, ეს რომ არ მყოდნოდა, რა მეშველებოდა და ამ ჩემს ყხოვრებას რა ფასი ექნებოდაო.

„ფიროსმანი“.
გურამ ქუთათელაძე

• • • • • • •

ჩვენ ხშირად გვეშინია სიტყვა „გენიოსის” ხმარება. საშიში არაფერია, იგი ასეა განმარტებული ლექსიკონში: „უდიდესი შემოქმედებითი ნიჭის მატარებელი ადამიანი”. საშიში მხოლოდ ის არის, რომ ეს განმარტება ვინმე უღირს ადამიანს არ მივუსადაგოთ, თორემ ნიკო ლორთქიფანიძის მიმართ ეს განმარტება იმდენად ზუნებრივია და სისხლხორცეული, რომ ხანდახან გვიკვირს კიდეც, ნუთუ ეს არ იცოდნენ მისმა თანამედროვეებმა, ნუთუ თავიდანვე ვერ გრძნობდნენ ამას! შესაშური ბიოგრაფია აქვს ნიკო ლორთქიფანიძეს. გაიხსენეთ, რომელი მნერლის ბიოგრაფიას ამშვენებს საქართველოში, და, თუნდაც, მის გარეთ ორი დუელი, არა პირადი ღირსების, არამედ საამშობლოს, ერის ნმინდა სახელისა და ღირსების დასაცავად.

• • • • • • •

უამრავი ნაკლის მიუხედავად ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მაღალი ზუნება აქვს, მთელს საამყაროს დასნვავდა, კავკასიონის მარადი თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს.

• • • • • • •

ხანდახან უცნაური გრძნობა შემიპყრობს — მინდა, ისეთი ერის პატარა შვილი ვიყო, დამოუკიდებლობის პრეტენზია არ მქონდეს, ხოლო სხვას — ჩემი ქვეყნის დაპყრობის სურვილი. ო, რა ბედნიერი იქნებოდა ასეთი ყოფნა!

• • • • • • •

იქნებ, ვაზია საამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მაღლარია — ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც საამშობლოს. საამშობლო უფრო მეტად გაჯირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული. კიდევ რა არის საამშობლო? სოფელი, სადაც ცოლს ვერ შეირთავ, რადგან ყველა გოგო შენი დობილია და საპატარძლოს საპოვნელად იძულებული ხარ, სხვა სოფელში ნახვიდე. საამშობლო, ალბათ, სიცოცხლეა და ამიტომ მიდის ყველა კაცი ამ ქვეყნიდან სიცოცხლით გაუმაძღარი.

• • • • • • •

მე მზე მიყვარს ძალიან, მაგრამ მზე მინაში ვერ აღნევს. ამიტომ, ზუნებრივია, სიკვდილის შემდეგ მინას კი არა, ცას უნდა მივაშურო — ცაში ნავიდე.

„წითელი მზე“. თენგიზ მირზაშვილი



1926 წლის 25 თებერვალი.

სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. აი, ფრაგმენტი მისი გამოსვლიდან:

„მთავრობა გვეკითხება – გვითხარით, რა სტკივა ქართულ მწერლობას?.. ...რაკი გულწრფელად გნებავთ ჩვენი გულისტკივილის გაგება, უნდა მოგახსენოთ, რომ მაინცდამაინც დიდ პატივს არ ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსების ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები თითქმის მცხეთის სანახებამდე ჩამოიტანა. მთლიანად ქართული რაიონი გალისა კი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გადაულოცა და მეგრელ ბავშვებს მარტოოდენ აფხაზურსა და რუსულს ასწავლიან“ (დღესაც იგივე პრობლემის წინაშე არიან გალელი მოზარდები. რედ.).

1926 წლის პირველ მარტს დააპატიმრეს „ანტისაბჭოთა ფიზიონომიის“ (როგორც მასზე ამბობდნენ) კონსტანტინე გამსახურდია (ეს იყო უკვე რიგით მეოთხე დაპატიმრება)*; ვისაც მუდამ ნაციონალისტობას სწამებდნენ და გააფთრებით ებრძოდნენ.

კონსტანტინე გამსახურდია

* * *

1931 წელი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე კონსტანტინე გამსახურდიას გამოსვლა ამჯერადაც თამამი და ობიექტური იყო:

„აქ გამობრძანდნენ ჩვენი აფხაზი ამხანაგები. უნდა მოგახსენოთ, რომ დიდედიდან აფხაზის სისხლი მაქვს, მიყვარს აფხაზები და გმირებიც მყავდა ისინი. მაგრამ, ამას გარდა, ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ აფხაზი, ჩერქეზი, ოსი ჩვენი მკვიდრი ძმები არიან და ჩვენ ერთმანეთის ინტერესები უნდა დავიცვათ; მაგრამ აქ გამოვიდა ორი ახალგაზრდა კაცი: პირველი გრიგოლია, მეგრელი, ჩემი მეზობელი, მეორე – ჭკადუა, ისიც მეგრელი და რუსულად გველაპარაკა, აფხაზეთის სახელით. რაშია საქმე? აფხაზები არიან მაგენი თუ ვინ არიან?“

ბუნებრივია, კომუნისტებმა კვლავ წაუყენეს ბრალდებები მწერალს. ერთ-ერთი ასე ჟღერდა:

„ნაციონალისტობაა, როცა კონსტანტინე გამსახურდიამ პლენუმზე თქვა, აფხაზეთის მეგრელმა რუსულად რატომ უნდა მელაპარაკოსო.“

ამის შემდეგ უკვე ცნობილი მოთხრობებისა და რომანის „დიონისოს ღიმილი“ ავტორი კონსტანტინე გამსახურდია მალევე გარიცხეს მწერალთა კავშირის რიგებიდან; მასთან ერთად, კავშირის გარეთ დატოვეს, ასევე, ღირსეული მწერალი – პავლე ინგოროყვა (სხვათა შორის, მოსკოვში, ჩეკას დილეგში ყოფნისას მან ჩააკითხა გამსახურდიას, თავის მეგობარსა და თანამოაზრეს).

*** – რამდენიმე თვე მწერალი იჯდა ჯერ თბილისის ჩეკას ციხეში, მერე თითქმის წელიწადი რუსეთის საპყრობილეებში, ბოლოს კი პატიმარი საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს.**

XX ს.-ის 70-იანი წლები.

პავლე ინგოროყვამ დაასრულა მუშაობა წიგნზე „გიორგი მერჩულე“ (ცნობილმა მეცნიერმა ამ ნაშრომს თითქმის მთელი სიცოცხლე მიუძღვნა). გიორგი მერჩულეს ძეგლში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მოიპოვება უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები X ს.-ის შუა წლებში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში მიმდინარე საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის შესახებ. ამ დროს აფხაზთა მეფე იყო დემეტრე II (825-861 წ.წ.).

როგორც აღნიშნავს პავლე ინგოროყვა – „აფხაზთა სამეფოს“ ხანა, ანუ VIII-X ს.ს. არის „ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვების ეპოქა დასავლეთ საქართველოში... **აფხაზეთის ტერიტორია იმ ეპოქაში, როცა დაარსდა „აფხაზთა სამეფო“, დასახლებული იყო ქართველი ტომებით არა მარტო ამ დროს, VIII ს.-ში, არამედ მთელი ძველი ისტორიის მანძილზეც, ანტიკურ ხანაშიც და საშუალო საუკუნეებშიც.** აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მისიმიანები, სანიხები) – ეს ისეთივე წმინდა, ქართველი ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობის, ქართულ დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები – ქართები, მეგრელები და სვანები“.

პავლე ინგოროყვა

ბუნებრივია, ამ წიგნის გამოსვლისთანავე დაიწყო აფხაზი ისტორიკოსებისა და მათი რუსი გულშემატკივრების თავდასხმა ავტორზე. საკითხმა პოლიტიკური ელფერი მიიღო.

ხელისუფლებამ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების განყოფილების გამგეს მიხეილ კვესელავას* დაავალა „ვითარების გამოსწორება“.

პუბლიცისტი რეზო კვესელავა თავის წიგნში „მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტებზე“ წერს:

„ბატონი მიხეილი შეუდგა საქმეს. შინ დიდძალი საარქივო მასალა მოზიდა. საწოლი, იატაკი, მაგიდა გაივსო ხელნაწერებითა და წიგნებით. მუშაობდა უმეტესად ღამით, თითქმის გარიჟრაჟამდე. შედეგად დაიწერა შრომა, რომელიც მან ცეკას საგანგებო სხდომაზე წაიკითხა.

ამ შეკრებას ესწრებოდა პავლე ინგოროყვაც, რომელიც აღფრთოვანებულა კვესელავას გამოსვლით:

– არ მეგონა, თუ პარტიის დავალებას ასე აშკარად გადაუხვევდა პარტიის კაცი და, თანაც, ისეთ ცოდნას გამოამჟღავნებდა, რომ ისტორიკოსებსაც გაგვაოცებდა“.

პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“ მაინც „დაისაჯა“ და მომავალში აიკრძალა კიდეც მისი გამოცემა.

*** – ცნობილი ტრილოგიის „ასერგასის დღე“ ავტორი, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თეატრალური და უცხო ენათა ინსტიტუტების რექტორი. უცხო ენათა ინსტიტუტში მისი რექტორობის პერიოდი ოქროს ხანადაა მიჩნეული.**

ალბერტ აინშტაინი - თანამედროვე თეორიული ფიზიკის ერთ-ერთი დამაარსებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1921 წ.), ფიზიკის დარგში 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და, აგრეთვე, ისტორიასა და ფილოსოფიაში 150-ზე მეტი წიგნისა და სტატიის ავტორი.

ამ ცოტა ხნის წინათ ალბერტ აინშტაინის ერთ-ერთმა ბარათმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. უდიდესი ფიზიკოსის წერილის ადრესატია მისი ქალიშვილი, პატარა ლიზერლი.

ძალზე შთამბეჭდავია მეცნიერის გულწრფელი მონოლოგი, თითქოსდა დაჭინებული სურვილიც, გოგონა ოდესმე მაინც ჩასწვდეს მამის სტრიქონებს, „ადამიანობისათვის გადასაცემად". ცხოვრების აზრი სიყვარულშია და მხოლოდ მას შეუძლია, იხსნას მსოფლიო ბოროტებისა და უგუნურობისაგან, - აღნიშნავს აინშტაინი.

„წერილი ქალიშვილისადმი" დაგარწმუნებთ, რომ გენიოსი მეცნიერისთვისაც ეი ყველაზე დიდი სათქმელი და საფიქრალი ადამიანი და სიყვარულია, მაცრ სამყაროში ყველაფერზე აღმატებული ეს უჩვეულო ენერგია.

„სიყვარული აღარიბებს პლანეტას"

ალბერტ აინშტაინი
თარგმნა **ნანა ჭანტურიამ**



ალბერტ აინშტაინი. 1921 წ.

ძვირფასო ლიზერლი,

როდესაც მე ფარდობითობის თეორია შევთავაზე სამეცნიერო საზოგადოებას, მაშინ ძალიან ცოტამ თუ გამიგო.

და ახლაც ახლა გაგიმხელ ადამიანობისათვის გადასაცემად, ვიცი, ესეც გაუგებრობისა და მითების საბურველში გაეხვევა.

მსურს, ერთი რამეც გთხოვო: ყველა ჩემი წერილი შეინახო მანამდე, ვიდრე ამას საჭიროდ ჩათვლი; თუნდაც, გავიდეს დიდი დრო, ათეული წლები, სანამ არ დარწმუნდები, რომ საზოგადოება მზადაა, მოისმინოს და მიიღოს ის, რასაც ახლა გაგიზიარებ.

არსებობს ამქვეყნად უჩვეულოდ ძლიერი ენერგია, რომელიც მეცნიერებამ დღემდე ვერ განმარტა. მაგრამ სწორედ ის მართავს დედამიწაზე მოქმედ ყველა დანარჩენ მოვლენას; ესაა ჩვენს მიერ ჯერაც შეუცნობელი მსოფლიოს უნივერსალური ძალა - სიყვარული.

როდესაც მეცნიერები სამყაროს ერთიანობის თეორიას ამუშავებდნენ, მათ თითქოს გადაავიწყდათ, რომ არსებობს საოცრად ძლიერი, მაგრამ უხილავი ფენომენი - სიყვარული.

ეს სინათლეა, რომელიც ასხივოსნებს იმ პიროვნებას, ვინც გასცემს და მერე უკანვე იბრუნებს მას.

მეცნიერებმა საჭიროდ არ ჩათვალეს, სიყვარული სამყაროს იდეად მიეჩნიათ. არადა, ეს ხომ გრავიტაციის ძალაა, ადამიანებს ერთმანეთისკენ რომ იზიდავს.

სიყვარული - ენერგიაა, რომელიც ბადებს და ამრავლებს ყოველივე საუკეთესოს, რაც ჩვენშია, რასაც წარმოვადგენთ, ეს ძალაა, რომელიც აიძულებს კაცობრიობას, არ ჩაიძიროს ბრმა ეგოიზმში.

ჩვენ ვცხოვრობთ და ვკვდებით სიყვარულისთვის - ესაა ჩვენი ღმერთი და ღმერთი ეი - სიყვარულია.

ჩვენ უნდა ვემადლიერებოდეთ ამ გრძნობას, ყველაფრის ამხსნელსა და ამქვეყნად ჩვენი ყოფნის საზრისს.

სამყარო საოცრად დიდხანს უგულებელყოფდა სიყვარულს, იადგანაც მისი ეშინოდა. ჩათვალა ისიც, რომ შეუძლებელია მისი მართვა. და ეს ჩვენვე დაგვიპირისპირდა. კაცობრიობამ მარცხი განიცადა იმის გამო, რომ არ იკვებებოდა სიყვარულით, ამ გამორჩეული ენერგიით.

თუ ჰამდენად მნიშვნელოვანია სიყვარული, ამის ახსნა გადავწყვიტე ჩემი ცნობილი ფორმულით - $E=MC^2$.* ამ განტოლებაში მარტივი ჩანაცვლებით დავინმუნდი: რომ ჯაცობრიობის განსაკუთნებულად საჭირო ენერგია შესაძლებელია გამოიმუშაოს სიყვარულმა, გამრავლებულმა სინათლის სიჩქარეზე; და მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სიყვარული უძლავრესი ამქვეყნიური ენერგიაა, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები.

დედამიწაზე ყოველი სულიერის გადამრჩენი მხოლოდ სიყვარულია. მხოლოდ მისით შევიმეცნებთ ცხოვრების არსს, ის მოგვიპოვებს სიმშვიდეს და დაგვცავს თითოეულ მოაზროვნესა და მგრძნობიარე არსებას. მხოლოდ სიყვარულით შევძლებთ, გადავარჩინოთ ჩვენი ცივილიზაცია.

ჩემო ძვირფასო ლიზელი, საჭიროა, ვისწავლოთ ჩვენივე «მე»-ში გაზრდა და ისიც, როგორ ჩავულრმავდეთ საკუთარ თავს, სადაც აღმოსაჩენია სიყვარული. დედამიწაზე მცხოვრებმა ნებისმიერმა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს სიყვარულის ყოვლისშემძლეობა და ამ საოცარი ენერგიით მან არამარტო უნდა გაიმარჯვოს, უპირატესობაც მოიპოვოს ამქვეყნად ყველასა და ყველაფერზე. გიმეორებ, სიყვარული ჩვენი არსებობის გამართლებაა.

შესაძლებელია, ჩვენ ჯერ მართლაც არ ვართ მზად, რომ შევქმნათ «სიყვარულის მანქანა», ეს საკმაოდ მძლავრი დანადგარი, რომელიც საბოლოოდ გაანადგურებს სიძულვილს, ეგოიზმსა და სიხარბეს, ყოველივეს, რაც აცარიელებს და აღარიბებს პლანეტას.

მაგრამ ყველაფერი წინაა...

მოვა დრო და, მჯერა, მეცნიერები აუცილებლად იფიქრებენ «სიყვარულის მანქანის» შექმნაზე. და თითოეული პიროვნება, თითოეული ინდივიდი, რომელიც თავის თავში შექმნის მოცულობით უმცირესს, მაგრამ ენერგიით უძლავრეს გენერატორს, ამ პროცესის თანამონაწილე გახდება.

თითოეულ ჩვენგანში ჩაბუდებული სიყვარულის არარეალიზებული ენერგია, რა ხანია, ელოდება იქიდან თავის დაღწევას.

ძვირფასო ლიზელი, როცა ვისწავლით და გვეცოდინება, როგორ გავცეთ და მივიღოთ ეს უნივერსალური ენერგია, აღმოვაჩენთ, რომ სიყვარული მუდამ იმარჯვებს და მას შესწევს უნარი, დასძლიოს ყველა სირთულე, შეიტანოს ცვლილებები სამყაროში.

სიყვარული ხომ - ჯაცობრიობის ჯვინტესენციაა**.

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი, სრულად გამომეხატა ის, რაც ტრიალებს ჩემს გულში, გულში, რომელიც მთელი ცხოვრება უჩუმრად ფეთქავს შენთვის. იქნებ, ეს მობოდიშებაც დაგვიანებულია, მაგრამ დრო ხომ ფარდობითია.

მუდამ გახსოვდეს, ძვირფასო ლიზელი, რომ ძალიან მიყვარხარ და შენვე უნდა გიმადლოდე, რომ, როგორც იქნა, ცხოვრებისგან მივიღე საბოლოო პასუხი.

შენი მამა,
ალბერტ აინშტაინი.

* – ცნობილი ნაშრომი ფარდობითობის თეორიის შესახებ გამოქვეყნდა 1905 წელს, რამაც მეცნიერს საყოველთაო აღიარება მოუტანა. ** – წყლის, მიწის, ცეცხლისა და ჰაერის გარდა მეხუთე ელემენტი, რომელიც მათ უპირისპირდება (ფილოსოფიაში – რისამე საფუძველი).

მეფე ერეკლე II-ის დაბადების 300 წლისთავი

ქართველი ხალხის ისტორიაში განუზომლად დიდია ქართლ-კახეთის მეფის - ერეკლე II-ის როლი. „ერის თავდადებული მოამაგე", „გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე", „ბრწყინვალე სარდალი", „ეპოქის რჩეული" - ასე ახასიათებენ მას ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია.

სამშობლოში საალერსო „პატარა კახი" უწოდეს, ევროპის გაზეთები მას „აღმოსავლეთის ნაპოლეონად" და „პრინც ერეკლედ" იხსენიებდნენ, მცირე აზიაში კი „გურჯისტანის აშვებული ლომის" სახელით იცნობდნენ.

ზუსტად 300 წელიწადი გვაშორებს ღირსეული მეფის დაბადების თარიღს, 1720 წელს.*

მაგრამ პუბლიკაციაში, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს, ვისაუბრებთ არა მარტო ამ საჩინო პიროვნებაზე. გავიხსენებთ ერეკლე მეფის თანამედროვესაც, ქართულ ისტორიოგრაფიაში უსამართლოდ მივიწყებულ შიოშ გედევანიშვილს, რომლის გენეტიკური კავშირი უშორესი საგვარტომო მოვლენის იდენტურია. მეტიც: შიოშ გედევანიშვილის სახელი გაიგივებულია მისივე ეპოქის ეროვნულ პოლიტიკასთან.

დრო უძლურია, მიჩქმალოს თაობათა გამორჩეული სათქმელი: ძალიან გვიან გაცხადდება, „გეორგიევსკის ტრაქტატს", ანუ ერეკლე II-ის მიერ მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას რატომაც დაუპირისპირდა მისივე ქვეშევრდომი, მცხეთის საეკლესიო ლაშქრის სარდალი, გაბედული - შიოშ გედევანიშვილი.

ეს მისი ბიოგრაფიის ჯანსაღი ეპიზოდია, ერისთვის კი - მეხსიერების ფენომენი, ასე რომ შვენის ისტორიას.

განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ჟურნალი „იალქანი" დაუკავშირდა შიოშ გედევანიშვილის შთამომავალთ: დიდგვაროვან წინაპარზე დაწერილი მონოგრაფიის ავტორს - მანანა გედევანიშვილს, აგრეთვე, ეკა და ირაკლი გედევანიშვილებს.

მათ მიერ მოწოდებული საინტერესო მასალების, უნიკალური საარქივო დოკუმენტაციის საფუძველზე აიკინძა ერთმანეთით შევსებული თემები და შედგა ჩვენი წერილიც.

ვინც არიან „ელიოზის ძენი"

სვეტიცხოვლი. 1858 წლის ფოტო

ქრისტეს ჯვარცმას საქართველოდან წარგზავნილი ორი ებრაელი – ელიოზ მღვდელი და ლონგინოზ კარსნელი დაესწრო. როგორც იყო ნაწინასწარმეტყველები, ჯვარცმის შემდეგ იესოს კვართზე წილი ყარეს. კვართი ქართველ ებრაელებს ერგოთ. მცხეთაში მათ შეეგება ელიოზის და. ის მკერდთან მიხუტებული ღვთისმშობლის მოქსოვილი კვართითვე გარდაიცვალა.

სამი საუკუნის შემდეგ, წმინდა ნინოს რჩევით პირველმა ქრისტიანმა ქართველმა მეფემ – მირიანმა ეკლესია ააგო სწორედ იმ ადგილას, სადაც ელიოზის და კვართთან ერთად განისვენებდა. უკვე XI ს.-ში აქვე აღმართეს ქართული ეკლესიის მთავარი ტაძარი – სვეტიცხოველი.

საყურადღებოა, რომ ელიოზის მემკვიდრეებად მემატიანე სწორედ გედევანიშვილთა გვარის წარმომადგენლებს მიიჩნევს.

„ყოველთა კაცთა თვითეულთა თვისი სახლი და მშობელნი უყვარსთ", – ასე იწყებს საკუთარი გვარის, გედევანიშვილთა ისტორიას XVIII-XIX ს.ს.-ში მოღვაწე იონა მიტროპოლიტი. **აღნიშნავს იმასაც, რომ „გედეონის ძეები ელიოზის ძენი არიანო".** ამავე ეპოქის ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაში **„კალმასობა" ავტორი იოანე ბატონიშვილი ასე მიმართავს თავის თანამედროვეს – ბეცია გედევანიშვილს: „აქ გამოჩნდა კვართი იესო ქრისტესი, ისევ თქვენის გვართაგან მოტანილი".**

* – ერეკლე II-ზე წერილები დაიბეჭდება „იალქნის" მომდევდო ნომრებშიც (№46, №47).

ერეკლე II-ის დროს მოჭრილი მონეტები

სვეტიცხოვლის ტაძარში, XVII ს.-ის ერთ-ერთ ფრესკაზე „უფლის ჯვარცმა“ კვართის მტვირთველი – ელიოზიცაა გამოსახული.

გედევანიშვილები მცხეთის მოურავები და საეკლესიო ლაშქრის სარდლები ყოფილან და ეს მათ მოსაყდრეობითი უფლებით გადაეცემოდათ. ერთ-ერთ სიგელში ერეკლე II ბეცია და შიოშ გედევანიშვილებს „სვეტიცხოვლის სამართლიან მსახურებად“ მიიჩნევს. ეს ბუნებრივიცაა: საქართველოს ყველა კათალიკოს-პატრიარქი სვეტიცხოვლის „ჯვრის მტვირთველებად“ სწორედ მათ, გედევანიშვილებს ასახელებს.

ეს გვარი საკათედრო ტაძრის ეზოშივე სახლობდა. და ამ პატივით მხოლოდ რამდენიმე გვარის წარმომადგენლები სარგებლობდნენ (ეგაძეები და ნათიშვილები).

ეკა გედევანიშვილის განმარტებით, მათ ოჯახში დაცული ცნობებით, გედევანიშვილები სვეტიცხოვლის გასაღებსაც ფლობდნენ (ტაძრის საბუთებში არაერთგზის ჩნდება „კლიტეს მფლობელთა“ თანამდებობა). გედევანიშვილთა საგვარეულო გერბზეცაა გამოხატული გასაღები, რომელიც ეკლესიის ზოგად-ქრისტიანულ სიმბოლოსთან ერთად, შესაძლოა, ქალაქის მოურავობის აღმნიშვნელიც ყოფილიყო (მით უმეტეს, რომ ქართველ თავადთა გერბებში არცთუ ხშირადაა გამოსახული გასაღები). **აშკარაა, რომ საუკუნეთა მანძილზე მცხეთის საკათალიკოსო ცხოვრებაში გედევანიშვილთა, ანუ „ელიოზის ძეთა“ ღვაწლი განსაკუთრებულია.**

„დიდი პოლიტიკისგან განწირული...“

პუბლიკაციის შესავალში უკვე ითქვა, რომ შიოშ გედევანიშვილი იყო სამეფო კართან დაახლოებული ის დიდგვაროვანი, ვისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა ერეკლე II-ის პოლიტიკური კურსი; საეკლესიო ლაშქრის სარდალმა „გეორგიევსკის ტრაქტატი“, ანუ რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის მოქცევა არ მიიჩნია ისტორიულ გადაწყვეტილებად. როგორც ის თვლიდა, მართალია, ქართული სახელმწიფოებრიობა არ გაუქმდა, მაგრამ შეიზღუდა და შეილახა მისი სუვერენიტეტი.

ერეკლე II-სა და შიოშ გედევანიშვილს შორის ახლო და ჯანსაღი დამოკიდებულება გადაიზარდა უთანხმოებაში (ამაზე უფრო კონკრეტულად შევჩერდებით ქვევით).

ერეკლე II ქართლ-კახეთის ერთპიროვნული ხელმწიფე გახდა 1762 წელს, როცა გარდაიცვალა მამამისი, ქართლის მეფე – თეიმურაზ II. მეფე, რომელმაც 500-მეტი ომი გადაიხადა (ერეკლეს პირველი საბრძოლო ნათლობა 15 წლის ასაკში შედგა), ლაშქარს ხან წინ მიუძღოდა და თანამებრძოლთ საომრად განაწყობდა, ხანაც მტრის პირისპირ უშიშრად იდგა და ხანაც უბრალო ჯარისკაცივით ცხოვრობდა.



ერეკლე II ხელს აწერს „გეორგიევსკის ტრაქტატს“

მტერთა მუდმივი შემოსევების მიუხედავად, ერეკლე II-ემ განადგურებული სახელმწიფო იმდენად გააძლიერა, უკანასკნელი 300 წლის ქართული რეალობის სურათი ძირეულად შეიცვალა. მეფემ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის:

შექმნა მუდმივი ჯარი და სახელმწიფო-საუწყებო დარგები – „საგარეო საქმეთა“, „სახელმწიფო შემოსავლების“, „სამხედრო საქმეთა“, „განათლების“; დააარსა სასულიერო სემინარიები და სკოლები; აღდგენილ სტამბაში დაიბეჭდა „სახარება“, „დავითნი“, „ვეფხისტყაოსანი“, „კარაბადინი“; აქვე ითარგმნა და გამოიცა ფიზიკისა და ქიმიის სახელმძღვანელოები; ამუშავდა შაქრის, მინის, ბროლის, შალის, თამბაქოს, სანთლის, საპნის, აგურის ფაბრიკა-ქარხნები, თიხისა და ჭურჭლის დამამზადებელი, ზეთისა და მარილის სახდელი საწარმოები; განახლებულ ზარაფხანაში მოიჭრა ვერცხლისა და სპილენძის ფული*; ფუნქციონირება დაიწყო იარაღის, დენთის, ზარბაზნის დამამზადებელმა ქარხნებმა.

და მაინც: ირანიდან და ოსმალეთიდან მუდმივმა საშიშროებამ, მზარდმა თავდასხმებმა ჩრდილო კავკასიიდან (განსაკუთრებით, ლეკების) შეასუსტა საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

ისტორიკოსი ვახტანგ გურული აღნიშნავს:

„ქვეყნის გადარჩენისთვის ერეკლე მეფემ იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო... დიდი პოლიტიკისაგან განწირული ცდილობდა, ეხსნა სამშობლო... XVIII ს.-ის 60-იანი წლების დამდეგიდან დასრულდა ერეკლე II-ის პროირანული ორიენტაცია; დაიწყო ახალი, პრორუსული კურსის შემუშავება“.

ერეკლე მეფის მიზანი იყო, ქვეყანა გადაეყვანა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ევროპულ წყობაზე. დასავლეთისკენ მიმავალ გზად ის რუსეთთან ურთიერთობას მიიჩნევდა; იმედოვნებდა, რომ რუსეთის სახელმწიფო უზრუნველყოფდა მისი ქვეყნის წინსვლასა და ერის დაცვას მტერთაგან.

„გეორგიევსკის ტრაქტატი“ ანუ, რატომ „სამეგობრო შეთანხმება?!“

1782 წლის ბოლოს ერეკლე II-ემ რუსეთის იმპერატორს, ეკატერინე II-ეს თხოვნით მიმართა, რუსეთს ეკისრა საქართველოს მფარველობა.

1783 წლის 18 ივლისს, ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში**, წინასწარ შემუშავებული ცერემონიალის მიხედვით, საქართველოს დელეგაცია „დიდი ზეიმით“ მიიღეს.

რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთს შორის დადებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“, ანუ, როგორც მას მზაკვრულად უწოდეს – „სამეგობრო შეთანხმება“ – გაფორმდა 1783 წლის 24 ივლისს. ეს იყო პირველი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში. პირადი ბეჭდების დამოწმებით მას ხელი მოაწერეს – რუსმა გენერალმა პავლე პოტიომკინმა, ქართველმა თავადებმა – იოანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ.

ქართული მხარის ძირითადი მოთხოვნით, ერეკლესა და მის შთამომავლებს უნდა შენარჩუნებოდათ ქართლ-კახეთის მეფობა, ხოლო ეკლესიას – კათალიკოსობა. ეს იყო საქართველოსთვის ის პოზიტივი, რასაც ტრაქტატის ტექსტი შეიცავდა.

13-მუხლიანი ხელშეკრულების პირველივე არტიკულში*** აღნიშნულია: ქართველი მეფე მისი მემკვიდრეების სახელით საზეიმოდ აცხადებდა, რომ არ ცნობს სხვათა მფარველობას, გარდა რუსეთისა; პირობას საქართველოს დაცვის შესახებ დებდა ეკატერინე II-ეც; ბაგრატიონების სატახტო მემკვიდრეობა ხელშეუხებელი იყო, მაგრამ მის სამეფო რეგალიებსაც ამტკიცებდა რუსეთის ხელმწიფე; საქართველოს მტერი რუსეთის მტრად ცხადდებოდა; რუსეთი თავის თავზე იღებდა თურქეთსა და ირანში დატყვევებული ქართველების სამშობლოში დაბრუნებას; რუსეთში ქართველ თავადაზნაურობას ისეთივე პრივილეგია ენიჭებოდა, როგორც ადგილობრივებს და ა.შ. (თუმცა რუსეთმა „ტრაქტატით“ ნაკისრი არც ერთი პუნქტი არ შეასრულა; როცა აღა-მაჰმად-ხანი 1795 წელს შემოესია თბილისს, რუსებმა მოხუცი ერეკლე მარტოდმარტო შეატოვეს სპარსელებს. ქართველებზე ბევრად აღმატებულმა მტერმა 12 სექტემბერს აოხრა თბილისი, რუსმა გენერალმა გუდოვიჩმა კი მხოლოდ 1 ოქტომბერს შემოიყვანა ჯარი აღმოსავლეთ საქართველოში).

„გეორგიევსკის ტრაქტატი“. ერეკლე II-ის ხელმოწერით

*** – ერეკლეს მემკვიდრის, გიორგი XII-ის დროს, 1804 წელს, მოიჭრა ბოლო ქართული მონეტა.**
**** – ის ამჟამად დანგრეულია. *** – ძველ რუსეთში: ოფიციალური დოკუმენტის მუხლი.**

ყველაზე მთავარი: **„გეორგიევსკის ტრაქტატის“ გაფორმებამდე წარდგენილი პროექტით ქართველ მღვდელმთავარს ანტონ I-ს რუსული ეკლესიის იერარქიაში IV ადგილი უნდა დაესაკუთრებინა;** თუმცა აღმოვჩნდით სხვა რეალობის წინაშე.

ხელშეკრულების დადების შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრ-იერარქთა შორის დაიკავა არა IV ადგილი (თუმცა, ამითაც ილახებოდა ჩვენი ეკლესიის ღირსება), არამედ VIII ადგილი (ტობოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ); ანუ 7 სასულიერო პირი სინოდში ჩვენ მღვდელმთავარზე მეტი პატივით ისარგებლებდა.

და ეს მაშინ, როცა ანტონ I-ის რანგის იერარქი იმხანად რუსეთს არ ჰყავდა.

განმარტებისთვის იმასაც ვიტყვით, რომ 1700 წლიდან 1917 წლამდე რუსეთს პატრიარქი საერთოდ არ ჰყავდა; სინოდის წევრები იყვნენ იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომნი: არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, მიტროპოლიტები.

არადა, როდესაც რუსეთთან კავშირის ძირითად პირობად ქართული მხარე მეფობის, ბაგრატიონთა დინასტიის უცვლელად შენარჩუნებას ითხოვდა, იქვე მკაფიოდ აცხადებდა: „მსგავსადვე კათალიკოზიცა წესსავე თავისა ეგოს მოუშლელად“. ეს კი ნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესიის მამამთავარს შეუნარჩუნდებოდა ავტოკეფალია. მაგრამ VIII მუხლი, რომელიც სწორედ ქართული ეკლესიისა და კათალიკოს-პატრიარქის დამოუკიდებლობის გარანტი უნდა ყოფილიყო, მთლიანად რუსების ინტერესთა იდენტური აღმოჩნდა.

ანტონ I-ის პორტრეტი. XVIII ს.

აი, როგორ აფასებს „ტრაქტატს“ აკაკი ბაქრაძე: **„როცა დიდი ბრიტანეთის სამეფომ ირლანდიის სამეფო შეიერთა, სახელშეკრულებო აქტი ასე გაფორმდა: „1801 წლის 1 იანვარს შეიქმნა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის შეერთებული სამეფო“. უკვე იმავე 1801 წელს კი რუსეთმა პირწმინდად გააუქმა საქართველოს სამეფო, მისი სახელწოდებაც მოსპო და უწოდა „თბილისისა“ და „ქუთაისის გუბერნიები“, ფორმალურადაც რომ არ დარჩენილიყო საქართველოს სახსენებელი“.**

ძნელი მისახვედრი არაა, რატომაც დაერქვა „გეორგიევსკის ტრაქტატს“ „სამეგობრო შეთანხმება“!

შეუპოვარი შიოშ გედევანიშვილი*

„გეორგიევსკის ტრაქტატის“ ოფიციალურ გაფორმებამდე ქართველებსა და რუსებს გარკვეული სავალდებულო ეტაპები უნდა გაევლოთ, ერთმანეთისთვის შეეთანხმებინათ საჭირო დოკუმენტაცია.

ერეკლე მეფის ბრძანებით ასე შედგა თავადაზნაურთა ოფიციალური სია, რომელიც წარმოადგენდა ტრაქტატის უცილობელ დანართს და რომელსაც უნდა გასცნობოდა რუსეთის იმპერატრიცა.

პოლიტიკურ ხელშეკრულებამდე ერთი თვით ადრე, 1783 წლის 28 ივნისს ერეკლე II-ემ ხელი მოაწერა იმპერიისთვის წარსადგენ სიას. ელჩობა, 24 კაცის შემადგენლობით, მალევე გაემგზავრა პეტერბურგში. თან გაიყოლა ნუსხა, 379 ქართველის გვარ-სახელით (მათ შორის, იყო 62 თავადი და 317 აზნაური). ტრაქტატის დებულებით, თითოეულს ენიჭებოდა რუსეთის თავადაზნაურებთან გათანაბრებული უფლებები. მიზეზთა გამო ამ ოფიციალურ სიაში სხვა გვარებთან ერთად (ვახტანგიშვილები, ბაგრატიონ-გოჩაშვილები) არ მოხვდნენ გედევანიშვილები.

არადა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი იყვნენ მეფის უახლოესი ადამიანები. მით უფრო, შიოშ გედევანიშვილი იყო ერეკლე II-ის ნდობით აღჭურვილი პიროვნება.

აი, რას ვკითხულობთ შიოშ გედევანიშვილის შთამომავლის, მანანა გედევანიშვილის წიგნში „გვარი – ელიოზისძეთა ძენი“:

„მეფე ერეკლე 1776 წელს განწესების წერილით მიმართავს მცხეთელ მოურავს – შიოშ (შიო) გედევანიშვილს: „მისის უწმინდესობის, კათალიკოს-პატრიარქის ანტონისაგან მცხეთას დადგინებულნი ხართ... უფროსად სარდალი შიოშ“.

*** – ეს თავი მომზადდა მანანა გედევანიშვილის წიგნის „გვარი – ელიოზისძეთა ძენი“ მიხედვით.**

როგორც მიგვანიშნებს ეს ისტორიული ქრონიკა, მეფე ერეკლეს განჩინებით, შიოშ გედევანიშვილს ჯერ კიდევ XIX ს.-ის 70-იან წლებში მოსაყდრეობით ერგო საკათალიკოსო (საეკლესიო) ლაშქრის სარდლის თანამდებობა. მეტიც: როცა 1770 წელს ერეკლე II-ემ სარდლობის მემკვიდრეობითი ინსტიტუტი გააუქმა, გედევანიშვილებს ეს პატივი პრივილეგიად დაუტოვა. მაგრამ „ტრაქტატზე“ თანდართულ თავადაზნაურთა ნუსხაში ასეთი მაღალი იერარქიული თანამდებობის პიროვნება არაა შეყვანილი. მიზეზი? ეს იყო მცხეთის მოურავისა და საეკლესიო ჯარის მხედართმთავრის ურჩობა.

როდესაც ერეკლე მეფემ რუსეთთან დაახლოება გადაწყვიტა, გამორჩეული სასულიერო პირის პროტესტი კატეგორიული იყო: მან ჩათვალა, რომ რუსეთ-საქართველოს ამ ხელშეკრულებით ქართულ ავტოკეფალიას საფრთხე დაემუქრა; რომ იერარქიასთან დაკავშირებული მუხლობრივი შეუსაბამობით შეილახა ქვეყნის ავტორიტეტიც. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ხელშეკრულების სწორედ VIII არტიკული. ხელმწიფე-ქვეშევრდომს დაეძაბა ურთიერთობა და განაწყენებულმა ერეკლე მეფემ „ტრაქტატის“ მოწინააღმდეგე გედევანიშვილი არ შეიყვანა თავადაზნაურთა სიაში.

„გეთხოვნათ... მოწმობა კნიაზობისა“

უკვე ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1805 წლის ბოლოს, მიტროპოლიტი იონა (გედევანიშვილი) დარეჯან დედოფალს (მეფის თანამეცხედრეს) უგზავნის წერილს, სადაც სთხოვს მას, დაამოწმოს მისი თავადური ნარმომავლობა; ანუ, გედევანიშვილთა თავადურ გვარს აღუდგინოს გაუქმებული წოდებრივი რეგალია (რაც მეფესთან კონფლიქტის გამო მოხდა).

დარეჯან დედოფალი მიტროპოლიტ იონას (გედევანიშვილი) პასუხად სწერს:

„1806, იანვრის 8; სამღუდელო მიტროპოლიტო, უფალო იონავ, თქუენი წიგნი მოგვივიდა, რომელშიც გეთხოვნათ ჩუენგან მოწმობა ბიძის თქუენის გედეონიშვილის მოლარეთ-ხუცესის პაატასი და თქუენის ბიძის – გედეონიშვილის გიორგის კნიაზობისა“.

ურჩობისთვის დასჯილ გედევანიშვილებს უფრო მოგვიანებით დაუბრუნდათ თავადური წოდება.

მართლაც რომ, განსაკუთრებულია შიოშ გედევანიშვილის პიროვნული ღვაწლი ქვეყნის ისტორიაში. ერეკლე II-ის უერთგულესი ხელქვეითის – შიოშ გედევანიშვილისადმი მიძღვნილ ტელეფილმში ითქვა, რომ **„რუსეთის წინააღმდეგ ორსაუკუნოვანი ომის ერთ-ერთი პირველი ჯარისკაცი და რუსეთთან მებრძოლი საქართველოს პირველი სარდალი შიოშ გედევანიშვილია, ერეკლე მეფის თანამედროვე და მის ოჯახთან დაახლოებული დიდგვაროვანი“.**

„თბილისის ხედი“. ნიკონორ ჩერნეცოვი. 1830 წ.

P.S. ორ-ნახევარი საუკუნე გვაშორებს პუბლიკაციაში ასახულ ეპოქას, განსხვავებული რეალობის ფაქტებსა და ასე გამორჩეულ ერეკლე II-ეს, ვინც მეფური ნიჭიერებით 63 წლის მანძილზე მალალზნეობრივი ღვაწლით ემსახურა მშობლიურ ქვეყანას.

განუწყვეტელმა ომებმა და ამ ომებში გამარჯვებებმა ევროპაშიც ისე გაუთქვა სახელი ქართველ მეფეს, რომ გერმანელი მეფის - ფრიდრიხ II დიდის ცნობილი ფრთიანი ფრაზა ისტორიის ნაწილად იქცა:

„დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში პრინცი ერეკლე, ქართველთა მეფე!“

მზია ხეთაგური

სითბო

რა ცოტა სითბო ჰყოფნის ჩიტებს, რა ცოტა სითბო...
რა ცოტა წყალი მელნისფერ იებს, მელნისფერ იებს...
კვდებიან თითქოს, უნუგეშოდ, კვდებიან თითქოს,
კაცი ვერ იგებს, ისე ჩუმად, კაცი ვერ იგებს!
სულ არ სჭირდებათ სითბო მერე, ო, სითბო მერე,
გული არ გულობს როცა გულში, გული არ გულობს...
რა ბევრი სითბო სჭირდება ხელებს, სჭირდება ხელებს,
რომ დააპურონ ია და ჩიტი, რომ დააპურონ!

„საზღვარი“ – ჩემი პანთეონი

ანდერძი

ჩემი ბავშვობის სასუფეველო!
გულნატყვიარო ჩემო ცხინვალო!
ჩემო ოსებო და ქართველებო!
ზღუდრის საყდარში სანთლის ციალო!
ერთმანეთს ქვები რომ დავუშინეთ –
მტერი ზეიმობს სახემცინარი!
თამარს მისტირის თამარნაშენი,
მავთულხლართებში ტყვეობს ცხინვალი!
დამასაფლავეთ ზედ იმ „საზღვარზე“,
ამ სიყვარულის უსაზღვროებით!
გულის ჭიშკარი მე ვერ ჩავრაზე
აქ – ქართველების, იქით – ოსების!
დამასაფლავეთ ფარდაახდილი,
ზურგში მახვილით, ცით გაფრენილით!
დამასაფლავეთ, როგორც სამხილი,
როგორც მანდილი – ძირს დაფენილი!
დამასაფლავეთ ნიშნად სირცხვილის,
ნიშნად ლაჩრობის, ნიშნად მტრობისა!
დამასაფლავეთ, როგორც სიკვდილი,
თავლაფდასხმული ჩვენი ძმობისა!
დამასაფლავეთ, როგორც სინდისი –
სიმართლეს თავი რომ ვერ არიდა,
დამასაფლავეთ, როგორც „სიმდი“ და,
როგორც „ჩაკრულო“, ან „ვარაიდა!“
უსამართლობით გულშემზარავი –
დაასაფლავეთ თავად საზღვარი –
ჩვენი წარსულის უღვთოდ მპარავი,
სისხლით და ცრემლით გაუმაძღარი!
გულში დაჭრილი, ჩექმით მღაფავი,
ვერ გადავდივარ ძმებთან ალავერდს!
დაასაფლავეთ ჩემი საფლავიც და,
ეს ლექსებიც დაასაფლავეთ!

ძვირფასო ყმაწვილებო!

„იალქნის" წინა ნომერში (№44) დასრულდა სულხან-საბა ორბელიანის სამაგიდო „სიტყვის ჯონიდან" დრო-ჟამისგან მივიწყებული და, რა თქმა უნდა, ანბანის თანმიმდევრობით დალაგებული, ულამაზესი ქართული სიტყვების თქვენთვის „ამოკრეფა". დარწმუნებულნი ვართ, ყურადღებით გაეცანით ამ უძველეს სალაპარაკო ნიმუშებს და ლექსიკაც უფრო გაიმდიდრეთ.

ეს საინტერესო პროცესი რომ გაგრძელებულიყო და, შესაძლოა, თქვენი ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებიც უფრო სახალისო გაგვეხადა, ამჯერად გადავშალეთ ჩვენი უდიდესი მეცნიერის - არნოლდ ჩიქობავას შეუდარებელი „ქართულის ენის განმარტებითი ლექსიკონი". იგივე პრინციპით შეივსება რუბრიკის „ო, ენავ ჩემო" გვერდებიც.

დღეს გაეცნობით „ა" ასოს მწკრივში მოცემულ სიტყვებს, განმარტებებთან ერთად. იცით, ან გახსოვთ, რას ნიშნავს, მაგალითად: „აკინაკი", „ალავი", „ამბარი", „ამპიწი", „არგანი" და კიდევ მრავალი სხვა?

მათი გონივრული გამოყენება დაგეხმარებათ, იყოთ ბევრად თავდაჯერებულნი ყოფით ყოველდღიურობაშიც და სწავლების დროსაც.

• ა •

აკინაკი – შუბი

აამტუტებს – აურ-დაურევს, ააფორიაქებს
აბლატუნებს – თვალებს უშნოდ ახამხამებს
აბუეტი – შტერი, ჩერჩეტი
აგავა – გუთანი
ადრაგუნე – ახმახი
აეშაგი – ჯაშუში
ავგარდანი – ტოლჩა (ლითონის პირღია ყურებიანი ჭურჭელი)
ავენა – ანჩხლი, ავი
ავთვალადი – ულამაზო

ალანდერი – ბროწეულის ქერქი

ავლი – ნაცარი
ავმუცელა – ღორმუცელა
ავჟანდი – უზანგი
ავხელი – ქურდი
აზატი – თავისუფალი
აიაზმა – ნაკურთხი წყალი
აიკანჭურებს – ფეხს მოხრის და ასწევს
აკანო – საყდარი
აკინაკი – შუბი

აკვედუკი – ერთი ნაპირიდან მეორეზე წყლის გადასაყვანად ხევზე გადებული ღარი
ალაბალა – დავა
ალავი – საქორწინო საჩუქარი, სასიძოსგან მირთმეული
ალათა – ჩარჩო (ფანჯრის)
ალამდარი – მედროშე
ალანდერი – ბროწეულის ქერქი
ალაფი – ნაძარცვი, ანაკლები
ალერდი – ნედლი ბალახი
ალიკაპი – აღვირი

აკანო – საყდარი

ალკაპი – ბუდე
ალოღლეტია – უქნარა
ალხი – მჭლე, გამხდარი პირუტყვი
ამბარი – დიდი ტევადობის ხორბლეულის სათავსო
ამლაყი – ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი
ამპინწი – ამაყი
ამბოკარი – ბოგანო, უსახლკარო
ამოსხარტული – ლამაზი
ამირეჯიბი – (არაბ.) მეფის კარზე: დარბაზობის დროს წესრიგის მეთვალყურე

ალკაპი – ბუდე

ამლაყი – ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი

ანკანაკობა – ლხინი, დარბაზობა
ანკვირა – ღუზა
ანკინაკი – შუბი
ანწუხი – წვეტიანი ისარი
აპნისი – იანვარი
არგანი – გრძელი საბჯენი ჯოხი; კვერთხი
არკაუჭა – ანჩხლი
არმაღანი – ძვირფასი საჩუქარი

ანკვირა – ღუზა

არმუჯი – უწყლო ღვინო
არქიელი – მღვდელმთავარი
არხლი – თოვლის ფიფქი, დნობის შემდეგ შეყინული
არჯალი – (არაბ.) აღსასრულის დღე (1); ანჩხლი (2)
ასაბია – გასვენებაზე შორიდან მოსული ჭირისუფლის მხლებლები
ასალი – ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი
ასასი – ღამის დარაჯი (ასასივით ადგას თავზე)
ატყაჭუნა – ჭორიკანა

აჭალ-ბუჭული – მცირეწლოვანი ბავშვები

აფრაკი – შტერი, მოსულელო (1);
გამრუდებული ფიცარი (2)
აღაპი – მიცვალებულთა მოხსენიების წიგნი (1);
ხსოვნა, ქელეხი (2)
აშაბაშება – დასრულება
აჩაბაჩა – აბდაუბდა; რაღაც-რაღაცეები
აჩაჩა – გუთანი, კავი
აჭალ-ბუჭული – მცირეწლოვანი ბავშვები
აჭარპანი – სტვირი

აჭიაბაჭია – აბდაუბდა, მოსაწყენი საუბარი
აჭიმი – შარვლის დასამაგრებელი სამხრე
ახო – საყანედ გაკაფული ტყე
ახტა – მამალი ცხენი
ახტაშირა – შუშხუნა ღვინო
აღსავალი – აღსავლის კარები (ეკლესიაში საკურთხევლის შუა კარები)
აჩიკუდა – ზურგზე შესმული ბავშვის წინ-უკან ქანაობა

აჭიმი – შარვლის სამხრე

„არენას“ პირველი გვერდი

რომ არა სოციალური ქსელი, ძალიან ხშირად დასამყარებელ ურთიერთობათა ასე მომგებიანი ინტერნეტ-სივრცე, ახალგაზრდა სოხუმელი მხატვარი ირმა გელანტია და იაპონელი პროფესორი რიო ჯოჯიმა ერთმანეთს ვერასოდეს გაიცნობდნენ.

არადასავლური კულტურის ხელოვნება, მით უფრო, იაპონური მხატვრობა მუდამ გამოირჩეოდა კომპოზიციური და ფერწერული გამომსახველობით. ამდენად, „ამომავალი მზის ქვეყნიდან“ მოსული მესიჯი (ისიც, ხელოვნისგან) - „ირმა, თქვენ საინტერესო მხატვარი ხართ“, იყო მოულოდნელიც, მომხიბლავიც.

იაპონიის ქ. ნარის უნივერსიტეტის პროფესორმა, შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალ „არენას“ მთავარმა რედაქტორმა ბატონმა ჯოჯიმამ, დაინტერესდა რა ირმას მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული ნამუშევრებით, თავისივე ჟურნალის გვერდებზე მას ვრცელი სტატია მიუძღვნა (ყდაზე ნახატის გამოტანითა და სხვა 11 ნაწარმოებითაც).

ახალგაზრდა მხატვრით აღფრთოვანებული იაპონელის შეფასება უთუოდ მოხიბლავს მკითხველს; თუმცა, ამ წერილით დაინტერესებულთ სხვა ექსკლუზივიც ელოდებათ: იაპონური პუბლიკაცია „იალქნისთვის“ ჩვენივე თხოვნით საგანგებოდ თარგმნა ახალგაზრდა იაპონელმა ქართველოლოგმა, ტოკიოს უნივერსიტეტის დოქტორანტმა ჰაიატე სოტომემ. მან ისიც „გაგვიმხილა“, რომ მუშაობს სადოქტორო თემაზე - უკვე შერჩეული აქვს ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები.

იაპონელმა ქართველოლოგმა მომავალში „იალქანთან“ თანამშრომლობის სურვილიც გამოხატა. სიამოვნებით დავაანონსებთ, რომ ჟურნალის შემდეგ ნომერში (№46) გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის ავტორი უკვე ბატონი ჰაიატე იქნება.

ირმა გელანტია – ტრადიციულიც, აკადემიურიც*

რიო კოჯიმა
იაპონურიდან თარგმნა ჰაიატე სოტომემ

საუბარი მინდა, დავიწყო შეკითხვით: რა აკავშირებს მას ბოლო წლებში ნაივად** წოდებულ მხატვრულ სტილთან? როგორც ხშირად აღნიშნავენ, „ნაივისტებს“ საერთო არაფერი ჰქონდათ ხელოვნების სალონებთან, არ ფლობდნენ აკადემიურ განათლებას, თან სხვა პროფესიისანი იყვნენ. მათი ნამუშევრები არ იყო დახვეწილი, ტექნიკურადაც „ბავშვურად“ გამოიყურებოდა; თუმცა, თუკი ერთხელ სამყაროს „ნაივისტების“ თვალით აღიქვამ, თუკი ნაივის ჯადოქრობაში ერთხელ მაინც გაეხვევი, ამის შემდეგ პლანეტის მხოლოდ ასე დანახვა მოგინდება.

რასაკვირველია, ნაივი დღეს ხელოვნების ბაზარზეც უკვე თავის უზარმაზარ ნიშას ქმნის. ეს ე.ნ. „გულუბრყვილობა“ დახვეწილი მხატვრული სტილის ერთ–ერთ თავისებურებად იქცა.

XIX ს.–ის ბოლოსა და X ს.–ის დასაწყისში ევროპაში გამოჩნდნენ არა–სალონური მხატვრები. რა თქმა უნდა, მაგონდება ფრანგი ანრი რუსო, პირველი ევროპელი ნაივისტი მხატვარი.

ირმა გელანტია

რუსოს რომ არ გამართლებოდა და აპოლინერისა და სხვა მეგობრების ხელშეწყობით „დამოუკიდებელ მხატვართა საზოგადოებაში“ არ აღმოჩენილიყო, დიდი ალბათობით ის დიდხანს დარჩებოდა უცნობ მხატვრად და მისი ეპოქის სხვა ხელოვანთა დარად სიღარიბეს მარტოობასა და იზოლაციაში გაატარებდა.

„ნაივისტები“ რეგიონებში შეაფასეს, როგორც „ნაციონალური მხატვრები“. მაგალითად, ლიეტუელი ჩურლიონისი, უნგრელი ქჩონტვარი; მაგრამ ქართველი ფიროსმანი ზოგადსაკაცობრიოა იმით, რომ მისი შემოქმედების მოტივია „მასები“ და არა „ნაცია“.

თუ ბევრ სხვა რეგიონსაც გადავნვდებით, ეს ჩამონათვალი, დამერწმუნეთ, ძალიან გაიზრდება. ამ ნუსხას, შეგვიძლია, მივამატოთ, მაგალითად, ებრაელი შაგალიც; კიდევ ერთ, რუს მარიანა ვერიოვკინასაც თუ გავიხსენებთ, „ნაივისტი“ მხატვრების ზოგადი სურათის დანახვას უკეთესად შევძლებთ.

* – გთავაზობთ საკმაოდ მოცულობითი სტატიის შემოკლებულ ვერსიას.
** – ხელოვნებაში ასე უწოდებენ თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედებას.

როდესაც ირმა გელანტიას მიერ შექმნილმა სამყარომ ასე დამაინტერესა, არ მომინდა, მასთან მიმართებაში ნაივთან პარალელების გავლებით არაზუსტი ვყოფილიყავი.

ირმას სტილი, თუ კარგად გავიაზრებთ, არის უკიდურესად ტრადიციულიც და, ამასთან, აკადემიურიც; და იგი „გულუბრყვილო" სულაც არაა.

უფრო მეტიც: ჯერ კიდევ შერვაშიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შექმნილი მისი ნამუშევრები სეზანსა და მონეს* უფრო გვაგონებს. ეს ადრეული ტილოებიც იმდენად სრულყოფილია, იმთავითვე იგრძნობა, რომ თუკი ის ამ გზიდან არ გადაუხვევდა, თვითმყოფად მხატვრად ჩამოყალიბდებოდა.

ახლანდელი გამორჩეული სტილი, ვფიქრობთ, განაპირობა გარემოებამ, რომელმაც „ამოაყირავა მისი მსოფლმხედველობა", იმ სხვადასხვა ფაქტორმა, ერთიანად რომ შეერწყალა ხელოვანის ცხოვრება: აფხაზეთის სამოქალაქო ომმა (ავტორი ასე მოიხსენიებს რუსეთ–საქართველოს ომს; რედ.), დევნილობამ, თბილისში გადმოსვლამ, ომისშემდგომმა გარდამავალმა პერიოდმა; ირმას თვითმყოფადი მანერის გულწრფელობა გამოკვეთა ქართულ რეალობაში დამკვიდრებულმა ახალმა შემოქმედებითმა ტენდენციებმაც.

„გველთან მებრძოლი"

მოდი, კიდევ მოგიყვებით ირმას შესახებ:

იგი 1978 წელს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ყოფილი საბჭოთა კავშირი), სოხუმში დაბადებული ქართველია. აღვნიშნავ იმასაც, რომ დიდი სუმოს ისტორიაში პირველი კავკასიელი სუმოისტი კოკაიც** 1981 წელს სოხუმში დაბადებული მეგრელია (მეგრელები, ეს ეროვნული უმცირესობა, თავს ქართველებად თვლიან. ბერიაც, საბჭოთა პერიოდის პოლიტიკოსი, მეგრელი იყო). დღეს ორივე, ირმაც და კოკაიც თბილისში ცხოვრობენ და ამის მიზეზი, როგორც ზემოთ გითხარით, საბჭოთა კავშირის დაშლა და აფხაზეთში დაწყებული სამოქალაქო ომი იყო. ეთნიკური ნმენდის გამო ქართველები იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავისი „ქვეყანა".

უკვე შემდგომ, თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლებისას გამოიკვეთა მისი, როგორც მხატვრის, ორი თავისებურება. ჩემთვის ეს „ორი აღმოჩენა" იყო.

ვიცი, უმალვე დამეთანხმებით: მის ნამუშევრებში იგრძნობა ფერნანდო ბოტეროს*** დიდი გავლენა! თვალშისაცემია სწორედ ბოტეროს მსგავსი ბიბლიური სამყაროს სავსე სხეულები, საფლესასწაულო სივრცე და „მითოლოგიური მოტივებით" გატაცება.

მაგრამ, თუ ირმას სამყაროს გავაიგივებთ ბოტეროსთან, გაუგებარი იქნება კითხვები, რომელზეც მოგვინევს პასუხის გაცემა: საიდან იღვრება ამდენი თავისუფალი სივრცე? ან რატომ გვეუფლება ამაღელვებელი განცდა, რომ არა ხარ ამ სამყაროს ნაწილი?

* – პოლ სეზანი, კლოდ მონე – გასული საუკუნის უდიდესი ფრანგი მხატვრები. ** – კოკაის ნამდვილი გვარ-სახელია ლევან ცაგურია. *** – ცნობილი თანამედროვე კოლუმბიელი მხატვარ-სკულპტორი.

„სააღდგომო კულიჩი“

ამ კითხვებზე პასუხის გაცემით აღმოვაჩინე ის მეორე თავისებურებაც: მიუხედავად იმისა, რომ ირმას ნახატები ფიროსმანისგან განსხვავებულია, იგრძნობა, რომ მათ აქვთ საერთო გარემო. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ნამუშევრები შექმნილია იმ შემოქმედის მიერ, რომელიც ფიროსმანთან მჯიდროდ არის დაკავშირებული.

ბოტეროს „ჩრდილქვეშ“ მოქცეული მხატვრის თანამედროვე ფერმწერად ჩამოყალიბების პროცესი ირმას შინაგანი პროგრესია. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართველ მხატვრებში ფიროსმანის გადაფასება დაიწყო და ირმას, როგორც შემოქმედის, ხელახალი აღმოჩენაც პირდაპირ კავშირშია ამ მოძრაობასთან.

ფიროსმანი განსაკუთრებულად პოპულარული გახდა სტალინის ბოლო პერიოდში – არა იმიტომ, რომ სტალინი ქართველი იყო, იმის გამო, რომ ასეთი იყო მაშინდელი ტენდენცია: მკაცრი შეზღუდვების მიუხედავად, „ნაციონალური კულტურა“ ოფიციალურად უნდა ყოფილიყო აღიარებული. ამან განაპირობა გიორგი შენგელაიას მიერ ფილმ „ფიროსმანის“ შექმნაც.

კარლო კაჭარავა იყო ქართველ მხატვართაგან ერთ-ერთი პირველი, რომელმაც „პერესტროიკის“ შემდგომ ამოატრიალა ქართული თანამედროვე სახელოვნებო ისტორია: შეისნავლა XX და XXI ს.ს.-ების თითქმის ყველა თანამედროვე მხატვარი, თითოეულის სტილი და ბოლოს მიუბრუნდა კითხვას, და მაინც, ვინ არის ფიროსმანი? სამწუხაროდ, კაჭარავა ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მისგან ნამონყებული საქმე დღემდე გრძელდება.

ანუ, თანამედროვე ქართული ხელოვნება ვითარდება და ნარმოაჩენს ახალ ნიჭიერ მხატვრებს, გზას უხსნის მათ საერთაშორისო ასპარეზზე.

მათ შორისაა ირმა გელანტია.

„წყვილი ნავში“

მაინც მინდა, აღვნიშნო: რომ ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებას თუ კარგად შევისნავლით, ვნახავთ ღრმა კავშირს ფიროსმანის სამყაროსთან. თუმცა, ფიროსმანის მუქი ფერის საპირისპიროდ, ირმა ნათელ საღებავებს იყენებს და უპირატესობას ანიჭებს ფერადოვნებას. თანაც, ირმა ქმნის ისეთ მოტივებს, რომელთა ინსპირაციის წყარო აშკარად ბიბლიაა.

ბოლოს ვიტყვით, რომ ირმა გელანტიას ბოლოდროინდელ ნამუშევრებში რენე მაგრიტის* ძლიერ ზეგავლენას ვხედავთ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ესეც შეგვიძლია, გავიგოთ, როგორც მისი შემოქმედების ახალი ეტაპი, როგორც განვითარება „ქართული ფენომენისა“, რომლის მნვერვალი ფიროსმანია.

* – XX ს.-ის ცნობილი ბელგიელი მხატვარი.

ნიკო ლორთქიფანიძე - ცნობილი ქართველი მწერალი, საინდად დაბადებული და «ბუნებით ბატონი» (როგორც მას უწოდებდნენ) ოჯახი იდგა დუელიანტის ბახიეთან.*

1907 წელს ის ავსტრიიდან დაბრუნდა თბილისში. იმ დღეს ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა შორის იყო ნიკოც, ჩუსმა ოფიცერმა აკიმოვმა ის სასაცილოდ აიგდო. შეურაცხყოფილმა ლორთქიფანიძემ საჯარიოდ სილა გაანნა აბუჩად ამგდებს. აკიმოვმა ნიკო დუელში გამოიწვია. მეორეს დღეს, ზუსტად 6 საათზე, დუელიანტები სეკუნდანტებთან ერთად გამოცხადნენ აღნიშნულ ადგილას. ნიკო თეთრი ხელთუკითა და შავი ჰალსტუხით მოვიდა.

ჯანონის თანახმად, პირველად შეურაცხყოფილ აკიმოვს უნდა გაესროლა. შეშფოთებულმა მეგობრებმა უჩრიეს ნიკოს, დუელის დროს ოდნავ ირიბად დამდგარიყო. ერთ-ერთმა სეკუნდანტმა კი, ილია ზურაბიშვილმა, ნიკოს ხელთუკის საყელო და ღაცკანები** აუნია, რომ თეთრ სამოსზე შავი ჰალსტუხი სამიზნედ არ გამოკვეთილიყო. დაიწყო დუელი. «და ამ დროს, - იგონებს ილია ზურაბიშვილი, - ჩემდა შესაძრწუნებლად, ვხედავ, რომ ნიკო პირდაპირ მტრედგამართული დგას და ხელთუკის საყელო და ღაცკანები გადაუწევია. თეთრი გულისპირი და ზედ შავი ჰალსტუხი სასროლი ნიშანივით გამოიჩრევა».

საბედნიეროდ, აკიმოვის მიერ ოჯახის გასროლილი ტყვია ნიკო ლორთქიფანიძეს ასცდა. თვითონ ნიკომ კი, მართლაც რომ სულით არისტოკრატმა, დამბაჩა ჰაერში გაისროლა. ის მაშინ 27 წლის იყო.

ნიკო ლორთქიფანიძე

ეროვნული

XVIII ს.-ის „რინალდოს“ პარტიტურა

XVIII ს.-ში მოღვაწე, ბაროკოს ეპოქის სახელოვანი გერმანელი კომპოზიტორის, ფრიდრიხ ჰენდელის ოპერა «რინალდო» (რომელიც მან შექმნა ლონდონში და რომელსაც წარმოუდგენელი შემოქმედებითი წარმატება მოჰყვა) ერთმა მოხერხებულმა საქმოსანმა გამოსცა და ძალიან მოკლე ხანში გაყიდა კიდეც.

მოგება საოცრად დიდი იყო. აქედან ცნობილ კომპოზიტორს, ოპერის ავტორს გროშებიღა ერგო.

- მისმინეთ, - უთხრა ჰენდელმა კომერსანტს, როცა მოგებული თანხის თავისი წილი მიიღო, - ჩვენ შორის ნაწყენი რომ არც ერთი დარჩეს, მომავალში ცოტა გონივრულად მოვიქცეთ: თქვენ დაწერეთ ოპერას, მე კი მას გამოვცემ...

ეროვნული

ღიღილო

როცა ნაპოლეონმა გერმანია-პრუსია დაიპყრო, ამ ქვეყნის დედოფალი ლუიზა იძულებული გახდა, ხლებოდა საფრანგეთის იმპერატორს მეჯლისზე. ძვირფასი სამკაულების ნაცვლად მას თავზე ედო ულამაზესი ღიღილოებისგან დაწნული გვირგვინი. მის მალალბრწყინვალებას ფრანგებმა სიცილიც კი დააყარეს; მაგრამ დედოფლურმა სიტყვამ, რომელიც შემოჩრა ისტორიას, დარბაზში მყოფნი დაადუმა:

_ დიახ, მე უარი ვთქვი სამკაულებზე, დამპყრობლებმა რომ ასე უხვად გაიტაცეს ჩვენი ქვეყნიდან; ნანილი გავყიდეთ, ქვეყანა რომ ისევ ფეხზე წამოგვეყენებინა და მშიერი მოსახლეობა დაგვეპურებინა. თქვენი ჩექმებით გათელილ მინდვრებს, ჩემო ბატონებო, ყვავილიც არ შემოჩრა. ეს გვირგვინი კი, ასე რომ მამშვენებს, აქა-იქ დაჭრილი ღიღილოებისაგან დაწნა!

საფრანგეთს არ დავიწყებია მისი ბრწყინვალების მონოლოგი. საინტერესოა, რომ ღიღილო დღეს გერმანიის ნაციონალური ყვავილია.

* – პირველი დუელი შედგა ავსტრიაში ყოფნის დროს, სადაც მომავალი მწერალი აკადემიაში სწავლობდა.
** – პალტოს, პიჯაკის ბორტის გადანაკეცი.

პერუ – უძველესი ცივილიზაციების ქვეყანა

პერუს ველური ბუნება

პერუ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო და საინტერესო ქვეყანაა; ის მართლაც გაგაოცებს და აგავსებს შთაგონებით, თუ გადაწყვეტ, იმოგზაურო ინკების, ინდიელთა ამ უძველესი ცივილიზაციის ხალხთა მიწაზე; მათ შორის, თავისი საცხოვრისი „დედამიწის ჭიპად" რომ მონათლა. ესაა ამაზონის ველური ბუნება დაბურული ჯუნგლებით, ცხელი სამკურნალო წყლებითა და მოცურავე ჯუნძულებით, ცამდე აწვდილი ანდების წრიული მთებით. ესაა იდუმალი და მაღალკლდოვანი უდაბნოები ციცაბო ჯანიონებით, ხეობაში ჯიბე-ჯიბე ჩაფენილი და ადამიანის ხელით შექმნილი მრავალიარუსიანი ღრმა ტერასებით, საუკუნეების წინ მიწაზე გამოსახული უზარმაზარი ფიგურებით, აღმართული სალოცავებით, კლდეში შეჭრილი არაორდინალური ნაგებობებით... და თუ აუყვები ასეულობით ქვის საფეხურსაც, შენს თვალწინ გადაიშლება ნისლებში ჩაკარგული არაერთი უძველესი ქალაქის თავბრუდამხვევი პანორამა.

ეს წერილის ლირიკული შესავალი როდია მხოლოდ. ჩვენ უნდა ვისაუბროთ პერუზე, სამხრეთ ამერიკის ეგზოტიკურ სახელმწიფოსა და ათასწლეული ისტორიის მქონე ქვეყანაზე, სადაც მეცნიერთათვის ბევრი რამ დღესაც აუხსნელია.

წყნარი ოკეანის სანაპიროზე

ინკების სამოსახლო პერუ მდებარეობს სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე; **მას ესაზღვრება ეკვადორი, კოლუმბია, ბრაზილია, ბოლივია, ჩილე.** პერუ საპრეზიდენტო რესპუბლიკაა.

პერუს მოსახლეობა შეადგენს 30 მლნ-ზე მეტს; დედაქალაქ ლიმაში ცხოვრობს 8 მლნ-მდე ადამიანი. სახელმწიფოს ოფიციალური ენაა ესპანური, ქვეყნის ვალუტა – ახალი მარილი. მოსახლეობის ნახევარს შეადგენს ესპანურენოვანი ხალხი; პერუში მეტისებისა* და კრეოლების** საკმაოდ დიდი რაოდენობაა. განსაკუთრებული სტატუსი აქვთ ავტოქთონურ (აბორიგენულ) ენებს – კეჩუასა და აიმარას და მათზე მოლაპარაკე ინდიელებს***; მოსახლეობის 89% კათოლიკეა, კეჩუასა და აიმარას ხალხებში ქრისტიანობას ერწყმის წარმართული რწმენა.

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ანდების მთებსა და ჯუნგლებში მცხოვრებ ინდიელთა ცხოვრების წესი დღესაც იგივეა, როგორიც იყო ის შუა საუკუნეებში. ცივილიზაციის ცენტრებიდან დაშორებული ინდიელები მხოლოდ მშობლიურ დიალექტზე საუბრობენ (სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს კი ერთმანეთის არაფერი გაეგება). **პერუში არსებული ორი სამყარო – „ინდიელთა" და „ევროპელთა" თანდათან დაშორდა ერთმანეთს.**

პერუში მიედინება სამყაროს ყველაზე წყალუხვი მდინარე ამაზონი და აქაა მსოფლიოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე – ტიტიკაკას ტბა.

გამორჩეული რელიეფის გამო მრავალფეროვანია პერუს ფლორაც და ფაუნაც, ცხოველთა და ფრინველთა, მცენარეთა 6000-მდე ენდემური სახეობით. **ანდის მთებში ბინადრობს მსოფლიოს უდიდესი ფრინველი – კონდორი, 3 მ-მდე სიგრძის ფრთებით. აქ იზრდება იშვიათი გიგანტური ყვავილიც – რაიმონდის პუია,** რამდენიმე ათასი პატარ-პატარა ყვავილით. ის 13 მ-მდე სიმაღლის უზარმაზარ სანთელს მოგაგონებს. **საინტერესოა, რომ პუია ყვავის მხოლოდ ერთხელ, ისიც 150 წლის შემდეგ; ამის მერე ლამაზ თეთრ ყვავილებს ის უკვე არასოდეს ისხამს.**

თანამედროვე ლიმა. წყნარი ოკეანის სანაპირო

ათასწლეულთა საიდუმლო

უძველესი ცივილიზაციები პერუში ვითარდება ძვ.წ.აღ.-ით 6000 წლიდან, ანუ დაახლოებით ეგვიპტური პირამიდების პარალელურად. **ძვ.წ.აღ.-ით 3000 წლისთვის საფუძველი ჩაეყარა დღეს უკვე ასე ცნობილ ნორტე-ჩიკოს, ინკების ერთ-ერთ ყველაზე ძველ ცივილიზაციას, მოგვიანებით კი, ჩავინის, პარაკასისა და სხვა კულტურებს.**

* – თეთრკანიანისა და ინდიელის ქორწინებით დაბადებული. ** – ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინებით დაბადებული. *** – კეჩუა, ამარა – ინდიელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი ინკების სახელმწიფოში.

რაიმონდის პუია

ნორტე-ჩიკო აშენდა ძვ.წ.აღ.-ით 1800 წელს. მესოპოტამიური, ეგვიპტური, ჩინური და ინდური ცივილიზაციების გარდა სხვა უძველესი კულტურების არსებობა მეცნიერთათვის წარმოუდგენელი იყო. არადა, ნორტე-ჩიკოს ქვის უზარმაზარი ბლოკებისგან აშენებული სახლების, 4 პირამიდისა და სარწყავი არხების კონსტრუქცია დღესაც უამრავ კითხვის ნიშანს ბადებს. ეს იყო მშვიდობისმოყვარე ცივილიზაციაც – ნორტე-ჩიკოს ტერიტორიაზე არ უპოვიათ არც ერთი იარაღი.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნა (100-700 წ.წ.) უკვე უარის, ნასკასა და სხვა კულტურათა აყვავების ხანაა. უარის ცივილიზაციის ერთ-ერთი ძეგლია ტარო-მუერტოს უჩვეულო პეტროგლიფები*.

500 კვ.მ ფართობის ნასკას უდაბნო მთლიანად დაფარულია 2000 წლის წინანდელი უზარმაზარი ნახაზებით, ზუსტი გეომეტრიული ფიგურებით, 300 მ-მდე სიდიდის ადამიანების, ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებებით.

მრავალი წლის კვლევის შემდეგაც კი გამოცანად დარჩა მეცნიერთათვის, ვინ იყო ამ გიგანტური სქემების ავტორი და რა მიზნით შესრულდა ის; როგორ შეძლეს ინკებმა, ესოდენ ზუსტი ხაზები და სრულყოფილი ნახატები შეექმნათ საგანგებო გეოდეზიური იარაღების გარეშე. ზოგიერთი მკვლევარი სერიოზულად თვლის, რომ ნასკას მისტიკური ხაზები ღმერთებთან კომუნიკაციითა და ასტრონომიული გათვლებით შეიქმნა; მაგრამ ეს მხოლოდ ვერსიებია. **ნასკას უდაბნო დღემდე კაცობრიობის უდიდეს საიდუმლოდ რჩება.**

უკვე ახ.წ.აღ.-ით 700 წლისთვის განვითარებულმა სოციალურმა სისტემამ დასაბამი მისცა ინკების ახალ ცივილიზაციას.

კუსკო – ინკთა „მუზეუმი ღია ცის ქვეშ"

XIII ს.-ში, ანუ კოლუმბამდელ ეპოქაში, დაარსებულმა ინკების იმპერიამ უდიდესი კულტურული და პოლიტიკური ცვლილებები მოახდინა არა მარტო პერუში, არამედ მთელ სამხრეთ ამერიკაში. ისტორია მოგვითხრობს, რომ ამ ქვეყანაში დიდი რაოდენობით მზადდებოდა ოქროს ლამაზი ნივთები. **XVI ს.-ში (უფრო ზუსტად, 1531 წ.) ინკების იმპერია ესპანელებმა სწორედ ამ მიზნით დაიპყრეს.**

1535 წელს ევროპელმა კოლონიზატორებმა დააარსეს ქალაქი ლიმა; ესპანელების ბატონობა გაგრძელდა 3 საუკუნე; წინააღმდეგობა დასრულდა ინკების გამარჯვებით – 1821 წელს მათ გამოაცხადეს პერუს დამოუკიდებლობა. **ცოტა რამ ინკთა საიდუმლო ქალაქების შესახებ:**

იმპერიის ადმინისტრაციული, პოლიტიკური და სამხედრო დედაქალაქი იყო კუსკო; აქ, მდინარე ურუბამბას ხეობაში მცხოვრები ინდიელების ოფიციალური ენა კი – კეჩუა.

ანდების მთებით გარშემორტყმული და მის ხეობაში ჩაკარგული **კუსკო (ზღვის დონიდან 3500 მ) დღესაც ითვლება სამხრეთ ამერიკის არქეოლოგიურ ცენტრად** და პერუს წარსულში გადარჩენილ ულამაზეს ქალაქად. აქაც ყველაფერი – გზა, შენობების საძირკვლები, სალოცავები ადგილობრივი კლდის ქვებისაგანაა დამზადებული. დიდებულად გამოიყურება ქალაქის ცენტრში აღმართული, წარმოუდგენელი ზომის ციხე-კოშკი და კლდეში შეჭრილი სასახლეები.

კუსკო – ქალაქის ცენტრი

კუსკოს უწოდებენ „მუზეუმს ღია ცის ქვეშ". კუსკოსგან 80 კმ-ით დაცილებულია ინკების კიდევ ერთი, საიდუმლო ქალაქად მიჩნეული მაჩუ-პიქჩუ.

მაჩუ–პიქჩუ და მსოფლიო

ინკთა ქალაქი, მისტიკური მაჩუ-პიქჩუ 5 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უვნებელი და, შეიძლება ითქვას, სამყაროსთვის უცნობი იყო. ინკების დაპყროს დროს მაჩუ-პიქჩუს შესახებ ესპანელებმა არაფერი იცოდნენ. მათ ხელი შეუშალა ანდების მთებმა. შესაბამისად, ინკების სხვა ძეგლების მსგავსად, ის არც გაუძარცვავთ და არც დაუნგრევიათ. ძეგლი შედარებით ხელუხლებლადაა

*** – კლდეზე გამოკვეთილი გამოსახულებები (ადამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა).**

ნასკას ამოუხსნელი ფიგურები

შემონახული, რაც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის.

1911 წელს იელის უნივერსიტეტის ამერიკელმა მკვლევარმა, პროფესორმა ბინგემმა პირველმა მოინახულა მაჩუ-პიქჩუ და მსოფლიოს ამცნო მისი არსებობა.

საინტერესოა, რომ დღეისათვის უამრავზე უამრავი ტურისტი მაჩუ-პიქჩუსკენ გზას სწორედ ძველი ინკების მიერ დაგებული ბილიკებით მიემართება.

ტაძრებისა და სასახლეების გრანდიოზული კომპლექსი, რომელიც ორგანულად ერწყმის მთიან ლანდშაფტს, წარმოადგენს ქვის ფილებისაგან აშენებულ 200-მდე კორპუსს, აგრეთვე, კლდეში ჩასმულ, 100-ზე მეტი ქვის საფეხურებიან კიბესა და უამრავ შადრევანს; **და, რაც ასე აუხსნელია: გაპრიალებული ქვები ერთმანეთზე მიკრულია ყოველგვარი კირხსნარის გარეშე** (ინკები ამ ტექნიკასაც ფლობდნენ). **ეს ყველაფერი იმდენად სრულყოფილია, რომ შენობის ქვებს შორის ბალახიც კი არასდროს ამოსულა.**

1981 წელს მაჩუ-პიქჩუ და კუსკო გამოცხადდა ისტორიულ ნაკრძალებად, 1983 წელს კი იუნესკომ ორივე ქალაქი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეიტანა. „ესაა ინკების ცივილიზაციის აბსოლუტური შედევრები“, – ნათქვამია ორგანიზაციის დასკვნაში. 2007 წელს საერთაშორისო ინტერნეტ-გამოკითხვით მაჩუ-პიქჩუ მსოფლიოს ახალ 7 საოცრებას შორის დაასახელეს.

უძველესი ქალაქი ტუკუმე, VIII-IX ს.ს.-ში აღმართული უზარმაზარი პირამიდებით, თვალწარმტაცი **სოფელი მონტერეა** ცხელი სამკურნალო წყლებით, **რელიგიური ტაძრებით განთქმული დასახლება ჩან-ჩანი** და კიდევ ბევრი ასეთი ძეგლი პერუელთა სახელოვანი წინაპრების, ძველი ინკების მიერაა შექმნილი.

და მაინც: მთელს მსოფლიოში ინკების სამყარო „ინკების ქალაქთან“, მაჩუ-პიქჩუსთან ასოცირდება.

ბალახის ხიდი

პერუში, კუსკას რეგიონში, ერთ-ერთ მდინარეზე (აპურიმაკი) უკვე თანამედროვე ინკები ყოველ წელიწადს ხელახლა აშენებენ ბალახის ხიდს. მას ჰქვია „ქესვაჩაკას ხიდი“ და უკვე 600 წელია, სოფლის ხალხი შიშველი ხელებით წნავს და აგებს მას. ბალახის ხიდის შენების ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცა: მხოლოდ მამაკაცებს აქვთ უფლება, ხიდი ერთი ნაპირიდან გადონ მეორეზე; ქალები კი ბალახისგან ხიდის შემადგენელ ნაწილებს წნავენ და მისგან ამზადებენ თოკებს. თოკების მეტი სიმტკიცისათვის ბალახს ჯერ ქვებით ბეგვავენ, შემდეგ კი ჟღენთავენ წყლით.

6 მსხვილი თოკიდან 4 საყრდენია, 2 კი – მოაჯირისთვის განკუთვნილი. მდინარის ორივე მხრიდან ხიდის გაჭიმვას მთელი დღე სჭირდება. მესამე დღეს სოფლის რამდენიმე ყველაზე მამაცი კაცი ხიდზე გადის და ამოწმებს მის მდგრადობას; უნდა დარწმუნდნენ, რომ ადამიანები უსაფრთხოდ შესძლებენ მასზე გადასვლას (ხიდის მზადების პროცესში დღესაც კი არ გამოიყენება თანამედროვე იარაღები და ტექნოლოგიები). ხიდის გადება მთავრდება საყოველთაო სარიტუალო ზეიმით, სადღესასწაულო სუფრით.

2013 წლიდან „ქესვაჩაკას ხიდი“ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილია.

„ქესვაჩაკას“ ბალახის ხიდი

რაც აქ კიდევ გაგაოცებს

არაორდინალურია პერუელთა ტრადიციებიც, უძველესი წესები.

თუ ლიმა, პერუს დედაქალაქი და მისი შემოგარენი გამოირჩევა ძალიან ცხელი კლიმატით, აღმოსავლეთ რეგიონის ტენიან ტყეებში ხშირია წვიმები. აქ ბინადრობს ინდიელთა ასამდე სხვადასხვა ტომი, ადგილობრივ დიალექტზე მოსაუბრე. ისინი პრაქტიკულად იზოლირებულნი არიან დანარჩენი ცივილიზებული სამყაროსგან. ცხოვრების წესიც ველური აქვთ, ჯუნგლის ტომებისთვის ნიშანდობლივი. თავს ირჩენენ ნადირობით, თევზაობითა და მიწათმოქმედებით.

პერუელები ნაციონალურ პანჩოებში

წმინდა ტრადიციად ითვლება მათთვის ინდიელ ინკთა დღე, საამაყო წინაპრებისა და მამაცი მეომრების ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური დღესასწაული: საკუთარი ხელით მოქსოვილი ფერად-ფერადი პანჩოებით სხვადასხვა ტომი ფეხით ეშვება პუნოს ზეგნიდან, რომ ტიტიკაკას ტბასთან გადაიკვეთოს მათი გზები; ნიშნად იმისა, რომ ინკთა ორმა უდიდესმა, უძველესმა ცივილიზაციამ – კეჩუამ და აიმარმა მშვიდობიანი თანაარსებობის მარადიული ფორმულა შექმნა.

საერთოდაც, ინდიელი მამაკაცებისათვის ქსოვა (განსაკუთრებით, ტაკილეს კუნძულზე მცხოვრებთათვის) **უძველესი ტრადიციაა** და ამ ხელობას ისინი ვირტუოზულად ფლობენ; **მათი ნამუშევრებიც იუნესკომ მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობად აღიარა.**

კიდევ ერთი მხიარული ტრადიცია: თუ გზად შემოგხვდათ ქალბატონი, რომელსაც აცვია ჭრელი, მრავალშრიანი ქვედა ბოლო, უნდა იცოდეთ – ის ნამდვილად ბედნიერია. თურმე, რაც უფრო უყვარს პერუელ ქმარს მეუღლე, მას მეტ ქვედა კაბას ჩუქნის.

ინკთა ერთ-ერთი უძველესი წესიც აოცებს უცხოელ სტუმარს: ახალი წლის დადგომამდე პერუელმა მამაკაცმა ჩემოდნით ხელში უნდა შემოურბინოს თავის საცხოვრებელ უბანს, რომ ბედნიერება დაებედოს ახალ წელს. რაც შეეხება ქალიშვილებს: ისინიც გადიან ამ დროს ქუჩაში, მაგრამ ხელში ტირიფის წკნელებით. ვისაც გაუწვდის გოგონა ამ ნარგავის ტოტებს, ის ახალგაზრდა ვაჟი მისი რჩეული გახდება. **ახალწლის ღამეს პერუს ქუჩებში ხშირად შეხვდებით უცნაურ წყვილს, ხელში ჩემოდნითა და ტირიფის წკნელებით.** ახალწლის ღამე პერუელებს სიკეთით დაებედებათ, თუ შეჭამენ 12-13 ცალ ყურძნის მარცვალსაც.

პერუელ პატარებთანაც, როგორც წესი, მოდის წითელჯუბაჩიანი სანტა-კლაუსი, თუმცა თეთრკუმპალიან, ქუდჩამოფხატულ, ჩათბუნებულ საახალწლო მოსასხამში გახვეულ თოვლის ბაბუს ეს განსაკუთრებულ მოთმინებად უჯდება; ამ დროს ხომ პერუში ცხელი საზაფხულო დღეები დგას.

არაერთი ტრადიციითაც უჩვეულო პერუ მსოფლიოს საინტერესო ქვეყანათა რიცხვშია (ჩვენ მხოლოდ ზოგიერთზე შევჩერდით).

ღირს, მოინახულოთ ლიმაც!

ხალხმრავალი და ხმაურიანია პერუს დედაქალაქი – ლიმა, წყნარი ოკეანის სანაპიროზე უზარმაზარი ტერიტორიით, ცხელი და მშრალი კლიმატით. წვიმის ნაცვლად აქ მოდის ძალზე ხანმოკლე, ლამაზი წვიმა, სახელწოდებით „გარია“.

ნამდვილად ღირს ისტორიული ცენტრის მონახულება და ესპანელების მიერ XVI ს.-ში აქ აღმართული მონუმენტური სასახლეებით ტკბობა. უნდა ისიამოვნო ამ შთამბეჭდავი პანორამით, რომ წარმოიდგინო შუა საუკუნეების სიმდიდრე და პრეტენზიულობა.

ხის აივნებიანი მოზარნიშებული სასახლეები, ქვის შადრევანი, სანტო-დომინგოს დიდებული ტაძარი და, საერთოდ, ქალაქის ცენტრის ეს კოლონიალური ნაწილიც, თავბრუდამხვევად მიმზიდველი, იუნესკომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა.

ლიმას მოქალაქეა დღეს მსოფლიოში სახელოვანი პერუელი მწერალი, ლიტერატურაში ნობელის პრემიის ერთადერთი ლაურეატი – მარიო ვარგას ლიოსა.

XVI ს.-ის ლიმას კოლონიალური ცენტრი

P.S. სეისმოლოგიურად არამდგრად პერუში ხშირია მიწისძვრები, მაგრამ ხელუხლებელი და დაუზიანებელია საუკუნეების წინ შექმნილი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები.

პერუ ამითაც ამაყობს! იმოგზაურეთ პერუში!

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲐᲑᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

პატარა რომ ვიყავი, სულ ვფიქრობდი, ორშაბათის წინ რატომ ერთშაბათი არ არის მეთქი. სინამდვილეში, მართლა ყოფილა.

იოანეს სახარების XX თავი (ცარიელი სამარხი) ასე იწყება: „ერთშაბათს (ანუ დიდი შაბათის შემდგომ პირველსავე დღეს), დილაადრიან, როცა ჯერ ისევ ბნელოდა, მოვიდა მარიამ მაგდალინელი სამარხთან და ხედავს, რომ ლოდი გადაგორებულია სამარხიდან“.

ე.ი. კვირა ყოფილა ერთშაბათი, მზის დღე.

გამოდის, რომ პარასკევის გარდა, ყოველი დღე შაბათის მატარებელია.

* რა საბრალო ხარ, ადამიანო, როცა სამყაროს შეყვარებულის თვალით არ უმზერ.
* ყოველი გაღვიძებისას ახლიდან ვხვდები ჩემს თავს, ვესალმები: – ჰა, როგორა ხარ? დამიბრუნდი?
* ისე დაიწვი, რომ ნაცარზე ილოცოს ვინმემ.
* ულამაზეს ტურფა ყვავილს, რომელიც თავის ენაზე – ფერით, სურნელით, ფორმით და ა.შ. გადმოსცემს სამყაროს პოეზიას, იგიც, ასე მდუმარედ მდგარი, მაინც დიდი პოეტია.

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

კაცი წყაროს ფლობდა.

ჩამოიარა მგზავრმა, სთხოვა:

– ერთი ყლუპი დამალევინე, სიცხით ვიწვი!..

კაცი წყაროს გადაეფარა და მგზავრი ცივი უარით გაისტუმრა.

კაცს ამ დროს სინდისი შეესწრო და უსაყვედურა:

– რატომ არ დაალევინე, მან ხომ ძალიან ცოტა გთხოვა?!.

– რა ვიცი, მეგონა, ბევრი უნდოდა.

კაცს წყარო მალევე დაუშრა.

გავიდა ხანი. ჩამოიარა იგივე მგზავრმა და კაცს ისევ სთხოვა:

– ერთი ყლუპი იქნებ გამოიმეტო, სიცხით ვიწვი!..

კაცი შეიშმუშნა.

– მოდი და დალიე, რამდენიც გინდა!

მგზავრი დამშრალ წყაროს დაეწაფა და ერთი ყლუპი ძლივს დაადინა, მაგრამ მოსულიერდა.

ამ დროს კაცს სინდისი შეესწრო და უთხრა:

– რა ადვილად გაიმეტე ყველაფერი, როცა აღარაფერი გქონდა, მაგრამ შენთვის „არაფერი“ მისთვის „ყველაფერი“ აღმოჩნდა!

კაცმა პასუხის თქმა ვერც კი მოასწრო, რომ წყარომ ისევ ჩუხჩუხი დაიწყო.

* ფეხებით არა, გულით იარე.
* ხან დაკარგვა პოვნისთვის გვჭირდება.
* რაკი გაჩნდი ამ ქვეყანაზე, შენს გულს კვლავ აკლია სიყვარულით ავსება!
* თითქმის ყველა მოხუცს ასე უთქვამს, მთელმა სიცოცხლემ თვალის დახამხამებაში გაირბინა, არა მგონია, რომ ამხელა ვარ; ამიტომ ადვილად მეთანხმებიან, როცა ვამბობ:

მუხაზე ჰკიდია გრძელი საქანელა, გაქანდები – ბავშვი ხარ, გამოქანდები და – უკვე მოხუცი.

ორი ძაფი

თუ ათავისუფლებ ერთს, თავისუფლდება მეორეც,
როცა ისინი ერთმანეთზე არიან გადაჯაჭვულნი.

ერთ უჯრაში ორი, ერთმანეთში გადახლართული გრძელი ძაფი ცხოვრობდა – თეთრი და შავი.

გოგონას თეთრი ძაფი სჭირდებოდა. თეთრი ძაფის გორგალი რომ ვერსად ნახა, კუთხეში მიყუჟულ ამ გადახლართულ ძაფებს მიაგნო; ხელში აიღო, დახედა:

– თეთრო ძაფო, კაბა მაქვს გასაკერი, შენი დახმარება მჭირდება, მაგრამ ვხედავ, გადახლართულხარ ცუდად...

– მართალი ხარ, გამომხსენი აქედან და დაგეხმარები, – უთხრა თეთრმა ძაფმა.

გოგონამ კალთაში ჩაიდო ერთმანეთში აბურდული ძაფები და პაწია თითებით თეთრი ძაფის გამოხსნა დაიწყო. დიდხანს იწვალა, იწვალა, მაგრამ ბოლოს თეთრი ძაფი მაინც მთლიანად გამოაცალკევა შავი ძაფისაგან.

თეთრმა ძაფმა შვებით ამოისუნთქა.

– აუუჰ! – გაიზმორა გათავისუფლებული შავი ძაფიც; გოგონას მუხლებთან დაეცა, დიდი მადლობა გადაუხადა და სწორ გზას დაადგა.

გოგონამ ორივე ძაფის მადლი მოისხა; კაბაც დაიგვირისტა.

*** ბევრიც არაა ბევრი, თუკი არ იცი, რა არის ცოტა.**
*** სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ გასახსნელი ბარათია.**
*** ადამიანებო, გაუმსუბუქეთ ერთმანეთს სულები! გახსოვდეთ, სულს ტარება სჭირდება, მუდმივი ტარება! ამისთვის კი, ერთადერთი მცნების შესრულება გმართებთ: „გიყვარდეთ ერთმანეთი!“**

უახლოესი და ერთადერთი ხამლოცველი

ჩემი აივნიდან შორეული მთის წვერზე ტაძარი მოჩანდა. რამდენჯერაც იქითკენ გავიხედავდი, გულში საიდუმლო ლოცვას ვკითხულობდი-ხოლმე; მაგრამ იქ, სინამდვილეში, რაღაც ანძები იყო თურმე. ერთხელაც, ამ მთასა და ჩემთან უფრო ახლოს მდებარე მთას შუა ამობურცულობას მზის სხივები თავს ისე დასდგომოდა, სად იყო და სად არადან, ლამაზი ეკლესია ამოეყვანა.

იდუმალმა ხმამ გამანდო:

– არა, ძვირფასო, არც იქაა ნამდვილი ეკლესია, ეგეც მოჩვენებითია, ჭეშმარიტად სრულად შემკული ეკლესია შენს გულშია!

*** ხელგაშლილი ადამიანი ჯვარია, რომლის იქით ცოცხლობს უფალი.**
*** ვბერდებით სარკეებში, ერთმანეთის თვალებში – არა!**
*** ის, რაც ხდება ყველაზე შიგნით, იგივე ხდება ყველაზე გარეთ.**
*** აუკრძალო შენს თავს სიყვარული... ეს იგივეა, რაც თავი აიძულო, იცოცხლოს ისე, რომ არ ისუნთქოს, იყოს ნათელი, მაგრამ სხივები არ ატანდეს სხეულის შიგან, სულის სიღრმემდე... გაივლი ბაღში და სულ უბრალო – ბალახის ღერიც შეგებრალება, თუკი უბრძანეს: – თავი დაიხსენ, დილის ცვარი არ დაიპკურო!**

შუა საუკუნეების ერთ-ერთი ავტორის განმარტებით, ამქვეყნად ბევრია ისეთი ერი, რომელსაც ფულის არაფერი გაეგება, შორსაა ხელოვნებისგან, მოწყვეტილია ცივილიზაციას. მაგრამ არსადაა ერი, რომელსაც არ სწამდეს ღმერთი, არ ეჭიროს ხელში „ლოცვანი". მათ შორის ჭეშმარიტია ქრისტიანობა, რომელმაც აუწყა ყაცობრიობას, ყველანი ხართ ერთმანეთის და-ძმანი, განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისაო.

მაგრამ მანამდე იყო ჩვ.წ.აღ.-ელი ეპოქა, რომლის შესახებ გვიამბო „ძველმა აღთქმამ".

დროის ამ ორ სივრცეს შორის დამოკიდებულება ბიბლიური ეპიზოდების მოხმობითა და თემის სიღრმისეული გააზრებით წარმოაჩინა ჩვენმა ახალგაზრდა ავტორმა მარიამ გუნიამ (დასრულებული აქვს თსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები). „თუ გადავფურცლავთ „ძველ აღთქმას" - ძალზე საინტერესოა, ამ ფრაზით დაწყებული საუბარი რა კავშირშია ქრისტეს რჯულისთვის მოსამზადებელი ბიბლიური სიტყვის მადლსა და ძალასთან. ამას მკითხველი პუბლიკაციიდან შეიტყობს.

თუ გადავფურცლავთ „ძველ აღთქმას"

მარიამ გუნია

XI ს.-ის ქართული „ბიბლია"

ტერმინი „სიმბოლო" ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და ნიშნავს „ნიშანს", „პაროლს", „სიგნალს". უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიმბოლოს ხელოვნებაში. იგი კულტურასთან ერთად მის წიაღში ვითარდებოდა.

უძველეს საუკუნეებში მცხოვრებ ადამიანთა მსოფლაღქმა მეტწილად ეყრდნობოდა სიმბოლოებს, იქნებოდა ეს რელიგიური თუ მითოლოგიური.

და საერთოდაც: ყოველგვარი სიმბოლოსგან თავისუფალი მხატვრული სახე არ არსებობს. ნებისმიერი ხელოვნება, ყველაზე რეალისტურიც კი, სიმბოლური სახეების გარეშე არ არის სრული. ჯერ კიდევ ემანუელ კანტი, განმანათლებლობის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი, ამტკიცებდა, რომ ხელოვნება ინტუიტიურ ხასიათს ატარებს და, შესაბამისად, მეტად სიმბოლურია. სათქმელის სიმბოლურად გამოხატვას ეფუძნება წმინდა წერილი. „ძველი აღთქმა" არის „ახალი აღთქმის" მოვლენათა წინასწარმეტყველება, გამოხატული სიმბოლოებით.

მოძრავი კარავი

ებრაელი ხალხისთვის ყველაზე დიდ სიწმინდეს მოძრავი კარავი (რჯულის კარავი) წარმოადგენდა. ამ სიწმინდის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვაა – „სკენე", ხოლო ძველებრაული – „მიშკან", რაც „სამკვიდრებელს", „ადგილსამყოფელს" ნიშნავს. რჯულის კარავი, ბიბლიის მიხედვით, წარმოადგენდა ებრაელთა მოძრავ ტაძარს, ადგილს, სადაც აღესრულებოდა ღვთისმსახურება იერუსალიმის ტაძრის აგებამდე. წმინდა წერილის თანახმად, იგი მოსემ ღმერთის უშუალო მითითებებით ააგო; ეს მითითებები კი მან სინას მთაზე ყოფნისას მიიღო რჯულის ფილებთან ერთად (რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ). ფაქტობრივად, რჯულის კარავი იყო ის ადგილი, სადაც სუფევდა ღვთიური სიტყვა, ღვთიური მადლი კაცთა შორის. სწორედ მოძრავი ტაძრის ყველაზე მნიშვნელოვან საგანძურს, მის არსს წარმოადგენდა „სიბრძნის კიდობანი" თავისი სიწმინდეებითურთ (ამ თემასაც შევეხებით). **საინტერესოა ვერსია იმის შესახებ, თუ რატომ გახდა აუცილებელი რჯულის კარვის, ანუ ებრაელთა მოძრავი ტაძრის აგება.**

გამოსვლათა წიგნის* თანახმად, როდესაც მოსე წინასწარმეტყველი სინას მთაზე იყო განმარტოებული, უდაბნოში მრავალწლიანი ხეტიალით გასავათებულმა ერმა უკმაყოფილების გამოხატვა და აჯანყებები დაიწყო. ისინი ღმერთის არსებობის რაიმე მატერიალურ დამამტკიცებელს მოითხოვდნენ. ებრაელ შტოთა წარმომადგენლებმა მიმართეს მოსეს ძმას, აარონ მღვდელმთავარს, რათა მას ღმერთის ამქვეყნიური სახე, ერთგვარი ნივთმტკიცება წარედგინა აჯანყებულთათვის. აარონი დაჰყვა ხალხის ნებას და დაიწყო ოქროს ნივთებისა და სამკაულების შეგროვება.

* – „ბიბლიის" თავი, საიდანაც იწყება ებრაელი ხალხის ისტორია.

შეწირული ძვირფასეულობისაგან კი ჩამოასხა ხბო (გამ. 32: 1-4). ამგვარი ქმედება კერპთაყვანისმცემლობის გამოვლენა იყო, რაც მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა.

გადმოცემის თანახმად, მოსემ, ებრაელთა რჯულმდებელმა, იხილა რა კერპის ირგვლივ შეყრილი ხალხი, განრისხებულმა დაწვა ხარის ფორმის მქონე მონუმენტი, ხოლო ნაცარი წყალში გახსნა და ხალხს დაალევინა. გარდა ამისა, მან ამბოხის მცდელობა სისხლში ჩაახშო, რასაც 3000-მდე ადამიანი ემსხვერპლა.

სწორედ ამ შემთხვევის მერე გახდა აუცილებელი, აეგოთ სალოცავი, სადაც ღვთიური სიტყვა დაივანებდა. მანამდე იგი ხალხთა შორის იყო მოფენილი და, შესაბამისად, კონკრეტული ადგილის შექმნის აუცილებლობა არ არსებობდა.

„კერპი – ოქროს ხბო“. ნიკოლა პუსენის ნახატი

წმიდა წერილის მიხედვით, მოძრავი კარავი იყო ღვთისმსახურებისა და მსხვერპლშეწირვის ადგილი, სადაც თითოეულ მორწმუნეს უფალთან მიახლოება შეეძლო. გარდა ამისა, აქ თავს იყრიდნენ ებრაელ შტოთა წარმომადგენელნი, რათა გადაეწყვიტათ ერისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები. კარავი უდაბნოში გადაადგილებისას მუდამ ებრაელებთან ერთად მოგზაურობდა. არსებობდა მისი გადაადგილების გარკვეული წესი. ასე, მაგალითად, მას, როგორც მოძრავ ტაძარს, მხრებზე გადააბრძანებდნენ. დაბანაკებისას კარავი მუდამ ცენტრში თავსდებოდა.

სოლომონის* ტაძარი

ჩვ.წ.აღ.-მდე X ს.-ში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო სოლომონის ტაძრის აგება; ის პირდაპირ უკავშირდება მოძრავ კარავს. ტაძარი კარვის პროპორციების გადიდებით, მისი მოდელის მიხედვით აიგო. მოგვიანებით ებრაელები, სინაგოგების მშენებლობის დროსაც ამავე სქემას იყენებდნენ.

„სიბრძნის კიდობანი“, მისი თითოეული ელემენტით, დააბრძანეს სოლომონის ახლადაგებულ ტაძარში. ეს დაახლოებით ძვ.წ.აღ.-ით 950 წელს მოხდა. ამის შემდეგ რჯულის კარვისა და „კიდობნის“ კვალი იკარგება. ისინი აღარც წერილობით წყაროებში მოიხსენიება. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, კიდობანი სოლომონის ტაძრის მიწისქვეშა საცავში გადამალეს (თალმუდი,** სოტა 9ა; თალმუდი, იომა 72ა). რელიგიის ისტორიის მკვლევრის, ბრიტანელი მეცნიერის, გრემ ჰენკოკის აზრით, კიდობანი ძვ.წ.აღ-ით 587 წელს მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებამდე გადამალეს მღვდელმთავრებმა; თუმცა ეს ეროვნული განძი მათ არა გარეშე საფრთხეს, არამედ შიდა არეულობებს განარიდეს და გეზი სამხრეთისკენ, ისევ ეგვიპტისაკენ აიღეს; იცოდნენ, რომ იქ სამშობლოდან გადასახლებული, ღვთისმოშიში ებრაელები სახლობდნენ.

სოლომონისეული ტაძრის მაკეტი

1997 წელს პატარა კუნძულ ელეფანტინაზე (ეგვიპტე) აღმოაჩინეს ებრაული ტაძრის ნანგრევები, რომელიც ამ პერიოდით თარიღდება. იმ დროს ეს იყო ისრაელის ტერიტორიის მიღმა არსებული ერთადერთი ებრაული ტაძარი და, შესაძლოა, მისი დანიშნულება სწორედ „სიბრძნის კიდობნის“ დაბინავება ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი დაახლოებით ძვ.წ.აღ.-ით 400 წლისათვის განადგურდა, ჰენკოკს მიაჩნია, რომ კიდობანი დანგრევამდე სხვა ადგილას, კერძოდ კი, ეთიოპიის ქალაქ აქსუმში გადააბრძანეს.

* – სიბრძნით განთქმული ისრაელის მესამე მეფე.
** – ებრაელთა წმინდა წიგნი.

„სიბრძნის კიდობნის“ სიწმინდეები

მოძრავი კარავი ორ ნაწილად იყოფოდა: 1) დიდ ეკლესიად, ე.წ. პირველ კარვად და 2) მცირე ეკლესიად, რომელსაც „წმიდათაწმიდას“ უწოდებდნენ. სწორედ აქ, კრეტსაბმელით გამოყოფილ სივრცეში, დაბრძანებული იყო „სიბრძნის კიდობანი“ – აკაციის ხისაგან დამზადებული და შიგნიდან-გარედან უძვირფასესი ოქროთი მოჭედილი.



„მოსე და რჯულის ფილები“. რემბრანტის ნახატი

მოძრავი კარვისა და „სიბრძნის კიდობნის“ სიწმინდეებიდან უმთავრესი რჯულის ფილებია. მათზე ამოტვიფრული იყო ღვთის სიტყვა ათი მცნების სახით. მოსემ სინას მთაზე 40 დღე დაჰყო და სწორედ იქ მიიღო „ფიცარნი რჯულისანი“; აღსანიშნავია, რომ ებრაელთა მიერ შექმნილი კერპის, ოქროს ხბოს, ხილვისას მან ეს ფილებიც მიწას დაანარცხა და დაამსხვრია. ამის შემდეგ მოსემ კვლავ გამოკვეთა ქვისგან ფიცარი, ავიდა წმინდა მთაზე და უფალმა მათზე ხელახლა გამოსახა ათი მცნება. ეს მოხდა მოსეს მიერ ებრაელების ეგვიპტიდან გამოიყვანისას.

მოსეს რჯულის ზნეობრივი კანონები და მცნებანი სავალდებულოა ქრისტიანთათვისაც, რადგან ის მიიღო და აღიარა ქრისტიანულმა სარწმუნოებამაც.

მოძრავ კარავში, კრეტსაბმელის ჩრდილოეთით, იდგა ოქროს შვიდტოტიანი სასანთლე (ებრ. „მენორა“ – ლამპარი, გამნათებელი), რომელიც ერთ-ერთი უძველესი ებრაული რელიგიური ატრიბუტია. კარავში შვიდსანთელა მთელი ღამე ენთო. დაახლოებით I ს.-დან მენორა ფართოდ იყო გავრცელებული რომის იმპერიაშიც და სიმბოლურად მესიის, მხსნელის მოლოდინს გამოხატავდა. ამჟამად იგი ისრაელის სახელმწიფო გერბზეა გამოსახული.

ინტერესი ამ რელიქვიისადმი არ განელებულა ქრისტიანულ სამყაროშიც. იოანე ღვთისმეტყველი შვიდსანთლიან სასანთლეს მცირე აზიაში არსებულ შვიდ ეკლესიას ადარებს. **მას ქრისტეს სიმბოლოდ მიიჩნევდა VII-VIII ს.ს.-ში მოღვაწე წმინდა პეტრეს ტაძრის ბენედიქტელი* ბერი – ბედა ღირსი. მისი აზრით, შვიდტოტიანი შანდალი სიმბოლურად განასახიერებს მაცხოვრის სხეულს, რომელიც თავისი მადლით მთელ კაცობრიობას „კვებავს“.**

„სიბრძნის კიდობნის“ კიდევ ერთ რელიქვიას წარმოადგენდა ჭურჭელი ღვთიური მანანათი (იგივე, „ტაკუკი** მანანათი“). **მანანა, როგორც ცნობილია, იყო ციური საკვები, რომელსაც უფალი 40 წლის განმავლობაში ყოველდღე უგზავნიდა ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს უდაბნოში სვლის დროს.**

„ძველი აღთქმის“ თანახმად, როდესაც ებრაელებს ეგვიპტიდან წამოღებული პური გამოელიათ, უფალმა მათ ხორბლის მარცვალზე უფრო მცირე ზომის საკვები მოუვლინა. სახელწოდება „მანანა“ კი ამ მარცვლეულმა ამგვარად მიიღო: როდესაც ისრაელიანებმა პირველად იხილეს ციდან პურის ცვენა, გაკვირვებულებმა იკითხეს – „ეს რა არის?“, რაც ებრაულად შემდეგნაირად გამოითქმის: „მან-ღუ?“ აქედან წარმოდგა „ზეციური პურის“ სახელი „მანანა“. გადმოცემის თანახმად, ამ საკვების შეგროვებამ დილაობით ხდებოდა.

„სიბრძნის კიდობანი“ სიწმინდეებით

* – ბენედიქტელთა ორდენი – VI ს.-ში იტალიაში დაარსებული უმდიდრესი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა 30.000-მდე სასულიერო პირს. ** – მომცრო საღვინე ჭურჭელი.

კიდობნის უმნიშვნელოვანესი სიწმინდე იყო აარონის აყვავებული კვერთხიც. აარონი, ბიბლიის მიხედვით, მოსეს უფროსი ძმა, ლევიტელთა შტოს წარმომადგენელი და ებრაელთა პირველი უზენაესი მღვდელმთავარი იყო (რომელიც უკვე ვახსენეთ).

„კიდობანში“ აარონის აყვავებული კვერთხის დაბრძანება კონკრეტულ ბიბლიურ ეპიზოდს უკავშირდება: უდაბნოში ხეტიალის დროს ებრაელთა გარკვეულ შტოთათვის მიუღებელი იყო ებრაელთა გამორჩეულობა. ისინი ეჭვის ქვეშ აყენებდნენ აარონის კურთხეულობასა და სიბრძნის კარავში მისი მსახურობის საკითხს.

იმისათვის, რომ ეს კამათი და უკმაყოფილება დასრულებულიყო, გადაწყდა, თითოეული შტოს წარმომადგენელს თავისი კუთვნილი კვერთხი მოეთავსებინა კარავში; დავა „ღვთიური სამართლისამებრ“ უნდა მოეგვარებინათ.

მეორე დილას ებრაელებმა აღმოაჩინეს, რომ აარონის კვერთხი, სხვა კვერთხებისგან განსხვავებით, აყვავდა და ნიგვზის ნაყოფი გამოისხა. ქრისტიანულ სამყაროში აარონ მღვდელმთავარი აყვავებული კვერთხით ხელში გამოისახება.

რჯულის ფილების მიღება

აარონ მღვდელმთავარი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წმინდა წერილში „ძველი აღთქმის“ თითქმის ყველა მოვლენა მიანიშნებს ახალაღთქმისეულ სახეებსა და მოვლენებზე. „სიბრძნის კიდობნის“ შემთხვევაშიც, მსგავს წინასწარმეტყველებასთან გვაქვს საქმე – მისი თითოეული სიწმინდე ღვთისმშობლის სიმბოლოა (ასე, მაგალითად: ის, რომ „სიბრძნის კიდობანი“ შიგნიდან და გარედან ოქროთი იყო დაფარული და მასში ინახებოდა რჯულის ფიცრები – ეს მიანიშნებს ღვთისმშობლის წიაღზე, რომლიდანაც რჯულისმომცემი მაცხოვარი მოევლინა დედამიწას; აარონის ხმელი კვერთხი რომ განედლდა და შემდეგ უკვე ისევ კიდობანში დააბრძანეს, შეიძლება, ღვთისმშობლის წინასახედ ჩაითვალოს – მარიამი ბერწი მშობლებისგან იშვა და ჭეშმარიტად დაუჭკნობელი კვერთხი და ყვავილია).

საქართველოში ღვთისმშობლის კულტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ იდეამ ასახვა ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში ჰპოვა. დედა ღმრთისას წინასახეებთან მიმართებით უნიშვნელოვანესია სამი ქართული ძეგლი, რომელიც მოქცეულია XI-XIV ს.ს.-ების ქრონოლოგიურ ჩარჩოში.

ესენია: 1. ბეთანიის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი; 2. ზარზმის ფერიცვალების სახელობის ტაძარი; 3. ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, რომელიც ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზეა.

თითოეული მათგანი თავისი უნიკალური იკონოგრაფიით გამოირჩევა. ტაძრებში მოხატულობა ხაზს უსვამს და წინ წამოსწევს ღვთისმშობლის თემას. მოცემული გვაქვს მარიამის ძველაღთქმისეული სახე-სიმბოლოები და წინასახეები; ასე, მაგალითად: სამივე ტაძარში, გარკვეული სახესხვაობებით, მოცემულია კარავი, მასში საყდარზე დაბრძანებულია კიდობანი, ჭურჭელი მანანათი და შვიდსანთლიანი სასანთლე.

ფიქრებთან ერთად

ნუნუ ჯანელიძე

„გული ხომ შენშია?!"

- მანამ ცოცხლობ, სანამ შეგიძლია, სიყვარული გასცე.
- თუ გასცემ, საუკეთესო უნდა გასცე, თუნდაც, თავმოყვარეობის გამო.
- როცა ფსკერზე ხარ, ლექსს ფეხს ვერ აუქცევ, მაგრამ გული ხომ შენშია?!
- ზოგჯერ ადამიანის დანაშაული ის არის, იმას ხვდება, რასაც სხვები საგულდაგულოდ მალავენ.
- ბევრჯერ თხრობისას სიკეთეც უფასურდება.
- გულში დაწერილი კანონი არასოდეს ავიწყდებათ.
- საკუთარ წარმოსახვით სამყაროში ჩაკეტვამ, შეიძლება, რეალური ცხოვრების ნახევარი წაართვას კაცს.
- გულში გაჩენილი სურვილი მრავალ კარგ სურვილსაც თან ჩაიყოლებს.
- ის, ვინც სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს, შეუძლებელია, საკუთარი თავი იპოვოს.
- კაცი და ოცნება: ორი პარალელური ხაზი, ერთმანეთს რომ ვერასოდეს გადაკვეთს.
- საკუთარ არასრულყოფილებაზე გამარჯვება: ვისაც შეუძლია, მტერს სიკეთით გადაუხადოს სამაგიერო.
- წესიერმა კაცმა უკეთურებთან დღესასწაულიც არ უნდა გაიყოს.
- თუ მაინც ის არის ადამიანი, რასაც მასზე ზურგს უკან ამბობენ, რაში სჭირდება, ტაშითა და სადღეგრძელოებით ათქმევინოს სხვას ის, რისი მოსმენაც გულს დაუამებს.
- ადამიანი ცხოვრების სარკეში იხედება, მაგრამ როგორ დაინახავს სინამდვილეს, თუ თვითონ სარკე ჭუჭყიანია.
- პატიების უმაღლესი ფორმა: აპატიო სხვას ის, საკუთარ თავსაც რომ არ აპატიებ.
- წერტილსაც ნურავინ შეხედავს დამცირებით – ისიც, შეიძლება, სამყაროს დასაწყისად ან დასასრულად იქცეს.

„თუ კაცი ღვთის კანონებით ცხოვრობს"

- მოვალეობით გაკეთებული საქმე წუთისოფლისთვისაა, სიყვარულით – უფლისთვის.
- ცრურწმენები უფლისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლების ლოდივით დევს.
- საცდური ქრისტიანთათვისაა, თორემ წარმართთათვის ცხოვრების სტილია.
- რაღა ცრურწმენებისგან გათავისუფლება და რაღა დანაღმული ველის განაღმვა.
- რწმენას საძირკველი ერყევა, როდესაც ღვთის კანონის საკუთარით ჩანაცვლებას ცდილობენ.
- თუ კაცი ღვთის კანონებით ცხოვრობს, ყველაზე დამცირებულ მდგომარეობაშიც ამაღლებული დარჩება.
- მომარხულე ბევრია, მონანიე – ცოტა.
- წარუმატებელია დღე, რომელიც უფლის დიდებით არ იწყება.
- არარაობაა ყოველი შემოქმედი, რომელიც ღვთისგან ბოძებულ ნიჭს უფლისვე სადიდებლად არ გამოიყენებს.
- არაფერია სანუგეშო, სანამ ღვთის სიტყვით არ გაჯერდება გულები.
- ნიჭიერს უფრო მართებს, თავი დაიმდაბლოს მის წინაშე, ვინც ეს ნიჭი უბოძა.
- ფრენის გადამეტებულმა სურვილმა, შეიძლება, სული დაამძიმოს.
- სასწაული ურწმუნოებს სჭირდებათ.
- ადამიანი ღვთის უმაღლესი ქმნილება კი არის, მაგრამ არა თავის შემქმნელზე მეტი.

„წუთისოფელი სერიალს ჰგავს"

- ვინც თავს ან სხვას აიდეალებს, არ დაავიწყდეს, რომ ორივენი არასრულყოფილები არიან.
- ლექსი: ვულკანის კრატერში ამოსული ყვავილი, წარსულ თუ მომავალ ბობოქარ ამოფრქვევათა მოწმე.
- გონიერმა კაცმა შორს უნდა დაიჭიროს თავი მისგან, ვისთან სიახლოვეც და დაპირისპირებაც ერთნაირად სახიფათოა.
- სიზმარიც მთელი სამყაროა, ოღონდ ამოყირავებული.
- სიბრძნეც უბრალო ღინჭილად იქცევა, თუ მას ცხოვრებაში არ გამოიყენებენ.
- პატიების უმაღლესი ფორმა – ადამიანმა აპატიოს სხვას ის, საკუთარ თავსაც რომ არ პატიობს.
- ცხოვრებაზე შურისძიება: მწარე დღეების სიცილით გახსენება.
- გამარჯვების შემდეგ ტკივილები იოლად შუშდება.
- დაბრძენებულხარ, თუ ხვდები, რამდენად სულელი ხარ.
- დაბალ საფეხურზე დგომას ერთი უპირატესობა აქვს – ქვემოდან ზემოთ იყურები.
- ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: გაბრაზებულმა არც უნდა იცხოვრო და არც უნდა წერო.
- წუთისოფელი სერიალს ჰგავს: სანამ ბოლომდე არ ჩახვალ, ვერ მიხვდები, რა სისულელეცაა.

„როდესაც სიმაღლეს ვერ სწვდებიან"

- ბოროტება: ვინმეს სასარგებლოდ ნათქვამ სიტყვას ის ვინმე მთქმელის საწინააღმდეგოდ რომ გამოიყენებს.
- რატომ პოვებენ ზოგიერთები სიამოვნებას სხვის დაცინვაში, იქნებ, თავადაც დასაცინადა აქვთ საქმე?!
- არმად ნაშოვნსაც მშვენიერი გემო აქვს, უბრალოდ, მერე შხამად წარმოდინდება.
- ადამიანი მაშინ უფასურდება, როდესაც თავს დიდ ვინმედ წარმოიდგენს.
- თავის გამოჩენის მსურველი ვერავინ გაექცევა პროვინციალიზმს.
- ყველა უსიამოვნება ადამიანს მხოლოდ იმიტომ ატყდება თავს, რომ ზომიერების გრძნობა ღალატობს.
- დასაბამიდან დღემდე რამდენ მდიდარს უცხოვრია ამქვეყნად, მაგრამ მათ გარდა, ვისმა ცხოვრებამ სულისა და გონების ნაყოფი გამოიღო, ისტორიას არავის სახელი არ შემოუნახავს.
- სხვისი ზნეობრივი საქციელი უკვე მტრობის საბაბია უზნეოსთვის.
- როდესაც სიმაღლეს ვერ სწვდებიან, ძირის გამოთხრას იწყებენ.
- სხვისი გაკვირვების სურვილი რას არ ჩაადენინებს კაცს.
- ადამიანი მაშინ უფასურდება, როდესაც თავს დიდ ვინმედ წარმოიდგენს.
- ვითომ დღესასწაულებით უკეთესები ხდებიან, ან სამყარო იცვლება უკეთესობისაკენ?
- მდაბიოთა სიამაყეც მდაბიურია და არ სცდება ქვენა გრძნობებს.
- უზრდელებს და უვიცებს თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ, თუმცა თავზე დიდი წარმოდგენა თავისთავად არის უზრდელობა და უვიცობა.
- ღარიბის სიდუხჭირე ვის ადარდებს?! იმის ეშინია, მე არაფერი მთხოვოსო.
- საცოდაობაა უწიგნურის მაღალფარდოვნება.
- ისე არაფერი ჰგავს ერთმანეთს, როგორც საბჭოთა პერიოდში აშენებული სადგურები.
- ხრიკებს უწყობდნენ, ხმებს უვრცელებდნენ, გზაზე მოსაკლავად უსაფრდებოდნენ თვით დიდ ვაჟა-ფშაველას... წუნკალი მედროვეები.
- მოჩვენებით წარმატებასაც ისეთივე იმედგაცრუება მოაქვს, როგორც – წარუმატებლობას.

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲢᲐᲢᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲰᲐᲯᲘ ᲣᲡᲣᲤᲘ ᲛᲐᲢᲔᲝ ᲤᲐᲚᲙᲝᲜᲔᲡ

ციცქნა ფორტუნატო აქ რად მოიყვანე,
გული ცუდს მანიშნებს, თოფი არ გატენო!
ვიდრე გაისროდე, გონი მოიხმარე,
ვაჟკაცად გიცნობენ, მთიელო მატეო!

ეს რა განიზრახე, შვილი უნდა მოჰკლა?
ვაგლახ, გაფიქრების არ მომდევს ძალ-ღონე,
მაგ დაწყევლილ ჩახმახს თითი არ გამოჰკრა,
ბატონო მატეო, სენიორ ფალკონე!

თუ შენი პატარა სულმოკლე გამოდგა,
იცი, ბრალეული შენვე ხარ, გამზრდელო,
მაგ დაწყევლილ ჩახმახს თითი არ გამოჰკრა,
ხოშგელდი, შეჩერდი, რას ჩადი, მატეო!

ნუ მოჰკლავ, ბალღია რძეშეუშრობელი,
ჯერეთ უმწიფარი და სიბრძნის არმქონე,
ძის სისხლით ირეცხავ შენს ცოდვას მშობელი?
ღმერთი არ გაგიწყრეს, ბატონო ფალკონე!

გესმის, კორსიკელო, ეგ თოფი დაუშვი,
კაცური ადათი ფეხქვეშ არ გათელო,
თუ სისხლი გწყურია და შენსას არ იშლი,
შენი საფეთქელი ახლოა, მატეო!

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲪᲕᲔᲢᲐᲔᲕᲐ
რუსულიდან თარგმნა **ᲠᲔᲕᲐᲖ ᲢᲐᲢᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**

* * *

მსურდა, მეცხოვრა მე შენ გვერდით ციცქნა ქალაქში,
სადაც მარადი მწუხრია და
გამუდმებით რეკენ ზარები,
ან პაწაწინა სასტუმროში მივარდნილ სოფლის,
სად მოწიკწიკე ძველი საათი
დროის წვეთებს აითვლის წყნარად.
ჟამიდან ჟამზე, საღამოობით,
ფლეიტის კვნესა გამოაღებს
რომელიღაც მანსარდის ფანჯრებს
ან თვით მწუხარე ფლეიტისტი აილანდება
ფანჯრის რაფებზე დიდი ტიტებით;
თუმც, შესაძლოა, მე შენ მაინც არ გყვარებოდი.
შუა ოთახში ღუმელია ვეებერთელა
ჩუქურთმოვან შორენკეცებით*.
ყოველ მათგანზე სურათხატობენ:
ხომალდები, ვარდი და გული,
ხოლო ერთადერთი ფანჯარაში,
თოვს, თოვს, თოვს!

* – კაფელის ქართული შესატყვისი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი, 15-მდე წიგნისა და „საპატრიარქოს არხზე" არაერთი წარმატებული სიუჟეტის ავტორი - რუსუდან დაუშვილი, რომლის ჯიდევ სამ ახალ წიგნს ელოდება მკითხველი, გასული საუკუნის 90-იან წლებში დაინტერესდა ემიგრანტული ბიოგრაფიებით.

ავტორის პუბლიკაცია „ამერიკაში ქართული სათვისტომოს დამაარსებელი" ოჩამჩირის ერთ-ერთ პატარა სოფელში დაბადებული პავლე კვარაცხელიას ამერიკული ყოფის წლებზეა, ითაკის უნივერსიტეტის პროფესორობამდე განვლილ გზაზე, საქართველოს გარეშე „ქართულად ცხოვრებაზე". გივი ყობახიძის სიტყვებით, „ბატონი პავლეს უშრეტ ენერგიას, მგზნებარე პატრიოტოზმსა და ორგანიზებულ ნიჭს უნდა ვუმადლოდეთ ამერიკაში ქართული სათვისტომოს დაარსებას".

ქართველი ემიგრანტის სევდიანი ანდერძიც მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარულის გამომხატველი უკანასკნელი ნატვრა იყო.

პავლე კვარაცხელია – ამერიკაში ქართული სათვისტომოს დამაარსებელი

რუსუდან დაუშვილი

აფხაზეთის სოფლიდან - ოკეანის გაღმა

ამერიკაში ქართული სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პირველი თავმჯდომარე – პავლე კვარაცხელია ითაკის კორნელის უნივერსიტეტის პროფესორი იყო აგროკულტურისა და მცენარეთა დაცვის დარგში.

პავლე კვარაცხელია დაიბადა 1883 წელს აფხაზეთში, მდინარე კოდორის ნაპირზე გაშენებულ მეგრულ სოფელ ნაასი. აქ გატარებული წლები ღრმად შემორჩა მის მეხსიერებას და ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ, ამერიკაში დაფუძნებულმა, სწორედ სოფლის სახელის მიხედვით შეარჩია ფსევდონიმი – „ნაური". პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ამ სახელით იბეჭდებოდა ევროპასა და ამერიკაში მცხოვრებ ქართველებზე საინტერესო წერილები და კორესპონდენციები.

დიმიტრი კვარაცხელიასა და მატრონა ჯოლოხავას 4 შვილიდან პავლე უფროსი იყო. მასწავლებლობა სურდა და ამიტომ მშობლებმა 1900 წელს ის გორის საოსტატო სემინარიაში მიაბარეს. ყმაწვილზე უდიდესი გავლენა მოახდინა ცნობილმა მწერალმა და პედაგოგმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნიკო ლომოურმა, რომლის მადლიერიც შეგირდი სიცოცხლის ბოლომდე იყო. მასწავლებელმა, მოსწავლის სიტყვებით, „ზურგზე სულ ბოლი აადინა" და კარგად შეასწავლა ქართული ენა. სემინარიის დამთავრების შემდეგ პავლემ რამდენიმე წელი ქართული ენის პედაგოგად იმუშავა ოჩამჩირის სკოლაში.

1913 წელს მან სწავლა განაგრძო პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრება ვერ მოახერხა დაწყებული პირველი მსოფლიო ომის გამო. თბილისში დაბრუნებულმა კი აგროკულტურის შესწავლა დაიწყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წელს განათლების სამინისტროში დაიწყო მუშაობა. მალევე 2.000 კანდიდატიდან შერჩეულ 84 ახალგაზრდასთან ერთად ეროვნულმა მთავრობამ პავლე კვარაცხელია ცოდნის გასაღრმავებლად საზღვარგარეთ გაგზავნა. 1920 წლის იანვარში ის ჯერ ლონდონში, შემდეგ კი ამერიკაში გაემგზავრა და ჩაირიცხა ქ. ითაკის კორნელის უნივერსიტეტში.

ქ. ითაკის კორნელის უნივერსიტეტი. აშშ

პავლე კვარაცხელია

რუსეთის ჯარის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პავლე ერთადერთი იყო იმ 84 სტუდენტიდან, რომელმაც უარი უთხრა ბოლშევიკებს, გაეგრძელებინათ მისთვის სტიპენდია. თუმცა, ვინც დათანხმდა ოკუპანტთა სტიპენდიას, ბევრი აღარ დაბრუნდა სამშობლოში და ემიგრაციაში დარჩა.

სამშობლოს დაკარგვა ახალგაზრდამ მძიმედ განიცადა. სულიერი და მატერიალური გაჭირვების მიუხედავად, მან წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი (აგროკულტურისა და მცენარეთა დაცვის დარგში). ტომპსონის სახელობის მცენარეთა კვლევის ინსტიტუტში, სადაც დატოვეს სამუშაოდ, 30 წელი იმსახურა. იქ მიიღო ჯერ მაგისტრისა და შემდეგ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, იყო ამ დარგში მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ინსტიტუტშიც და ითაკის კორნელის უნივერსიტეტშიც პავლე კვარაცხელია ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. მისი აღზრდილი მრავალი სპეციალისტი მოღვაწეობდა არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მსოფლიოს მრავალ კუთხეში.

კორნელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ჯაჯუ ჯორჯიკიას ბიძაშვილი – თამარ ჯორჯიკია. თამარი მშობლებთან ერთად ხარბინში (ჩინეთის პროვინცია) ცხოვრობდა, მერე ყველანი ამერიკაში, სან-ფრანცისკოში გადასახლდნენ, შემდეგ კი – ნიუ-იორკში. ორი ქართველი სტუდენტი ერთმანეთს ამერიკაში შეხვდა.

თამარი და პავლე 1923 წელს დაქორწინდნენ; შეეძინათ ორი გოგონა – ნინო და ელისაბედი (ბეტი). შვილების გამო თამარმა უნივერსიტეტის დამთავრება ვეღარ შეძლო.

კვარაცხელიებმა სახლი შეიძინეს ნიუ-იორკთან ახლოს, ქ. იანკერსში, სადაც ტომპსონის ინსტიტუტი ფუნქციონირებდა. მალე ეს სამკვიდრო იქცა მიმზიდველ სალონად და ქართველთა ნავსაყუდელად. ბევრი ემიგრანტი იანკერსში სწორედ იმიტომ სახლდებოდა, რომ კვარაცხელიების ამ მშვენიერი, ტრადიციული და გულღია ოჯახის წევრებთან ხშირი კონტაქტი ჰქონოდა. სწორედ ეს სახელოვანი ფუძე-კარი იქცა ქართველებისათვის მხსნელად და გამაერთიანებლად 1929-33 წლების დიდი ეკონომიკური კრიზისის დროს.

„ჰაცარა ხაქართველო“ ქართველებთან ერთად

გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ქართველთა რიცხვი იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ სათვისტომოს დაარსების იდეა გაჩნდა. ამ ანგარიშგასაწევ წამოწყებას თავდაპირველად თამარ ჯორჯიკიამ და ხარბინიდან ამერიკაში გადასახლებულებმა ასლან ყრუაშვილმა, კოსტა ხუნწარიამ და სხვებმა აუბეს მხარი. ლტოლვილებისთვის ახალ მიწაზე დამკვიდრებული სათვისტომო დიდი მნიშვნელობის იყო და ეს ახალგაზრდა ემიგრანტებს გააზრებული ჰქონდათ. **1908 წელს ხარბინში დაარსებული სათვისტომო ხომ ყველაზე ძლიერი და მდიდარი იყო მეორე მსოფლიო ომამდე არსებულ ქართულ სათვისტომოთა შორის. ინიციატივას მალე შეუერთდნენ ვანო კობახიძე, ვასო დუმბაძე, გიორგი მაჩაბელი და სხვები.**

თამარ ჯორჯიკია – პავლე კვარაცხელიას მეუღლე

უნდა აღინიშნოს, რომ „სუნამოების პრინცად“ წოდებული და ცნობილი პარფიუმერი აშშ-ში – გიორგი მაჩაბელი, წარმატებული ბიზნესის პარალელურად, აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. მან დიდი მატერიალური დახმარება გაუწია არა მარტო სათვისტომოს, არამედ ყველა ხელმოკლე ემიგრანტს.

1931 წლის 28 ნოემბერს გამგეობის პირველი კრება ნიუ-იორკში, რესტორან „სარჯველაძის სარდაფში“ ჩატარდა. ვანო კობახიძემ დახატა ქართული გერბი, რომელიც ამშვენებდა ქართული საზოგადოების ბლანკებსა და საბუთებს. 1 დეკემბერს სათვისტომო დაარსდა, 1932 წლის 31 იანვარს კი, ნიუ-იორკის მახლობლად, იანკერსში, კვარაცხელიების სახლში სათვისტომო საზეიმოდ აკურთხეს. მოიწვიეს 54 სტუმარი.

ქართული დროშებით იყო მორთული არა მარტო კვარაცხელიების ქუჩა, არამედ მთელი გზა ნიუ-იორკიდან იანკერსამდე. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ვასო დუმბაძე — საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ამერიკაში, აკაკი შანიძის უფროსი ძმა – მოსე შანიძე, რომლის ლოტბარობით გუნდმა „დიდება“ და კიდევ სხვა რამდენიმე ქართული სიმღერა ააჟღერა; პიანისტ ერეკლე ორბელიანის აკომპანირებით – დავით ალავიძემ სოლო პარტია შეასრულა.

ბევრს ადგა თვალზე ბედნიერების ცრემლი. ნადიმი 12 საათი გაგრძელდა — დღის 3-დან ღამის 3 საათამდე. სუფრას თამადობდა უჩა დადიანი, თანაშემწეებად ჰყავდა პავლე ჭავჭავაძე და გიორგი მაჩაბელი.

როგორც პავლე კვარაცხელია აღნიშნავდა, მისი უცხოელი მეზობლები მოიხიბლნენ ქართული ლხინით. ბევრმა ამერიკელმა კი სწორედ აფრიალებული დროშებით შეიტყო საქართველოს, ამ შორეული და პატარა ქვეყნის შესახებ. მეორე დღეს იანკერსის ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაცია სათვისტომოს დაარსების, ქართველთა ზეიმისა და, ზოგადად, საქართველოს შესახებ.

1932 წლის აპრილში სათვისტომომ მიიღო ოფიციალური ქარტია და Georgian Assotiation in USA-ამ ლეგალურად განაგრძო არსებობა. 24 აპრილს გაიმართა ასოციაციის პირველი კრება, რომელზეც აირჩიეს გამგეობა და მისი წევრები. თავმჯდომარედ პავლე კვარაცხელია დაასახელეს.

ამ საპასუხისმგებლო საქმიანობაში მას ეხმარებოდა მეუღლე თამარ ჯორჯიკია, რა თქმა უნდა, ქალიშვილებიც. სათვისტომომ დიდი თანადგომა გაუწია ახალჩასულებს, ჯერაც უპოვარ ქართველებს არა-მარტო ამერიკაში, ევროპაშიც.

1938 წელს ნიუ-იორკიდან 60 კილომეტრში, აისლიპში, სათვისტომომ შეიძინა სახლი და მას „პატარა საქართველო“ უწოდა; ამ კოხტა, არცთუ დიდი შენობის გარშემო გაშენებულ ბაღ-ბოსტანში ქინძი, ოხრახუში, სხვა დასახელების მწვანილი და ბოსტნეულიც ხარობდა. იქ სულს ითქვამდნენ ნიუ-იორკის ხვატს გარიდებული ქართველები.

ქ. აისლიპი. სათვისტომოს სახლი – „პატარა საქართველო“. აშშ

იმ ცკივიდიანი ანდერძით

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ამერიკაში გააქტიურდა ანტისაბჭოთა ტენდენციები, პავლე კვარაცხელია ენერგიულად ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში; იყო 1950 წელს ნიუ-იორკში დაარსებული „ქართველ-ამერიკელთა ლიგის“ ვიცე-თავმჯდომარე, ლიგის ოფიციალური ორგანოების, ჟურნალების - „ცნობის ფურცელი“, „ჩვენი გზა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1950-იანი წლების დასაწყისში, როგორც თვითონ ამბობდა, „გულმა უმტყუნა“ და პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა. ინსტიტუტმა დიდი პატივით გააცილა. მთელი მსოფლიოდან ჩასულმა მისმა ყოფილმა სტუდენტებმა და აღზრდილებმა კი უჩვეულო სითბო და სიყვარული გამოხატეს.

პენსიაზე გასვლის შემდეგ კვარაცხელიების ოჯახი გადასახლდა ფლორიდის სამხრეთში, ოკეანის სანაპირზე, საკურორტო ქალაქ ფორტ ლაუდერდელში, რომელიც პალმებითა და ზღვის სურნელით პავლეს აფხაზეთს აგონებდა; აიშენა მშვენიერი სახლი, რომლის ეზოს ამჯერად ციტრუსები ამშვენებდა. ეს ეზო-კარიც იანკერსის სამოსახლოსავით სტუმრიანი იყო. ის მასპინძლობდა ქართველებს ამერიკის შორეული შტატებიდანაც კი. ქართველ მოღვაწეს, ალბათ, ამ სამოთხემ გაუხანგრძლივა სიცოცხლე.

პავლე კვარაცხელია გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, 1972 წელს, რასაც თითქმის ყველა ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთი გამოეხმაურა; რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ სათვისტომოს პირველ თავმჯდომარეს გადაცემა უძღვნა.

ქართველი ემიგრანტის - პავლე კვარაცხელიას ანდერძიც უდიდესი სულიერი ტკივილის გამომხატველია - დამწვით და ფერფლი ოკეანის თავზე გაფანტეთ, რომ ნავლის თუნდაც უმნიშვნელო ნაწილმა მაინც ჩააღწიოს ჩემი სათაყვანო ქვეყნის ნაპირებამდეო...

ივანე ტურგენევი (1818-1883 წ.წ.) - უდიდესი რუსი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, მსოფლიო ჯლასიკური ლიტერატურის წარმომადგენელი, იმპერატორის ჯართან არსებული სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან გაატარა პატარა ქალაქ ბუჟვალში, პარიზთან ახლოს.

ნოველებს, რომელთაც დღეს წარმოგიდგენთ, დაწერილია ავტორის ემიგრაციაში ყოფნის დროს. მწერალს სამშობლოში გამოსაქვეყნებლად გადაუწერია ზოგიერთი მათგანი (50-მდე); ისინი დაიბეჭდა იმავე 1882 წელს, პეტერბურგში, ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის" ფურცლებზე (№12), სათაურით - „ლექსები პროზად".

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1883 წლის დეკემბერში, თბილისში, ჟურნალ „ივერიაში" ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს ამ ნოველების მისივე თარგმანს (ზემოთ დასახელებული ციკლის 7 ნაწარმოებს).

როგორც მეცნიერი გურამ შარაძე აღნიშნავს, „ივანე ტურგენევის ამ მეტად გახმაურებული თხზულებების ილია ჭავჭავაძისეული პირველი ქართული თარგმანები 1892 წლის შემდეგ არ შესულა მწერლის არც ერთ გამოცემაში, რის გამოც იგი თითქმის უცნობია ჩვენი მკითხველი საზოგადოებისთვის... და, ამდენად, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული".

თითქმის 140 წლის შემდეგ მათ ვბეჭდავთ „იალქნის" ფურცლებზე. ეს ნოველები ერთი ეპოქის ორი დიდი შემოქმედის - ივანე ტურგენევისა და ილია ჭავჭავაძის, მართლაც რომ, წარმატებული ტანდემია.

ნოველები*

ივანე ტურგენევი
რუსულიდან თარგმნა **ილია ჭავჭავაძემ**

მთხოვარა

მე ქუჩებში დავდიოდი. ჯან-მიღებულმა მოხუცმა მთხოვარამ შემაყენა. ჩაწითლებული თვალთა ბუდენი, სველი წირპლ-მორეული თვალები, გალურჯებული ტუჩები, აბურძგნული თმები, ჩირქიანი წყლულები... ოჰ, რა საშინლად გამოუხრავს სიღარიბეს ეს საცოდავი ადამიანი!

გამომიწოდა აბურცებული, დასიებული, ჭუჭყიანი ხელი. შემომკვნესა, ძროხასავით შემომბღავლა.

მე მაშინვე ჯიბეს ვიკარ ხელი... ჯიბე-უბეები სულ გადმოვაბრუნე და ღვთისაგან განაჩენი ვერა ვიპოვერა... არც ქისა, არც საათი, ხელთ-სახოციც კი არ გამომყოლოდა შინიდამ.

მთხოვარა მიცდიდა. გამოწვდილი ხელი უკანკალებდა, უთრთოდა.

მე, დაბნეულმა, სირცხვილეულმა ჩამოვართვი მთრთოლვარე, ჭუჭყიანი ხელი, მაგრა მოვუჭირე და ვუთხარი:

– ნუ მიწყენ, ძმაო! არაფერი არა მაქვს-რა, ძმაო!

მთხოვარმა გამისწორა თავისი ჩაწითლებული თვალები. მისთა ჩალურჯებულთა ტუჩთა შემომცინეს გულის-ტკენით. მაგრა მოკუმშა თავის ხელში ჩემი გაცივებული თითები.

– რა ვუყოთ, ძმაო! – წაიწმუკუნა მთხოვარამ: მაგისთვისაც მადლობელი ვარ, ეგეც გაკითხვაა, მოწყალებაა, ძმაო!

მე შევიგენ, მე ვიგრძენ, რომ მეც განკითხულ ვიქმენ. მეც მოწყალება მივიღე ჩემის ძმისაგან.

* – თარგმანებს ვბეჭდავთ უცვლელად.

ბეღურა

მე ნადირობიდამ მოვდიოდი ბაღ-და-ბაღ. მეძებარი ძაღლი წინ მიძუნძულებდა.

უცბად ძაღლმა სიარული იკლო. ფეხ-აკრეფით დაიწყო მიპარება, თითქო ნადირის თუ ფრინველის ალღო აიღოვო.

გავიხედე წინ, ვითვალთვალე და დავინახე ბღარტი ჩიტისა:იგი ბუდიდამ ჩამოვარდნილიყო (ქარი ძალიან არხევდა ხეებსა) და უძრავად იჯდა, ახლად აშლილი ფრთები გადაეფოფხა აქეთ-იქით უნუგეშოდ.

ჩემი ძაღლი მძიმედ ეპარებოდა ბღარტსა. უეცრად გამოქანდა იქაც ხიდამ ხნიერი შავ-გულ-მკერდა ბეღურა და შურდულის ქვასავით ძაღლის ცხვირწინ დაეცა. აბურძგნულმა, გაკაპასებულმა, იმედდაკარგულის და საცოდავის ხმით, ერთი-ორჯერ ისკუპა პირდაპირ პირდაღებულ, დაღრენილ ძაღლისაკენ.

ეცა გამოსახსნელად და წინ აეფარა თავის შვილსა... მაგრამ მაინც კი პატარა ტანი უთრთოდა შიშისაგან, პაწია ხმა გაუხრინწიანდა, გაუბოხდა, იგი თრთოდა, გული ელეოდა, თავგანწირული იყო შვილისათვის!

რა უშველებელ ვეშაპად უნდა სჩვენებოდა ძაღლი! მაინც კიდევ არ დადგა იგი, მაღალ ტოტზედ უშიშრად მჯდომარე... ძალმა, ნებაზედ უფრო ღონიერმა, გადმოაქანა იგი მაღალ ხიდამა. ჩემი ტრეზორი შედგა, უკან დაიწია... სჩანს, იმანაც იცნა იგი ძალი.

მე ვუხმე გაშტერებულს მყეფარს და წამოვედი, ბეღურის მიმართ თაყვანის-ცემით გულ-აღვსილი.

დიაღ! ნუ გაგეცინებათ. მე მოწიწებით თაყვანის-ცემა ვიგრძენ იმ პაწია და თავ-გაწირულ ჩიტის წინაშე, წინაშე მისის სიყვარულის აღფრთოვანებისა!

სიყვარული, – ვიფიქრე მე, – სიკვდილსაც და სიკვდილის შიშსაც სძლევს. მარტო მითი, მარტო სიყვარულით მძლეობს და მოძრაობს ცხოვრება.

სულელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სულელი.

დიდხანს მიდიოდა იმისი ცხოვრება ქეიფითა და შვებითა. ბოლოს ცოტ-ცოტად მოაწია იმის ყურამდინ, რომ ყველანი უგნურს ეძახიან.

ეწყინა ბრიყვს და დაიწყო ზრუნვა მასზედ, რომ როგორმე კრიჭა აუკრას ამ უსიამოვნო ხმებსა.

უცბად ამისი ბნელი ტვინი გაანათა ერთმა აზრმა. ერთს წუთს აღარ დაყოვნებულა და ის აზრი განახორციელა.

ქუჩაში შეხვდა ერთი თავისი ნაცნობი. ამან უქო ერთი გამოჩენილი მხატვარი...

– რას ბრძანებთ!.. – შეჰყვირა სულელმა, – ამ მხატვარს დიდი ხანია, აბრუ გაუტყდა, დაძველდა... ნუთუ არ იცოდით? მე ეგ თქვენგან არ მეგონა... თქვენ, ერიჰა! საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობას!..

ნაცნობი შეშინდა და მაშინვე თანახმა გაუხდა სულელსა.

– რა მშვენიერი წიგნი წავიკითხე დღეს! – ეუბნება მასვე სულელს მეორე ნაცნობი.

– რა ბრძანებთ! – შეჰყვირა სულელმა: როგორ არ გრცხვენიათ? რის მაქნისია ის წიგნი!.. რამდენი ხანია, რაც ზედ არც კი აფურთხებენ... ნუთუ ეგ არ იცოდით? ერიჰა! საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობას!

ეს ნაცნობიც შეშინდა და თანახმა გაუხდა სულელსა.

– რა კაი კაცია ჩემი მეგობარი №! – ეუბნებოდა სულელს მესამე ნაცნობი. აი, მართლა-და კეთილ-შობილი კაცი ის არის!

– რას ბრძანებთ! – შეჰყვირა სულელმა: № ხომ გაქნილ, უნამუსო კაცად არის ყველგან და ყველასაგან ცნობილი. მთელი თავისი გვარეულობა გაყვლიფა. ვინ არ იცის ეს ამბავი? ერიჰა!.. საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობას!

მესამე ნაცნობიც შეშინდა, თანახმა გაუხდა სულელსა და მეგობარს გადაუდგა. ვინც და რაც კი უნდა გექოთ სულელის წინაშე, ყოველზედ და ყველაფერზედ ერთი და იგივე პასუხი ჰქონდა.

ხანდისხან, დრო გამოშვებით ამასაც ჩაუმატებდა ხოლმე კიცხვით: ნუთუ აქამომდე თქვენ ავტორიტეტები გწამთ?

– გესლიანი კაცია! წიწლაკიანია! – დაიწყეს ლაპარაკი სულელის ნაცნობებმა, – მაგრამ რა ჭკუაა, რა გოგრა!

– რა ენის პატრონია, უმატებდნენ სხვანი, – უეჭველი ნიჭია, უეჭველი ტალანტი!

ბოლოს ისე გათავდა საქმე, რომ ერთმა რედაქტორმა გაზეთისამ მოიწვია იგი სულელი და ჩააბარა კრიტიკის ნაწილი გაზეთისა.

სულელმაც დაიწყო კრიტიკა ყველასი და ყველაფრისა. ერთი სიტყვა არ გამოაკლო თავის ჩვეულებრივს სიტყვა-პასუხსა, სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა.

ეხლა იგი, უარ-მყოფელი ავტორიტეტებისა, თვითონ შეიქმნა ავტორიტეტად და ყმაწვილი კაცნი თაყვანს სცემენ, მისი დიდი შიში და რიდი აქვთ. მაშ, სხვას რას იქმოდენ საცოდავნი ჭაბუკნი? თუმცა-საზოგადოდ რომ ვსთქვათ-თაყვანება რიგი არ არის... მაგრამ რასა იქმ აქა... არა სცემ თაყვანს, ძველებში, უკან ჩამორჩენილებში ჩაგთვლიან!

მხთალთა შორის სულელის ბედს ძაღლიც არ ყეფს!

კუმურდოს ტაძარი. X ს.

ეს კუმურდოს აღდგენილი ტაძარია, რომელიც ჯავახეთში აფხაზთის მეფის – ლეონ III-ის ბრძანებით ქართველმა ხუროთმოძღვარმა – საკოცარმა ააგო (ლეონ III, გიორგი II-ის ვაჟი მეფობდა 957-967 წ.წ.). ამ ეკლესიის გარდა ლეონ III-ის დროს აშენდა მოქვის დიდებული ტაძარიც.

ზეიდალი – ჯაჭვისაგან ნაქსოვი რკინის პერანგი.

გაზეთი „დროება“ გამოდიოდა 1866-1885 წ.წ.-ში (პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი; სხვადასხვა დროს – სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი). „დროებამ“ დაბეჭდა ფელეტონი, სადაც ვიღაც მოლასა და ყადიზე იყო საუბარი; მაგრამ ოზურგეთის მაზრის უფროსმა ვირუბოვმა დაიჩემა, ეს ყადი მე ვარო და სასამართლოში აღძრა საქმე.

იქვე დაემთხვა, რომ ივანე მაჩაბლის (ის მაშინ რედაქტორი იყო) ფელეტონი რუს მუშაზე წაიკითხეს, როგორც სატირა კავკასიის მეფისნაცვალ დონდუკოვ-კორსაკოვზე, რომელსაც სმა უყვარდა. კავალერიის გენერალი და მთელი კავკასიის გამგებელი პატარა გაზეთს ვერ მოერეოდა?

ამიტომაც „დროება“ დაიხურა და აღარასოდეს აღმდგარა“.*

მიხეილ ჭიაურელის მხატვრულ ფილმში – „გიორგი სააკაძე“ პატარა პაატას როლს ასრულებს რეჟისორი – მერაბ კოკოჩაშვილი, უკვე ყმაწვილკაცი პაატასი კი – მეორე ცნობილი რეჟისორი – გუგული მგელაძე.

ზღვის ცხენი ერთ-ერთი უნიკალური სახეობაა ცხოველთა სამყაროში: სასიყვარულო „რიტუალის“ შემდეგ „ფეხმძიმდებიან“ მამრები და არა მდედრი ზღვის ცხენები. თურმე მდედრები თავის ქვირითებს ყრიან მამრის სხეულზე, უფრო სწორად, მის ე.წ. მცირე „გამოსაჩეკ“ ღრმულში; 14-28 დღის შემდეგ მამრი „შობს“ 1500-მდე ნაშიერს. საოცარია, მაგრამ ზოგიერთი მამრი დილით რომ ათასობით ლიფსიტას გამოჩეკავს, მალე ისევ „ფეხმძიმდება“. ასე მრავლდებიან ზღვის ცხენები.

ჯოხს, რომლითაც ძველ რომში პირუტყვს მიერეკებოდნენ, ერქვა „სტიმული“.

უდიდესი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე – ექვთიმე თაყაიშვილი ხუმრობდა: მე რომ ბავშვობიდან ხეიბარი არ ვყოფილიყავი, აუცილებლად ფირალი ვიქნებოდიო. მეცნიერი ხშირად ვინმე კერძო პირს მის მიერ მოწონებულ იშვიათ ნივთს გამოართმევდა; ეტყოდა, შინ წავიღებ, შევისწავლი და რამდენიმე დღეში დაგიბრუნებო. მეორეს დღეს კი გაზეთში აქვეყნებდა განცხადებას, ამა და ამ პიროვნებამ საქართველოს მუზეუმს ესა და ეს ნივთი შესწირა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას ვუხდითო.

„რუსეთისთვის კავკასიის პრობლემა, ფაქტობრივად, საქართველოს პრობლემაა. არ იქნება საქართველო, არ გვექნება კავკასიის პრობლემაც!“ – ეს სიტყვები ეკუთვნის საქართველოს მთავარმართებელს, ბოროდინოს ომის მონაწილეს, ცნობილ რუს გენერალს, ალექსეი ერმოლოვს.

„სიხარული, რომელსაც გრძნობს ადამიანი ნივთიერი შესაწირის მიღებისას, ადამიანური სიხარულია, ხოლო, რასაც გაცემით გრძნობს, ღვთიური. ღვთიური მოდის გაცემით“, – თვლიდა ბერი პაისი მთაწმინდელი.

კანზას-სიტის ბიბლიოთეკა. (აშშ)

მსოფლიოს 7 ყველაზე უცნაურ ბიბლიოთეკებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალურია ქ. კანზას-სიტის (აშშ) ცენტრში განთავსებული საჯარო ბიბლიოთეკის შენობა, შეუდარებელი არქიტექტურით. ის აშენდა 2004 წელს. საინტერესოა, რომ ამ ქალაქში ძალზე პოპულარული საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის არსებობის ისტორია იწყება ჯერ კიდევ 1873 წლიდან. შენობის გარეთა ხედი წარმოადგენს წიგნების უზარმაზარ თაროს, 20-მდე კოლოსალური ზომის წიგნით. ამ „წიგნების“ სახელწოდებები შეარჩია ადგილობრივმა მოსახლეობამ: „რომეო და ჯულიეტა“, „ჰეკლბერ ფინის თავგადასავალი“, „ბეჭდების მბრძანებელი“ და ა.შ. ბიბლიოთეკაში მომსვლელ მკითხველთა ავტომობილები პარკირებულია უზარმაზარი სიდიდის ე.წ. „წიგნების თარო-ფარეხებში.“ კანზას-სიტის ბიბლიოთეკაში ორ მილიონამდე წიგნია.

*** – აკა მორჩილაძე. „ქართული რვეულები. XIX ს.-ის სურათები“.**

ომში ნაგემი სიყეთე

ᲖᲐᲘᲠᲐ ᲛᲘᲥᲐᲢᲐᲫᲔ

ისტორია, რომელიც ომის ქრონიკასთან ერთად სიყეთის გაკვეთილიცაა, ქუთაისელ ამირან შაშიაშვილს ეკუთვნის. აფხაზეთის ომში 30 წლის მეომარი თავგანწირვით ებრძოდა მტერსა და სიკვდილს. მისი სიცოცხლისთვის ბრძოლა კი სულ სხვას მოუხდა, კაცს, რომელსაც მტრის სახელი უფრო ჰქონდა, ვიდრე მოყვასის.

მძაფრი დღეების მნახველი ვეტერანი ახლა სულ სხვა რეალობაში ცხოვრობს. ეზოში დგას გვერდებშეჭეჭყილი მანქანა, რომელსაც ამირანმა პირვანდელი სახე უნდა დაუბრუნოს. ეს მისი შეძენილი ხელობაა ომის შემდეგ, რაც არსებობაში ეხმარება. მის ცხოვრებასთან განუყოფელი კი ის საქმეა, სამშობლოს მცველის სახელი რომ დაარქვა.

გაგრის ბრძოლების შემდეგ ამირან შაშიაშვილი დაჯარგულად ითვლებოდა. ამის შესახებ ცნობა ადგილობრივ გაზეთშიც გამოქვეყნდა. თანამებრძოლებმა ოჯახს ამბავი ჩამოუტანეს, ამირანი გაგრის ბრძოლებში დაიღუპა და იქ დავტოვეთო (დაღუპულების გამოყვანას მართლაც ვინ აუვიდოდა, უკანდახეულ მეომრებს ჯერ დაჭრილებისთვის უნდა მიეხედათ).

ომში დაჯარგულ მებრძოლს სიმბოლური საფლავიც გაუკეთეს, ოჯახი გლოვობდა...

ერთ დღესაც აფხაზეთიდან წერილი მოვიდა, ცოცხალი ვარ, ჩემზე არ იდარდოთო, იტყობინებოდა ამირანი. მეუღლის ხელწერა და სიტყვათა წყობა მაშინვე იცნო ქალბატონმა ზიზიმ, მაგრამ თვითმხილველთა ნათქვამი უფრო სარწმუნოდ ეჩვენა და გლოვა განაგრძო. ამ დროს ამირანი შინ დასაბრუნებლად იბრძოდა. თუმცა ეს ადვილი არ იყო. ალბათ, წარმოუდგენელიც, მაგრამ ღმერთმა ასე ინება.

„ვინ იფიქრებდა?!“

27 წლის შემდეგაც მძიმედ მოსაგონარია ამბავი, რომელიც ამირან შაშიაშვილს აფხაზეთის ომში გადახდა; მაინც მოგვიყვა, მოგვიყვა ნაწილ-ნაწილ და პაუზებით:

– საბჭოთა ჯარიდან სერჟანტის წოდებით დავბრუნდი. როგორც რეზერვში მყოფი, ომში ქუთაისის კომისარიატმა გამიწვია. 21-ე ბრიგადის რეზერვისტთა ბატალიონმა, სადაც ჩავირიცხე, ჯერ ორკვირიანი შეკრება გაიარა წყალტუბოში; ამის შემდეგ 120 კაცი ჩავფრინდით სოხუმში, სადაც ორი დღე დავრჩით. მეორე მსოფლიო ომის გმირი, მელიტონ ქანთარია მაშინ ცოცხალი იყო. ჩვენთან მოვიდა და გაგვამხნევა. გვითხრა, არ შეგეშინდეთ, ბიჭებო, ბრძოლაში შიში უარესიაო.

ორი დღის შემდეგ 20 კაცი ლესელიძეში გადაგვაფრინეს. ვერტმფრენს მართავდა ზაურ ონიანი, რომელსაც ქუთაისიდან ვიცნობდი. გვერდით დამისვა. როგორც კი მიწას მოვწყდით და ზღვას თავზე მოვექეცით, დავინახე, ჩვენკენ ჭურვი მოფრინავდა, გემიდან გვესროდნენ. ზაურმა აიცილა და სოხუმისკენ შემობრუნდა. როცა შებინდდა, ისევ ავფრინდით და დაბლა-დაბლა ფრენით განვაგრძეთ გზა.

მეორე მცდელობაზე გაგვიმართლა, ლესელიძემდე მშვიდობიანად ჩავაღწიეთ. მაგრამ მფრინავმა იქ ვერტმფრენი სტადიონის თავზე, ჰაერში ჩამოჰკიდა; არ დაფრენილა, რის გამოც სიმაღლიდან მოგვიხდა გადმოხტომა. თვითონ კი უკან სულ სხვა მიმართულებით დაბრუნდა, რადგანაც მთელი გზა აფრთხილებდნენ, იმავე გზით არ დაბრუნდე, ჩამოგაგდებენო.



ლესელიძიდან გაგრისკენ დავიძარით. ორი დღე ვუტევდით მოწინააღმდეგეს და უკან დავიხიეთ. ორი დღის შემდეგ კი ჯერ დაგვბომბეს და მერე რუსების ტექნიკამაც შემოგვიტია. საუბარზე ვატყობდით, რუსები რომ იყვნენ. ბრძოლები ახლო მანძილიდან გრძელდებოდა. **სამ დღეში გაგრა დაეცა კიდეც. უკან რომ ვიხევდით, ცეცხლმოკიდებულ სახლში დავინახე ბავშვი, იმდენად პატარა, რომ სარეცხ მანქანაზე ეკიდა ხელი და თავს ისე იკავებდა. თან განწირული ხმით ტიროდა.**

სახლში შევვარდი; საზარელი იყო დამწვარი, იატაკზე დაყრილი დედ-მამის ნახვა. მივეჭერი აღრიალებულ ბავშვს და სასწრაფოდ გამოვიყვანე. დატოვეო, მითხრეს ბიჭებმა. შემეცოდა, ძალიან უმწეო იყო, ვერ გავიმეტე. შევაღე სამეზობლოს ერთ-ერთი კარები; ოთახში ასაკოვანი ხალხი დამხვდა. აფხაზები ყოფილან. ბავშვი ქალბატონს კალთაში ჩავუსვი და იქაურობა მაშინვე დავტოვე.

ძველ, ცხვირიან ავტობუსებს ბიჭები მოჰყავდა, მაგრამ ერთი იმდენი გვაკლდებოდა. მოწინააღმდეგეს მანათობელი ბომბები ჰქონდა... გველუპებოდნენ ბიჭები და იქვე ვტოვებდით; მათი გამოყვანის არც დრო გვქონდა და არც თავი. სანაპიროზე მტერი სამკუთხედში მოვიქციეთ და ორი-სამი საათით შევაჩერეთ. მაგრამ ძალიან მოგვაწვნენ და ლესელიძისკენ დავიწყეთ უკან დახევა. სტალინის აგარაკებთან ბუჩქნარში ვიყავი ჩამჯდარი, როცა გასროლის ხმა გავიგე და საშინელი ტკივილიც ვიგრძენი თავში. ტყვია პირდაპირ შუბლში მომხვდა.

ჩვენს ბიჭებს დაჭრილები კი გამოჰყავდათ, მაგრამ რომ დაინახეს, თავში ვიყავი დაჭრილი და გაუნძრევლადაც ვეგდე, ვინ იფიქრებდა, რომ სული მედგა?! დამტოვეს და სახლში ჩემი დაღუპვის ამბავი ჩაიტანეს.

„ის ოჯახი ბევრ ქართველს დაეხმარა“

– ერთი ახალქალაქელი სომეხი ბიჭი, ომის დაწყებამდე მამიდასთან გაგრაში სტუმრად ჩასული, ქალაქს შემორჩა. ჩემს ბედად, იმ დღეს მან შემამჩნია, რომ ვსუნთქავდი. მამიდას სახლში გადამიყვანა. მიმკურნალა, წელიწადი და სამი თვე ოჯახის წევრივით ვყავდი. ამ ხნის განმავლობაში ტყეში გავდიოდი ხოლმე და გვიან ღამით ვბრუნდებოდი. ხანაც ტყეში ვრჩებოდი, რადგანაც მეზობლები ხშირად სტუმრობდნენ ამ ოჯახს.

მაგარი ტყე აქვს აფხაზეთს, ყურძენი, ხურმა, მსხალი... როცა ტყეში ვიყავი, მთელი დღე ხილით ვირჩენდი თავს. კარგად რომ შევძელი სიარული და მხედველობაც დამიბრუნდა, მასპინძელს ვუთხარი, აქ გაჩერება აღარ შემიძლია, აქედან მომაშორე-მეთქი. ნახა ძველი ნავი, რომლითაც კატერი ავაწყვეთ და ზღვამდე მივიტანეთ. ცხრა ლიტრი ბენზინი მქონდა. ფოთისკენ ავიღე გეზი. როგორც კი ზღვაში პატარა მანძილი გავიარე, დაახლოებით ორასი მეტრიდან სანაპირო დაცვამ დამანათა და კატერით ჩემკენ გამოქანდა. ნაპირისკენ შემოვტრიალდი, კატერი მივატოვე და ტყე-ტყე ისევ იმ ოჯახში დავბრუნდი. კარგა ხანს ველარ მოვახერხე გამოსვლა.

ესეც ჩემმა მასპინძელმა მოიფიქრა: მისამართი გამომართვა, ადლერში ჩავიდა და იქაურ ქართველებს შეხვდა. მათ კი ჩემებს ჩემივე ხელით შედგენილი წერილი გაუგზავნეს; ვატყობინებდი, რომ ცოცხალი ვიყავი.

ისევ სომხების ოჯახი მიფარებდა; ვაკეთებდი დანებს და დრო ამით გამყავდა. ჩემმა მასპინძელმა ისინი რამდენჯერმე გასაყიდადაც წაიღო და ნავაჭრი თანხა ხელში ჩამიდო. ერთ დღესაც მოვიდა და მითხრა, სოხუმი დაეცა, ომი დამთავრდა და საზღვარი გაიხსნაო. სხვა გზა არ იყო, იქაურობა უნდა დამეტოვებინა, გაგრაში გაჩერება უკვე ძალზე სახიფათო იყო; ვიღაცა მაინც მომკლავდა. რამდენჯერმე მივადექი ფსოუს, მაგრამ ფონი ვერ ვნახე და ვერ გადავედი. ხან ხალხმრავლობა იყო, ბადე ჰქონდათ ჩაგდებული, ხანაც მანდარინი გადაჰქონდათ...

ბოლოს გადავწყვიტე: მეც მოვიგდე ზურგზე მანდარინით სავსე ტომარა და წამოვედი. იმ სომეხმა ბიჭმა თავისი პასპორტი მომცა და ერთი ქალიც გამომაყოლა. მესაზღვრემ სურათს დახედა, მაგრამ წვერ-ულვაში ჩემი მასპინძელივით მეც მქონდა მოშვებული და ვერაფერს მიხვდა. **წარმოიდგინეთ, რა განცდაც დამეუფლებოდა, როცა საზღვარს გავცდი; მოვისროლე ყველაფერი, პასპორტი კი იმ სომეხს, ჩემს გადამრჩენელს დაუბრუნა ქალმა, მე რომ გამომყვა.** რამდენიმე დღეში იმავე პასპორტით გადმოვიდა თვითონაც.

საქართველოში ორივენი ადლერ-კოპიტნარის რეისით გადმოვფრინდით. **მარტო მე კი არა, დიდი რისკის ფასად ის ოჯახი ბევრ ქართველს დაეხმარა. ბოლოს გაუგეს და სახლი გადაუწვეს.**

„მის ვინაობას ვერ ვამხელთ“

მეუღლის, ქალბატონი ზიზის ნაამბობიდან:

– რომ დაბრუნდა, ვერ გადმოგცემთ, ეს რა იყო... გასული იყო უკვე ერთი წელიწადი. პირველად ბიძამისს უნახავს. სახლში შემოიჭრა ყვირილით, ამირანი ცოცხალიაო. არადა, ყველამ ვიცოდით, რომ მკვდარი იყო. არც იმ წერილის სისწორე დავიჯერეთ, რადგანაც დაგვარწმუნეს, რომ ასეთი რაღაცეები ფულის გამოძალვის მიზნით ხდებაო... გადი, კაცო, იქითო, არ იშლიდა თავისას ბიცოლა, ხუმრობის დროა ახლაო?! არა, მართლა მოვიდაო, უკვე აცრემლებული გვეუბნებოდა. ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. ცოტა დროში ამდენი ხალხი საიდან გაჩნდა, არ ვიცი. **ის სომეხი ბიჭი კი, რომლის ვინაობას ახლაც ვერ ვამხელთ, ჩვენთან ხუთი დღე დარჩა; სოფელში წავიყვანეთ; არ ვიცოდით, მადლიერება როგორ გამოგვეხატა, რა პატივი გვეცა, როგორ მოვფერებოდით. ისე, თვითონ ძალიან იყო შეშინებული, მგონი, ღამეც არ ეძინა; მომკლავენო, ამბობდა. იძულებული ვიყავი, თქვენ წინააღმდეგ მებრძოლა, დახვრეტით მემუქრებოდნენო.**

წარსულიდან არასოდეს დაბრუნებულა

– ახალ ცხოვრებას ძალიან ძნელად შევეგუე, – **აგრძელებს საუბარს ამირან შაშიაშვილი**, – ვერ ვლაპარაკობდი, ენა მებმოდა დიდხანს. მერე ჯარში დამიძახეს და ამან გამომიყვანა მდგომარეობიდან, იქ უკეთესად ვიგრძენი თავი. კავშირგაბმულობაში ვმსახურობდი; ჯერ მეხუთე ბატალიონში, შემდეგ კი – 21-ე ბრიგადაში. 1994 წელს დალის ხეობაში გამაგზავნეს. გუჯარ ყურაშვილი იყო ჩვენი მეთაური.

ჯარის შემდეგ ავტობუსზეც ვმუშაობდი. ერთხელ ახალციხეში მოვხვდი, ვიკითხე ჩემი გადამრჩენელი, მაგრამ ვერავინ მიმასწავლა. იმის შემდეგ სულ ვეძებ იმ სომეხ ბიჭს; ალბათ, ოდესმე მაინც ვიპოვი, ისევ შევხვდებით ერთმანეთს...

თხრობა დაასრულა ამირანმა და ამ ხნის განმავლობაში შეგუებული ცრემლები ლოყაზე ღვარად ჩამოსდიოდა.

ძნელი იყო, მიმხვდარიყავი, რა ატირებდა მეომარს, ტკივილი, სიმწარე, დამარცხება, დაღუპული თანამებრძოლები, გაგრაში დატოვებული პატარა გოგონას გაურკვეველი ბედი თუ ომში ნაგემი სიკეთე, რომელმაც ის გადარჩენისა და შინდაბრუნების იმედთან მიაახლოვა, ბოლოს კი გადაკვეთილმა საზღვარმა დაუჯერებელი წამები განაცდევინა. თუ ყველაფერი ერთად?..

ეზოში კი კვლავ დგას გვერდებშეჭეჭყილი მანქანა, რომელსაც ამირანი პირვანდელ სახეს უბრუნებს. გონებით კი კვლავ იმ წარსულშია, საიდანაც არასოდეს დაბრუნებულა...

1. ვის გადასცა უფალმა ქვის ფილაზე დაწერილი 10 მცნება?
ა) იოანე ნათლისმცემელს;
ბ) მოსეს;
გ) მათეს.

2. „აფხაზეთის“, ანუ დასავლეთ საქართველოს მეფედ კურთხევის შემდეგ მეფე ბაგრატ III-ემ რომელი ტაძრის მშენებლობა დაიწყო?
ა) ბედიის;
ბ) მონამეთასი;
გ) ბაგრატის.

3. რამდენ ხანს გრძელდებოდა ცნობილი ტროას ომი?
ა) 1 წელს;
ბ) 5 წელს;
გ) 10 წელს.

4. თბილისის რომელ ეკლესიაში იყო დასვენებული ილია ჭავჭავაძის ცხედარი?
ა) ქაშუეთის;
ბ) სიონის;
გ) მამადავითის.

5. ძაღლის რომელი ჯიშის ლეკვებს აქვთ კანზე ყველაზე ღრმა ნაოჭები?
ა) ინგლისურ ბულდოგს;
ბ) შარ პეის;
გ) მასტიფს.

6. „ეს რა მსახიობი ვიღუპები!“ – რომელ ცნობილ რომაელ იმპერატორს აღმოხდა სიკვდილის წინ ეს სიტყვები?
ა) ნერონს;
ბ) ტრაიანესს;
გ) ოქტავიანესს.

7. როდიდან იწყებენ კვიცები დედის გვერდით სირბილს?
ა) დაბადებიდან რამდენიმე საათში;
ბ) დაბადებიდან რამდენიმე დღეში;
გ) დაბადებიდან ერთ კვირაში.

8. ვინ არის ამ ლექსის (ფრაგმენტის) ავტორი?
„და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე,
შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი“.
ა) ოთარ ჭილაძე;
ბ) შოთა ნიშნიანიძე;
გ) გივი გეგეჭკორი.

„მადონა წიგნით“

9. რენესანსის ეპოქის რომელი გამოჩენილი მხატვრის ტილოა „მადონა წიგნით“?
ა) რაფაელის;
ბ) მიქელანჯელოსი;
გ) სანდრო ბოტიჩელის.

„სალამურას“ პასუხები იხილეთ: გვ. 45.

„პალიანიდან" აგორებული ბურთით

ნანა ჟანტურია

თბილისში, ფალიაშვილის ქუჩის ერთ-ერთი ფასადის მემორიალურ დაფაზე ვკითხულობთ, რომ აქ ცხოვრობდა ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე, „ფეხბურთის ჯენტლმენი", როგორც მას უწოდა მუსიკის კრიტიკოსმა - გულბაათ ტორაძემ.

თავისი სიყრმის მეგობარი ბასა ღოღობერიძე მამაჩემმა, პეტრე ჭანტურიამ* მაშინ გაიხსენა (თუმცა, ადრეც საკმაოდ ბევრი უამბნია მასზე), როცა უკვე წარსულზე მეტად შორს იყო ჩვენი ულამაზესი ზღვისპირა ქალაქი და როცა ჩვენი „დევნილის ბინა" საოცარი სოხუმური ეპიზოდებით გაივსო; ერთად ავედევნეთ უკან დღეებს, ერთად გავყევით ჩემი და მამას ნაცნობ ქუჩებსაც, ერთხელაც მოიგონა შლაპიანი თაობის დიდი საძმო, სადაც იდგნენ ისე ერთად, რომ სხვები ამაყობდნენ მათი მეგობრობით; ვუსმენდი მამას და ვფიქრობდი: წლები მაშინ ლამაზდება, როცა, ხანდაზმულობის მიუხედავად, საკუთარ ასაკზე გამარჯვებული ასე ინტელიგენტურად მოიხდენ სიცოცხლისადმი სიყვარულს. რამდენჯერ მითქვამს უჩუმრად და სიამაყეც მიგრძვნია ამის გამო: ეს უნდა შეძლო, რომ ასე ფაქიზად გამოარიდო ლამაზი მოგონებები დაუსრულებლად „არათეთრ ღამეებს" (მამა ბოლო წლებში საერთოდ ვერ ხედავდა), ასე შთამბეჭდავად მოყვე გამორჩეული ამბავი გამორჩეულ სოხუმელზე.

მამა იმ დღეს ყველაფერს „ხედავდა"... სოხუმსაც... მის მეგობარსაც.

დიდი ბასა ღოღობერიძის გარდაცვალებიდან უკვე 40 წელია გასული, მამას კი ვესაუბრე მის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე.

„ქართული ფეხბურთის მშვენება", „ყველა დროის უდიდესი ავტორიტეტი", „კომბინაციების დიდოსტატი", „მოედანზე უკომპრომისო", „დრიმბლინგის ხელოვანი", „ქართული ფეხბურთის ნამუსი", „უაღრესად მოკრძალებული"... ასე ახასიათებენ სახელგანთქმულ ბასა ღოღობერიძეს, 10 წლის მანძილზე თბილისის „დინამოს" მეათე ნომერსა და მის უცვლელ კაპიტანს, რომელსაც თამაშის 19 სეზონის მანძილზე მსაჯებისგან სიტყვიერი გაფრთხილებაც კი არასოდეს მიუღია, ვისი ქანდაკებაც „დინამოს" სტადიონზე ლეგენდარული ბორის პაიჭაძის გვერდითაა.**

ზღვისპირა ქალაქი მოგეხსენებათ, „ჭრელია", ასეთივე ხასიათებით, ერთმანეთისგან განსხვავებული ტემპერამენტის, კილოკავის ადამიანებით. მათი მეგობრობაც აქ იწყება. ეს იყო გასული საუკუნის 20-30-იანი წლების სოხუმში. ერთად მოდიოდნენ ბავშვობიდან, იქიდან, სადაც არასოდეს არაფრის შეცვლის სურვილი არა გაქვს.

– ბასას სახლი ჩვენი ჭიშკრის მოპირდაპირედ, ქუჩის გადაღმა იყო. ერთმანეთისგან გვყოფდა დიდი მინდორი, ანუ „პალიანა", როგორც მას ყველა ეძახდა.

„პალიანის" პირდაპირ – ჩვენი სახლის ჭიშკარი. ყოფილი საბჭოს ქ. №73.

ბიჭების ამ „ავტონომიურ სტადიონს" ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა: ყოფილი საბჭოს ქუჩა იყო ყველაზე განიერი ქუჩა (ისე, ახლაც ასეა) და დიდ-პატარას ამიტომაც მოუწევდა აქეთკენ გული.

პატარა ქალაქის წესიცაა – შენი „ბირჟა" ყველასია. ის მათი „პალიანაც", ასე რომ ეამაყებოდათ, მართლაც ყველასი იყო.

დროსთან ერთად ვარსკვლავებით განათებული „პალიანა" თაობას თაობით ანაცვლებდა. რომ იტყვიან, პირველი ზიარება აქ მიიღეს მომავალში სახელოვანმა თუ ნაკლებად ცნობილმა ფეხბურთელებმაც: ბასა ღოღობერიძემ და ნიაზ ძიაპშიპამ, ნიკიტა სიმონიანმა და იურა იოლჩიდმა, შოთა ლომინაძემ და შურა ბჟალავამ, ბორია ხასაიამ და მიშა თურქიამ, ვლადიმერ თარბამ და ძმებმა ვარდიმიადებმა.

* – აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი, დიდი სამამულო ომი მონაწილე, აფხაზეთში არაერთი მნიშვნელოვანი სამშენებლო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი. ** – ფეხბურთში: ბურთის ოსტატური ფლობა.

– აქ, ამ „პალიანაზე“ ბავშვობასთან ერთად მივსდევდით ბურთს და წლებიც გარბოდა. აქ ვეუფლებოდით ბიჭები დრიმბლინგის ხელოვნებასაც და „კაი ბიჭობის“ გამოცდებსაც მსოფლიოში ეს საუკეთესო სტადიონი (ასე გვჯეროდა მაშინ) იბარებდა. „პალიანური გაგებით“, „სოხუმელი“ – ამ წოდების მატარებელიც აქ უნდა გამხდარიყავი.

აქვე ინიშნებოდა დღისა თუ ღამის პაემნები, იმართებოდა გოგონების თავმოსაწონებელი მუშტი-კვრივები, უბნის ყოჩებს შორის მთავარ ყოჩსაც აქ ირჩევდნენ.

„პალიანას“ საძმოს უმეტესობას ქალაქი მეტსახელებით იცნობდა: „ხუდოი“, „ბურთა“, „რიჟიკა“, „ქოთქოთა“, „ციცარკა“, „სვოი“, „ტანკი“, „თხელო“, „მერცხალა“, „კრუტოი“, „ცეცხლა“, „ბეზდირკა“...

დაცვაში თუ ბერძენი ეფიმკა იდგა, ბიჭები იმედიანად იყვნენ – ბურთი კარებისკენ ძნელად თუ გაიგნებდა გზას. ეფიმკას მეტსახელი „ბეზდირკა“ ანუ „გაუმტარი“ ამიტომაც დაარქვეს.

ბასასაც ჰქონია „პალიანური კლიჩკა“ – „Пшим полянки“, ბერძენი ბიჭებისგან შერქმეული (ბერძნულად „ფშიმ“ სულსა და გულს ნიშნავს).

მეტსახელ „ბასასაც“ თავისი ისტორია აქვს. თანატოლებთან ერთად ყოფილა, როცა ხილის ფარდულზე მიწერილი „Овощная база“-ს ნაცვლად წაუკითხავს „Овощная баса“. თურმე ბავშვობიდან უჭირდა „ზ“-ს გამოთქმა და თიკუნი „ბასაც“ ასე დაიბადა.

ბასა ღოღობერიძე

ორივე მხრიდან „პალიანას“ ჭაობიანი თხრილები გასდევდა. თამაშის დროს ხშირად ამოჰქონდათ იქიდან ბურთი; მაგრამ, არცთუ იშვიათად, მოუზომავად გატყორცნილი ბურთი მერე დიდხანს გორავდა ეზო-ეზო; უარეს შემთხვევაში კი, იგი ვიღაცის ბოსტანს, ან სათუთად მოვლილ ყვავილნარს „გადაჯიჯგნიდა“. რა თქმა უნდა, ამის გამო იქმნებოდა უსიამო სიტუაციები: აყრიდნენ ბიჭებს ქოქოლას და ვაი-უშველებელს, ფეხბურთის სიყვარულს რატომღაც უზრდელობაში უთვლიდნენ, რასაც მოთამაშეები ვერაფრით იგებდნენ. ქათქათა თეთრეულზე მიხატული ბურთისა და ჩამტვრეული ფანჯრების გამო გაცეცხლებულნი კი, არცთუ იშვიათად, ბურთის კონფისკაციითაც იმუქრებოდნენ.

– მაგრამ, ლამის, გატანილი გოლივით მიგვაჩნდა პატარებს ბასას ეზოში შევარდნილი „გოლი“. არ მახსოვს, ბურთის გამოსატანად შევსულიყავით იქ და ბასას დედა, დეიდა მატრონა გაგვჯავრებოდა. ხან ტკბილი სიტყვებით მოგვეფერებოდა, ხანაც თავზე გადაგვისვამდა ხელს; უკვე ეზოდან გამოსულებს კი ჭიშკართან მოგვაწევდა უწყინარ ხმას – გაიხარეთ, გამრავლდით, შვილებოო...

და საერთოდ: იმ ოჯახიდან გამოსული ხმამაღალი სიტყვა სამეზობლოს, თურმე, არასოდეს გაუგონია. მართალი და უთქმელი კაცის სახელით იცნობდნენ უბანში ძია ნიკოსაც, ბასას მამას.

„პალიანას“ მუდმივი მაყურებლები საბჭოს, გოგოლის, კუიბიშევის, ჯგუბურიას, ცხაკაიას, ჭავჭავაძის, 4 მარტისა და სხვა მიმდებარე ქუჩების უმცროსი ასაკის მოსწავლეები იყვნენ. პატარა ფეხბურთელები უფრო ხალისიანად თამაშობდნენ, თუ დამსწრე აუდიტორიას გოგონებიც ალამაზებდნენ.

კარების მაგივრობას დიდი ზომის, თეთრი, გლუვთავიანი ქვებით შემორაგული მონაკვეთი ასრულებდა (ყველა მოედანს მაშინ ასეთი „კარები“ იცავდა). ის „პალიანაც“ და მთელი სოხუმიც ბიჭების იყო, როცა თამაშს დაასრულებდნენ და მოგებული თუ წაგებული გუნდის წევრები გემოზე მიირთმევდნენ ერთ-ერთი მათგანის ეზოში სიმწრით მოპარულ საზამთროს, ნესვს.

– ის „პალიანა“, მართლაც რომ, იყო ჩვენი და იყო ყველასი, ჩემი სიყრმის მეგობრების: ბასასი, დავით ლაგვილავასი, შურა რუხაძის, ხიფა სიჭინავასი, შურა და ვასო ურიდიების, დავით დარცმელიასი, რუსი „ხუდოის“ (მის ნამდვილ სახელს ვერ ვიგონებ), აფხაზი ჯუგუტა ხასაიასი, ებრაელი გიზო მირელაშვილის, სომეხი მელიკის, ბერძენი ბიჭების – იოტისა და კოკა კიფნიდის, კიდევ სხვების და, რა თქმა უნდა, ჩემიც.

რა იცოდნენ მაშინ ამ აწოწილმა, კაფანდარა ბიჭებმა, რომ დადგებოდა დრო და დიდი ბასას პირველი თანაგუნდელობით მოიწონებდნენ თავს; კიდევ იმითაც, ბასასეული ილეთები და ფინტები (მოგვიანებით ასეთი ტერმინებიც დამკვიდრდება) თუ როგორ იხაზებოდა, იქმნებოდა მათ თვალწინ.

ლეგენდარული ფეხურთელები –
ბასა ღოღობერიძე და ბორის პაიჭაძე

– რაღაც არ მაგონდება, ბასას ჩემთვის რომ ეთქვა, ფეხბურთელი გავხდებიო. მაგრამ მისი ნახვა თუ გინდოდა, იქნებოდა ეს გაკვეთილების დაწყებამდე თუ შემდეგ, მას უსათუოდ იქ, იმ ჩვენს „პალიანაზე“ ნახავდი. საკლასო ჟურნალში ხშირი „არ“-ებიც ჩვენი „პალიანის“ გამო უმრავლდებოდა.

დიდ-პატარას აოცებდა მისი თამაშის არაორდინალური ტექნიკა, ლამაზი ტეხილები, ზუსტი პასები. ბასა თუ ბურთს დაეპატრონებოდა, თავიც რომ მოგეკლა, მას არავის არაფრით დაუთმობდა.

„უხ, შე კოჭებში აფერისტო!“ ხშირად მიაძახებდნენ ბასას, როცა საკუთარი უმწეობით გამწარებულნი ვერაფერს უხერხებდნენ მის ფეხებში მოქცეულ ბურთს.

– მერეც სულ მიკვირდა: კაცს, რომელსაც გაბრაზება არ შეეძლო, რომელსაც ტყუილს ვერაფრით ათქმევინებდი, ასეთი მაქინაციების თავი „ფეხებში როგორ ჰქონდა!“ ახლაც თვალწინ მიდგას მართლაც სანახაობრივი კადრი: თითქოს მიწა უარზეა, მიიღოს ბურთი და ამიტომაც კენწლავს ეს ყმაწვილი ასე დაუსრულებლად ბურთს ჰაერში, კენწლავს ფეხებით, მკერდით, თავით, მხრებით, იდაყვით.

1937 წლის შემოდგომის თბილი დღე იდგა.

სოხუმის „პიშჩევიკი“ საკუთარ მოედანზე ამხანაგურ მატჩს მართავდა. მასპინძლობდა ძლიერ გუნდს – მოსკოვის „სპარტაკს“. რა თქმა უნდა, სოხუმელებმა წააგეს – 2:1.

– სხვებთან ერთად, იმ დღეს მეც მერგო პატივი, მეთამაშა უმაღლესი კლასის ოსტატ ფეხბურთელებთან ერთად, დამეცვა ქალაქის ნაკრების ღირსება. ვიყავი თავდამსხმელი – №7.

მატჩის დასრულების შემდეგ სტადიონზე უკვე, როგორც წესი, უმცროსი ასაკის ფეხბურთელები გამოვიდნენ სათამაშოდ. მათ შორის იყო 14 წლის ბასაც.

ლავრენტი რატიანი – სოხუმის გუნდის კაპიტანი სხვებთან ერთად საჯარიმო ხაზს იქით – „ლენტოჩკაზე“ იდგა. პატარების თამაშს ყურადღებით აკვირდებოდა „სპარტაკის“ უფროსი მწრთვნელი, ცნობილი ფეხბურთელი – ანდრეი სტაროსტინიც. 15 წუთიც არ იყო გასული, რომ მან საჩვენებელი თითი გაიშვირა ბასასკენ:

– Кто этот мальчик, в белой рубашке и в белых трусах. Он очень интересно и забавно играет. Если он в таком же духе продолжит, если не испортится, я думаю, с него выидет классный игрок!*

ისინი ერთმანეთს გასახდელში შეხვდნენ.

– ერთი სული მქონდა, ყველაფერი ამომეთქვა:

– იცი, ბასა, შენზე რა თქვა სტაროსტინმა?

– რა თქვა? რა თქვა? რა თქვა? – მალ-მალე და ცნობისმოყვარედ გაიმეორა ერთი და იგივე ფრაზა; და, როცა ყველაფერი ვუამბე, სიხარულისგან გადამეხვია. ბავშვური აღტაცება თვისებად გაჰყვა ბასას სიცოცხლის ბოლომდე.

სოხუმი. XX ს.-ის შუა წლების საფოსტო ბარათი

40-იან წლებში მათი გზები გაიყო. ერთ-ერთმა მოსკოვში გააგრძელა სწავლა, ბასა კი სოხუმიდან თბილისის „დინამოში“ გადაიყვანეს.

– თუ არ ვცდები, 1945 წელი იდგა. ინსტიტუტიდან დაბრუნებულს, საერთო საცხოვრებლის მორიგემ მითხრა:

– Один грузин, твой друг тебя ищет. Уже несколько раз позвонил.**

იმავე დღეს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე შეხვდნენ ერთმანეთს (ბასა იქ ვარჯიშობდა). ვინ არ მოიკითხეს, გაიხსენეს, გადაწვდნენ შეუდარებელ „პალიანასაც“, რომელიც თურმე მონატრებოდათ. უცებ ბასა მიუტრიალდა მეგობარს და პიჯაკის უბიდან ფოტოსურათი ამოიღო. პროჟექტორების შუქმა საოცრად ლამაზი ქალიშვილის სახე გაანათა.

– პეტრე, მალე ცოლი მომყავს.

– სოხუმელია?

– არა, თბილისელი, მიმი გეგეჭკორი.

– გამეღიმა. მეც ხომ სკოლაში იგივე გვარის გოგონაზე ვიყავი შეყვარებული.

სოხუმიდან გამოტანილ, თითო-ოროლა გადარჩენილ ფოტოსურათს შორის აღმოჩნდა ერთი ლამაზი ფოტოსურათიც, რომელსაც პუბლიკაციისთან ერთად ვბეჭდავთ.

ბორის პაიჭაძის შეფასებით, „როცა იცოდი, როგორი თავშეკავებული და თავაზიანი იყო ყოველდღიურობაში, ადვილადაც გაიგებდი, საიდანაც მოდიოდა საფეხბურთო მოედანზე მისი საქციელის ასეთი კულტურა, კორექტულობა.“

გავა ძალიან დიდი დრო და თბილისის „დინამოს“ განახლებული სტადიონის გახსნისას თანაგუნდელები და ბასას ნიჭის თაყვანისმცემლები, ავტოკატასტროფის შედეგად დიდი ხნის მანძილზე ლოგინად მიჯაჭვულ ლეგენდარულ ფეხბურთელს მწვანე მინდორზე ხელებში ატაცებულს შემოიყვანენ. 75.000-იანი აუდიტორია ტაშითა და გუგუნით შეეგებება თავის საყვარელ ფეხბურთელს.

ეს იყო 1976 წელს.

მიმი გეგეჭკორი (ბასას მეუღლე), პეტრე ჭანტურია, ბასა ღოღობერიძე. სოხუმი. 1960 წ.

* – (რუს.) ვინ არის ეს თეთრმაისურიანი და თეთრტრუსებიანი ბიჭუნა. ის ძალიან საინტერესოდ და ხალისიანად თამაშობს. ასე თუ გააგრძელა, თუ არ წახდა, ვფიქრობ, მისგან მაღალი კლასის ფეხბურთელი დადგება.

** – (რუს.) ერთი ქართველი, შენი მეგობარი გეძებს. უკვე რამდენჯერმე დარეკა.

რუბრიკა „დაფიონი" განსაკუთრებულ გამართლებას მაშინ იძენს, როცა ის „გაპოვნინებს" თეკლა ჭუმბურიძეს, მის მსგავს ნორჩ ავტორებს.

თეკლა მხოლოდ 13 წლისაა. მაგრამ ისე წერს და აზროვნებს, შენც გაიძულებს, მიყვე მას, ჩაუღრმავდე სტრიქონებს შორის ნაგულისხმევს, მოგხიბლოს დრომ და სივრცემ, სადაც ასეთი თამამი და ლაღია ავტორი.

და გაოცებს: მისი ოთახის ფანჯრიდან დანახული სამყარო, მძაფრი და დარდიანი; თავისუფლება, რომელიც ასე აღელვებს გოგონას და რომელსაც „ყველანი სადღაც ვმალავთ"; მისი ჟინიანი სურვილი, მოინატროს ზღვა და თავი დააღწიოს ჯაქტუსის ეულებივით ჩხვლეტია განცდებს; ისე აიჭრას ცაში, რომ მერცხლებსაც შეშურდეთ მისი.

გაიცანით გონიერი, ფიქრიანი თეკლა ჭუმბურიძე.

თეკლა ჭუმბურიძე

ჩემი ოთახის ფანჯრიდან

ამბები, რომლებსაც ფანჯარა მიყვება, არასდროსაა თავის თავზე. თვითონაც არაფერია, რომ არა ის ამბები, რომელიც თითქოს მასში ხდება, მაგრამ მის გარეშე. რაც არ უნდა არეული იყოს ჩემი ოთახი, საათმაც რომ შეწყვიტოს ნიკნიკი, კედლებიც რომ ნელ–ნელა დავინროვდნენ და ჟანგბადიც რომ ნახშირორჟანგმა შთანთქოს, ჩემს ოთახში ფანჯარაა, რომელიც მომიყვება ქალზე, რომლის ქუსლების კაკუნიც ქუჩის რითმს სასიამოვნოდ ერწყმის, ნიავზე, რომელიც თმებს საოცკვაოდ ინვევს, მანქანებზე, რომლებსაც სულ სადღაც ეჩქარებათ. მომიყვება იმ ოთახებზე, სადაც ხალხს ჩემსავით ღვიძავს და არ ასვენებთ ის ამბები, რომლებიც თითქოს მათში ხდება, მაგრამ მათ გარეშე.

რაც არ უნდა იყოს, ჩემი ოთახი არ დარდობს, რადგან ფანჯარა ეგოისტი არ არის და ის დილის მზის სხივებს მასში გავლის საშუალებას მისცემს, ჩემი ოთახი რომ გათბოს.

მე, თებეა და მერცხლები

მე და თებეას ფანჯრის გვერდზე გვედგა სანოლი. თებეას გაყინული ხელები და მშიერი თვალები მუდმივად გაჟღენთილი იყო სიცივის სურნელით. ყოველ დღე ფანჯრის რაფაზე შემომსხდარნი, ჩვენივე ლაპარაკში ყველაფრის თხრითა და შემდეგ იმ თხრილებში ხეების ჩარგვით გადაღლილები, ჩაის ჩაიზე ვსვამდით. ამ იდილიას მე მხოლოდ ერთი რამ მირღვევდა, ის, რაც თებეასთვის ყველაფერს უფრო სასიამოვნოს ხდიდა – მერცხლები. მათ გადაფრენას ვერ ვუყურებდი, ვერ ვუძლებდი მათ თავისუფლებასა და სიმსუბუქეს. თებეა გაბრნყინებული თვალებით მისჩერებოდა ხოლმე მათ. მე კი ყოველთვის ვპოულობდი მიზეზს, რომ ფანჯარას მოვშორებოდი.

ერთ ღამეს თებეას ტირილმა გამომაღვიძა. რა მოხდა–მეთქი, ვკითხე. ხმა არ ამოუღია. ძილი არც ერთს მოგვკარებია. გათენებისას ნაიჩურჩულა, არ მინდა, ოდესმე მეც შურით ვუყურებდე მერცხლებსო.

მეორე დღეს გაფაციცებით ველოდებოდი მათ გადაფრენას. არსად ნავსულვარ. მეტიც, იმ დღეს მე და თებეა მივფინავდით და მერცხლები ვერ გვენეოდნენ.

მგონი, შურდათ კიდეც.

ყველანი სადღაც ვმალავთ ჩვენს თავისუფლებას

ჩემი სიზმარი უფერული და ჩუმია. სრული უმოძრაობა. აქ არ ვფიქრობ, აქ ფიქრი არყ არსებობს. მგონი, მშვიდად ვარ, მაგრამ თან – არა. მშვიდად როგორ ვიქნები, როცა არ ვფიქრობ. ასეთი სიმშვიდის მე არ მჯერა. უცნაურია, თუმცა, ვერყ უცნაური იქნება. მე ხომ არ ვფიქრობ. ფიქრის გარეშე არაფერი არსებობს. მხოლოდ – ყინული.

მატარებლის ხმაური მაღვიძებს. აქ როგორ აღმოვჩნდი, არ მახსოვს; ალბათ, რაღაცას გამოვექეცი, მაგრამ გამოქცევა რაღა გამოქცევაა, თუ არ დაივინყე, რას გამოექეცი.

აქ მარტო მე ვზივარ, ალბათ, იმიტომ, რომ ზამთარია და ეს მატარებელი ზღვაზე მიდის. ყველანი სადღაც ვმალავთ ჩვენს თავისუფლებას.

ხეები ერთმანეთს ენაცვლება. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენ ერთ ადგილზე ვართ და ისინი იხევენ უკან. ფანჯარას ფარდით ვფარავ. ასეთი ცის ყურება არ შემიძლია, ცარიელისა და ფიქრებისგან დაცლილის. არადა, არასდროს მიყვარდა ფარდები.

მამაჩემი ყოველთვის ფარავდა ფარდით ფანჯარას. ამ ჩვევას ვერაფერი მოუხერხა. მეც შევდიოდი ჩაბნელებულ ოთახში და იქამდე ვერ ამოვისუნთქავდი, სანამ ფარდას არ გადავნევდი. ხო, ყველანი სადღაც ვმალავთ ჩვენს თავისუფლებას.

ჩემ გვერდით სკამზე დევს პატარა კაქტუსი, რომელიც სულ თან დამაქვს. არ ვიცი, რატომ ამოვიჩემე. ნეტავ, როგორი იყო, სანამ ეკლები დასჯირდებოდა. მგონი, რაღაც სივრცეს მაინც ტოვებს, რომ შეეხო. თან – არა. ალბათ, კაქტუსი ძალიან თავისუფალია, რადგან ასე ეკლებით იცავს მას. მაგრამ ეგ რაღა თავისუფლებაა? არ ვიცი.

ალბათ, ყველას ჩვენ ჩვენი ფარდა და ეკლები გვაქვს; ცუდია.



მატარებლის ხმაურს იქამდე ვერ გაიგებ, სანამ არ გაჩერდება. სიჩუმეა. ზღვის სუნი უკვე იგრძნობა, თან ჩემი გადამალული თავისუფლების სურნელიც მოაქვს. თვალებს ვხუჭავ და ჩემს კაქტუსთან ერთად მივრბივარ სანაპიროზე. აქ ყველაფერი საინტერესოა, იმიტომ, რომ აქ ფიქრია. ზღვა თითქოს მშვიდია. აი, ხომ შეუძლია, გადმოსცდეს ნაპირს, გადაფაროს ყველაფერი და მთელი დედამინა მოიცვას, მაგრამ არა. ეს ნიშნავს, რომ თავისუფალი არ არის? არა, არ ვიცი.

ნეტავ, როგორი იყო იქამდე, სანამ სიძლიერე დასჯირდებოდა? ისეთივე, როგორც მორაკრაკე ნაკარი? კიდევ კარგი, რომ ძლიერია.

თვალებს ვხუჭავ და ქვას ჩემს ფიქრებს ვატან. ძალიან შორს ვისვრი. ბავშვივით მიხარია. ჩემი ნანილი ძალიან დიდი ხნით დარჩებოდა ზღვაში, შეიძლება, სამუდამოდაც კი. ფიქრებსაც ხომ ყველანი სადღაც ვმალავთ.

მთელი დღე იქ გავატარე, ნაპირზე. იმდენ ხანს ვინექი, რომ, ლამის, მეც ქვიშად ვიქეცი. მთვარე რომ მომესალმა, მივხვდი, ნასვლის დრო იყო. მთელი გზა მთვარე თან მომყვებოდა, სახლამდეც მიმაცილა.

ოთახში რომ შევედი, ფარდა გადანეული არ იყო. ალბათ, ყველას ჩვენივე მოჭრილი ხელი გვაქვს სადღაც გადანახული, ნაქცევის შემთხვევაში რომ ჩავეჭიდოთ.

– აბა, რა! – მთვარემ და თვალი ჩამიკრა.

ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲛᲔᲜᲓᲔᲚᲡᲝᲜᲘ
(1809-1847 წ.წ.)

ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, მუსიკაში რომანტიზმის წარმომადგენელი, სახელოვანი დირიჟორი, პიანისტი, ორღანისტი, პედაგოგი - ფელიქს მენდელსონი მაშინ 17 წლის იყო.

1826 წელს დაიწერა მისი განთქმული „საქორწილო მარში". დღეს, როცა გასულია საკმაო დრო, მექორწილე წყვილთა ბეჭდების გაცვლა წარმოუდგენელია ამ შთამაგონებელი ჰანგების გარეშე.

გერმანიაში პირველი კონსერვატორიის დაარსებაც ამ კომპოზიტორის სახელთანაა დაკავშირებული.

მელდენსონი არის 40-მდე ნაწარმოების - ოპერების, ზინგშპილების*, ორატორიების, კანტატების, სიმფონიების, უვერტიურების ავტორი.

განათლებული ბანკირის ოჯახში

12 წლის მენდელსონი. 1821 წ. ნახატი

ებრაული წარმოშობის გერმანელი კომპოზიტორი, მუსიკაში რომანტიკული მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – იაკობ ლიუდვიგ ფელიქს მენდელსონ-ბართოლდი (ფელიქს მენდელსონი) **დაიბადა 1809 წლის 3 თებერვალს ქ. ჰამბურგში.**

მამა – აბრაამ მენდელსონი იყო მდიდარი, ამასთან, განათლებული ბანკირი, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქომაგი, კულტურული ტრადიციების მიმდევარი.

მენდელსონების უძველეს გვარს ეამაყებოდა ბაბუა, იმ დროს ცნობილი ფილოსოფოს-განმანათლებელი, მოზეს მენდელსონი.

ხუთშვილიან ოჯახში პატარა ფელიქსმა, და-ძმასთან ერთად, მიიღო ხარისხიანი ზოგადი განათლება. ბიჭუნასა და ფანის (დას) დედამ დაუქირავა სახელოვანი პედაგოგები. **ფორტეპიანოს მასწავლებლად მოიწვიეს პროფესიონალი პიანისტი და კომპოზიტორი – ლიუდვიგ ბერგერი; თეორიული საგნების პედაგოგად კი – ბერლინის საგუნდო აკადემიის დირექტორი, დიდი გოეთეს მეგობარი – კარლ ცელტერი.** ფელიქსი დაეუფლა დაკვრას ვიოლინოზეც, ალტაზეც.

გარეგნულადაც მომხიბლავი ბიჭუნა იმთავითვე გამოირჩეოდა მუსიკალური მეხსიერებით, ფლობდა სუფთა ალტს**. როიალზე უკრავდა 6 წლიდან (ასწავლა დედამ), 9 წლისა მართავდა კონცერტებს (პატარა ფელიქსს ფორტეპიანოსთან მაღალ ბალიშზე სვამდნენ); **10 წლის ასაკიდან კი ბიჭუნა ინტენსიურად ქმნიდა უკვე საკუთარ ნაწარმოებებსაც.** ვიოლინოს პედაგოგს ედუარდ რიცას 13 წლის მოსწავლემ უძღვნა საყმაწვილო რე-მინორის კონცერტი.

მდიდარი და განათლებული ბანკირის ოჯახში ფელიქსს არ განუცდია მატერიალური გაჭირვება (შვილს მამა ფინანსურად ბოლომდე უზრუნველყოფდა). ამასთან, აქ ყოველ კვირას იმართებოდა მუსიკალური საღამოები, სადაც იკრიბებოდნენ გერმანული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

ბავშვობიდან დიდ გზაზე

მენდელსონებთან ერთ-ერთი მორიგი ვიზიტის დროს კარლ ცელტერმა ოჯახში მიიყვანა გოეთე, რომელიც იმ დროს 73 წლის იყო. გენიალური „ფაუსტის" ავტორმა მაშინ პირველად მოუსმინა 12 წლის ნორჩ პიანისტს. საინტერესოა, რომ მათ შორის დაწყებული მეგობრობა სახელგანთქმული მოაზროვნის სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ფელიქსი მუდამ სტუმრობდა ვაიმარში გოეთეს, საათობით იჯდა როიალთან და უკრავდა მისთვის.

* – კომიკური ოპერა ჩართულ დიალოგებთან ერთად.
** – ბავშვის ან ქალის დაბალი ხმა.

„მენდელსონი სტუმრად გოეთესთან“. 1864 წლის ნახატი

„როცა უგუნებოდ ვარ, მუდამ სურვილი მაქვს, იყო ჩემს გვერდით და მატკბობდე შენი ჰანგებით“, – ეტყოდა ხოლმე გოეთე ფელიქსს.

გოეთეს გარდა მენდელსონი ბავშვობიდანვე დაუახლოვდა ჰაინეს, ვებერს, ჰეგელს, გოფმანს, ძმებს გუმბოლტებს... (ოჯახის ხშირ სტუმრებს).

მენდელსონების ოჯახში კონცერტებს მართავდნენ სამეფო კარის ორკესტრანტებიც. სადირიჟორო პულტთან იდგა 14 წლის ფელიქსი.

16 წლის ასაკში მენდელსონს სიმებიანი ორკესტრისთვის დაწერილი ჰქონდა უკვე 14 სიმფონია, რამდენიმე უვერტიურა*. შუმანის სიტყვებით „ამ ყმაწვილმა თავის პირველივე აღმაფრენას უმშვენიერეს წამებში მიაღწია“.

1825 წელს მენდელსონი მამამ პირველად ჩაიყვანა პარიზში, მუსიკის ევროპულ დედაქალაქში. მაშინ აქ მოღვაწეობდნენ იმ დროის უდიდესი კომპოზიტორები – ჯოაკინო როსინი და ჯაკომო მეიერბერი. 16 წლის მენდელსონის საშემსრულებლო ხელოვნებით მოიხიბლა პარიზის კონსერვატორიის რექტორი – ლუიჯი ქერუბინი.

პარიზიდან დაბრუნებული მამა-შვილი ბერლინში ესტუმრა გოეთეს და მის როიალთან მენდელსონმა პირველად შეასრულა მწერლისადმი მიძღვნილი ნაწარმოები.

„მან ჩვენ გვაჩუქა ბახი“

მენდელსონის კუმირად, როგორც სხვა გერმანელი რომანტიკოსებისთვის, ითვლებოდა ბეთჰოვენი.

თქვენ წარმოიდგინეთ, დღეს მსოფლიოში ასე აღიარებული ბახი მენდელსონის ეპოქაში თითქმის აღარავის ახსოვდა.

ფელიქსი 14 წლის იყო, როცა ბებიამ აჩუქა ბახის მანუსკრიპტის** კოპიო. ეს იყო დღეს შედევრად აღიარებული „წმინდა მათეს ვნება“.

თვით ცელტერიც, მენდელსონის პედაგოგი და ცნობილი მუსიკოსი, ბახს მიიჩნევდა „გაუგებარ მუსიკოს-მათემატიკოსად“, მის ნაწარმოებებს კი „მუსიკის შეუცნობელ საიდუმლოდ“. შეეწინააღმდეგა კიდეც მოსწავლეს, როცა მან გადაწყვიტა, 100 წლის წინათ შექმნილი „წმინდა მათეს ვნება“ ფართო აუდიტორიის წინაშე შეესრულებინა. ბერლინელები ბახს ვერასოდეს აღიქვამენ და ვერც მიიღებენ; ამდენად, ზედმეტია ლაპარაკი წარმატებაზე, ამტკიცებდა ცელტერი.



კომპოზიტორის ერთ-ერთი სანოტო ფურცელი

და მაინც: 1829 წლის 11 მარტს გაჟღერდა ეს გენიალური ქმნილება. სადირიჟორო პულტთან იდგა 20 წლის მენდელსონი. მეორე დღეს, რა თქმა უნდა, ყველა ბილეთი გაიყიდა. უკვე სახელოვანი იტალიელი პაგანინის გასტროლებმაც ვერ გააუფერულა იმ დღეების ვნებათაღელვა.

– ყველა მუსიკოსი მენდელსონის მადლიერია; მან ჩვენ გვაჩუქა ბახი. ააჟღერა კიდეც გენიოსის მუსიკა და დაიწყო მისი ნაწარმოებების გამოცემაც, – მიიჩნევს მუსიკოსი ოლღა საიაპინა.

* – ოპერის, ბალეტისა და სხვა მუსიკალური ნაწარმოების საორკესტრო შესავალი.
** – ხელნაწერი; უმეტესად, ძველი.

ევროპული გასტროლები

ფელიქს მენდელსონი

ბახის აჟღერება მუსიკის მსოფლიო სამყაროს განსაკუთრებულ მოვლენად იქცა, მენდელსონის პოპულარობა კი ბევრად გაიზარდა.

ამ დროიდან დაიწყო კომპოზიტორის ევროპული გასტროლები, რაც მუსიკოსისთვის საუნივერსიტეტო გამოცდილებად იქცა. დაიპყრო სხვადასხვა ქვეყნის უდიდესი აუდიტორიები. პირველი საგასტროლო ქალაქი იყო ლონდონი, რომლითაც მოიხიბლა ახალგაზრდა კომპოზიტორი:

„ლონდონი – ეს თავზარდამცემია! ეს სიგიჟეა! ლონდონი – ამქვეყნად ყველაზე გრანდიოზული, ყველაზე არნახული ქმნილებაა!“ – წერდა აღფრთოვანებული მენდელსონი 1830 წელს.

ბუნების საოცრებად მიჩნეულმა ჰებრიდის კუნძულებმა ახალგაზრდა რომანტიკოსს შეაქმნევინა უვერტიურა „ფინგალის გამოქვაბული“, რომლის შესახებ **35 წლის შემდეგ იტყვის ბრამსი: „მე დავთმობდი ყველა ჩემს ნაწარმოებს ერთი „ფინგალის გამოქვაბულის“ სანაცვლოდ“.**

ძალზე წარმატებული ლონდონური გასტროლების შემდეგ მენდელსონმა დაგეგმა ახალი მუსიკალური ტურნე. იმოგზაურა იტალიაში, საფრანგეთში, შოტლანდიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ისევ ინგლისში, გერმანიის ქალაქებში. **ლაიფციგში ერთ-ერთი კონცერტის დროს მისი პარტნიორი იყო ფერენც ლისტი** (ისიც გასტროლებით იყო ამ ქალაქში). **მოგზაურობის დროს მენდელსონმა გაიცნო შოპენი, ბერლიოზი, შუმანი (რომელსაც შემდგომ დაუმეგობრდა).**

ამ პერიოდში შექმნა მან თავისი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: „შოტლანდიური სიმფონია“, „სავიოლინო კონცერტი“, „ზღვის სიმშვიდე“, „პირველი ვალპურგიული ღამე“, ორატორია „ილია“, „იტალიური სიმფონია“, „48 უსიტყვო სიმღერა“*... ამ უკანასკნელი ქმნილებით მენდელსონმა საფუძველი ჩაუყარა ახალ ჟანრს საფორტეპიანო-რომანტიკულ მუსიკაში – ლირიკულ მინიატურებს.

სიახლე: სადირიჟორო პულტთან ჯოხით ხელში

ლაიფციგის კონსერვატორია, დაარსებული მენდელსონის მიერ

XIX ს.-ის 30-40-იანი წლები მენდელსონის მოღვაწეობის გამორჩეული ხანაა. ფართოდ გაიშალა არა მარტო როგორც კომპოზიტორის, არამედ, როგორც პედაგოგის საგანმანათლებლო საქმიანობაც.

1832 წელს გარდაიცვალა კარლ ცელტერი, ფელიქსის პირველი პედაგოგი და ბერლინის საგუნდო აკადემიის დირექტორი. მამის დაჟინებული მოთხოვნით, ამ თანამდებობაზე მენდელსონმა წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა; მაგრამ აკადემიის ანტისემიტური განწყობის ზოგიერთმა წევრმა „ებრაელი ბიჭუნა“ შეუფერებლად მიიჩნია ამ პოსტზე.

1835 წელს კიოლნის მუსიკალურ ფესტივალზე წარმატებული გამოსვლების შემდეგ მენდელსონს შესთავაზეს ლაიფციგის გევანდჰაუზის ორკესტრის ხელმძღვანელობა (ამ დროს ის ლაიფციგის ფილარმონიის დირექტორია).

* – როგორც მუსიკოსის ბიოგრაფები აღნიშნავენ, ეს შედევრი მენდელსონმა შექმნა თავის დასთან, ფანისთან ერთად (ისიც იყო კომპოზიტორი).

გევანდჰაუზის ორკესტრი მენდელსონის ლოტბარობის დროს ევროპის საუკეთესო კოლექტივად ჩამოყალიბდა; და, რაც ყველაზე საინტერესოა, ეს სახელი მან დღემდე შეინარჩუნა.

მენდელსონის კონცერტებზე გაჟღერდა არაერთი ისეთი ნაწარმოები, რომელიც მანამდე იშვიათად სრულდებოდა. **ლაიფციგის პუბლიკა შეძრა ორკესტრის მიერ შესრულებულმა ბეთჰოვენის შეუდარებელმა „მეცხრე სიმფონიამ“. არადა, მანამდე ეს ნაწარმოები ითვლებოდა „დაყრუებული კომპოზიტორის უგუნურ ფანტაზიად“. მენდელსონის დირიჟორობით პირველად შესრულდა შუბერტისა და შუმანის სიმფონიებიც.**

საინტერესო დეტალი: **იმ პერიოდში კომპოზიტორის გადაწყვეტილება – ორკესტრისთვის ედირიჟორა ჯოხით, მის კიდევ ერთ ახირებად ჩათვალეს.** არადა, აქამდე, როგორც წესი, ლოტბარი ორკესტრანტების წინაშე იდგა ან ვიოლინოთი ხელში, ან იჯდა როიალთან და მუსიკოსებსაც იქიდან ხელმძღვანელობდა. **თვით მენდელსონის მეგობრისთვის – შუმანისთვის მიუღებელი იყო ეს სიახლე; „ჯოხი კაპელმაისტერს* ხელს უშლის. ორკესტრი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, ვის წინაშეც არავინ არ უნდა იდგეს“,** – ამბობდა ის.

1843 წელს გერმანიაში პირველი უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის, კერძოდ, ლაიფციგში კონსერვატორიის გახსნა უშუალოდ უკავშირდება მენდელსონს. კონსერვატორიის კედელს დღემდე ამშვენებს მისი დამაარსებლის პორტრეტი.

„საქორწილო მარში“ დაიწერა... შექსპირისთვის

1843 წლის 14 ოქტომბერს ქ. პოსტდამში შექსპირის პიესის მიხედვით (სახელწოდებით – „ზაფხულის ღამის სიზმარი“) შედგა სპექტაკლის პრემიერა. ერთის შეხედვით, ამ დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. შექსპირი სხვა დროსაც წარმოუდგენიათ.

აღსანიშნავი სხვა რამეა: **მუსიკა სპექტაკლისთვის დაწერა 34 წლის კომპოზიტორმა, ფელიქს მენდელსონმა და სწორედ იმ საღამოს გაჟღერდა პირველად „საქორწილო მარში“, და იმ მუზიცირებით, რასაც ისმენს დღეს თითოეული ახლადდაქორწინებული წყვილი.**

საინტერესო დეტალი: მენდელსონი მუსიკას შექსპირის ამ პიესისთვის წერდა უკვე მეორედ. პირველად მან ის გააჟღერა 17 წლის ასაკში. თუმცა მაშინ შექმნილი მელოდია „საქორწილოდ“ არ მოიაზრებოდა. მხოლოდ მოგვიანებით, როცა კომპოზიტორს შეუკვეთეს მუსიკა სპექტაკლისთვის, უკვე დაწერილი ჰანგები მან მეტ-ნაკლებად გადააკეთა და „მოარგო“ საქორწილო რიტუალს, რომელიც სიუჟეტურად პიესაში მართლაც ხდება.

ეს იყო ის ცნობილი „საქორწილო მარში“, რომელსაც ისმენენ ახლადდაქორწინებულნი (მაშინ კომპოზიტორი ამას ვერც წარმოიდგენდა).

საინტერესოა, პირველად როდის და ვის ქორწილში გაჟღერდა ეს მელოდია?

ლონდონის წმინდა პეტრეს ეკლესიის არქივში დღემდე ინახება ეს ცნობა: რომ მენდელსონის „საქორწილო მარშის“ თანხლებით 1847 წლის 2 ივნისს ჯვარი დაიწერეს ვინმე დოროტი კარიუმ და თომას დენიელმა.

მაგრამ „მარშმა“ ნამდვილი აღიარება მოიპოვა მას შემდეგ, რაც 1858 წლის 25 იანვარს ის გაჟღერდა პრინცესა ვიქტორიასა და პრუსიის კრონპრინცის ფრიდრიხის ჯვრისწერისას.**

*** – დირიჟორი, ლოტბარი. ** – ტახტის მემკვიდრე.**

სესილი ჟან-რენო.
მენდელსონის მეუღლე

მაგრამ ტახტის მემკვიდრის ფრიდრიხის კუმირი იყო მეორე გერმანელი კომპოზიტორი – რიჰარდ ვაგნერი. საბოლოოდ წყვილი შეთანხმდა: როდესაც პრინცესა და ტახტის მემკვიდრე შევიდოდნენ ტაძარში, გაჟღერდებოდა ვაგნერის „საქორწილო ქორო“ (ოპერიდან „ლოენგრინი“), ხოლო უკვე ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი ეკლესიას დატოვებდა მენდელსონის „მარშით“.

სწორედ ამ დღის შემდეგ ევროპაში დამკვიდრდა: ჯვრისწერა სრულდებოდა 2 კომპოზიტორის „საქორწილო ჰიმნის“ თანხლებით (ტაძარში შესვლისას და გამოსვლისას). უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ვაგნერის ნაწარმოებზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ეს კომპოზიტორი ძალიან უყვარდა ჰიტლერს.

„საშინლად შეყვარებული ვარ“

მენდელსონს, როგორც შემოქმედს, ჭეშმარიტ მუზად მოევლინა დიდი სიყვარული. 1836 წელს ის პირველივე ნახვისთანავე მოიხიბლა მშვენიერი ფრანკფურტელი გოგონათი. მას ერქვა სესილი ჟან-რენო. **ფელიქსი წერდა დას ფანის: „საშინლად შეყვარებული ვარ, იმდენად, რომ არც ვიცი, როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო. ზეგ უნდა დავტოვო ფრანკფურტი და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სიცოცხლედ დამიჯდება“.**

1837 წელს ისინი დაქორწინდნენ. ოჯახური თანაცხოვრება ბედნიერად აეწყო. მენდელსონის სიტყვებით, ის ნებივრობდა სამოთხეში 5 შვილთან და საყვარელ მეუღლესთან ერთად.

XIX ს.-ის 40-იან წლებში გერმანულ მუსიკალურ ცხოვრებაში მენდელსონმა მეტად საინტერესო კვალი დატოვა. ამდენად, **ხელოვანთათვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო მისი უდროო გარდაცვალება 38 წლის ასაკში, ინსულტით.**

„მეცხრამეტე საუკუნის მოცარტი“

მენდელსონს განსაცვიფრებლად ბევრი რამ აინტერესებდა: კომპოზიტორი გატაცებული იყო ლიტერატურით, ფერწერით, თეატრით, იმ ქვეყნების ისტორიებით, სადაც ჩადიოდა. ბავშვობიდან მოწონდა ცხენზე ჯირითი და ცურვა, ფლობდა ლათინურსა და ძველბერძნულს.

„ლიუცერნი“.* მენდელსონის ნახატი. 1847 წ.

თანამედროვეთა შორის ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. რობერტ შუმანმა მას „მეცხრამეტე საუკუნის მოცარტი“ უწოდა. ანტონ რუბინშტეინი წერდა: „მისი „უსიტყვო სიმღერები“ მუსიკალური ლირიზმისა და საფორტეპიანო სიფაქიზის ნიმუშია, „სავიოლინო კონცერტი“ კი ერთადერთია თავისი სიახლით, სილამაზითა და სრულყოფილებით“. პეტრე ჩაიკოვსკის სიტყვებით, „მენდელსონი მუდამ დარჩება მუსიკალური ინდივიდუალიზმისა და უზადო სისუფთავის მაგალითად“.

და ბოლოს: „ფელიქსი“ ლათინურად ნიშნავს „ბედნიერს“.

* – შვეიცარიის ერთ-ერთი ქალაქი.

საძიებელი

ჩვენი ჟანრის ფეხებით
შავი ზღვის რივიერა 3

სტრიქონებს შორის
ნოდარ დუმბაძე
„მაინც რა არის სამშობლო?“ 4

ზღვისპირა იაღუნები 8

ნეხილი შვილს
ალბერტ აინშტაინი
„უსიყვარულობა აღარიბებს პლანეტას“ 10

საჩინო თარიღი
ერეკლე II-ის დაბადების 300 წლისთავი 12

პოეზია
მზია ხეთაგური
ლექსები 17

ო, ენავ ჩემო 18

ნაშრომი საზღვრებით
რიო კოჯიმა
ირმა გელანტია – ტრადიციულიც,
აკადემიურიც 20

ეროხელ 23

დღეს - საუკუნეების მიღმა
პერუ – უძველესი ცივილიზაციების ქვეყანა 24

ეპიგრამები
თამარ გაბროშვილი
მინიატურები 28

ჯიროე ელეისონ
მარიამ გუნია
თუ გადავფურცლავთ „ძველ აღთქმას“ 30

ბანმეტყველება
ნუნუ ჯანელიძე
ფიქრებთან ერთად 34

ლექსები უბის წიგნაკიდან
რევაზ ტატალაშვილი
ლექსები 36

ქართული ლესპანი
რუსუდან დაუშვილი
პავლე კვარაცხელია – ამერიკაში
ქართული სათვისტომოს დამაარსებელი 37

თარგმანი
ივანე ტურგენევი
ნოველები 40

იმის ნახტომი 43

დაბრუნებამდე სათქმელი
ზაირა მიქატაძე
ომში ნაგემი სიკეთე 44

სალამური 47

ოინატი
ნანა ჭანტურია
„პალიანიდან“ აგორებული ბურთით 48

დაფიონი
თეკლა ჭუმბურიძე
ჩანახატები 52

ჩრეულთა ბზა ბავშვობიდან
ფელიქს მენდელსონი 54

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.
ტელ.: (+995) 598 93 92 84;
(+995) 599 12 66 80;

ელ-ფოსტა: jurnali.ialqani@gmail.com

იალქანი № 1 (45). 2020 წ.
აფქიო № 1 (18). 2020 წ.

ტირაჟი: 300 ც.
ფასი სახელშეკრულებო

„ქარში". სალომე ჯაიჭაძე. 12 წლის. ბათუმი